

ՀԱՅԿԵՆԻ
ՅՈՒՆԵՍԿՈ



25

ԿԵՆՏՐՈՆԻՆ

ՅՈՒՆԵՍԿՈ

საქართველოს კულტურის მემკვიდრეების დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS
საქართველოს
კულტურის მემკვიდრეების




გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1971





საქართველოს
საქართველოს



მთაწმინდა.

ქეკელი ქეკელი ქეკელი

ქართული. ოცდამეხუთე

სამთავროს საერთაშორისო სავაჭრო

საკრედიტო კოლეჯი: ირაკლი აბაშიძე, უკრაინის დიპლომატიის ინსტიტუტი, ანდრეი
აფანიძე, ვახტანგ ბერიძე, ლევან გოთრაძე, ლადო
გუგუშვილი, ოთარ თაყაიშვილი, თეიმურაზ
კახიანი, ირაკლი ჯანაშია, ნიკო კვიციანი,
ლევან მატაძე, ოთარ საგინაძე, ლია
წილკანი (პ/მ, მდიანი), გიორგი ჩიბანი, გიორგი
წილკანი, ვახტანგ ცინცაძე, გივი გოცინიძე.

რევოლუციურ საქართველოს —

ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს,
რევოლუციურს, ჭერ არანახულს, ჭერ არგაკონილს,
ვამა ამ ახალ საქართველოს, ვამა შენებას!

გალაკტიონ ტაბიძე

ქართველმა ერმა საუკუნეების მანძილზე აურაცხელი მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის ფასად მრავალრიცხოვანი მტრებისაგან დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა, შეინარჩუნა ეროვნული სახე და ჩვენამდე მოიტანა თავისი ენა, კულტურა, ხელოვნება. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს თავისი ბედი მოძმე ერის ხალხს დაუკავშირა. მრავალ ქარიშხალ გამოვლილს საშუალება მიეცა მოეშუშებია ჭირილობები და მშვიდობიან შრომას შედგომოდა.

ამ დროიდან იზრდებოდა, მტკიცდებოდა რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობა და ძმური მეგობრობა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა. რუსი ხალხის დახმარებით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა 1921 წლის 25 თებერვალს დაამხო მენშევიკურ-კონტრრევოლუციური ხელისუფლება და თბილისის თავზე თავისუფლების წითელი დროშა ააფრიალა.

ისტორიული გამარჯვების რამოდენიმე დღის შემდეგ ვ. ი. ლენინი სწერდა ს. ორჯონიკიძეს: „გადაეციეთ ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს, ჩემი მხურვალე სალაში საბჭოთა საქართველოსადმი“.

ახლა, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის სახელოვან 50 წლისთავს ვხეივობთ, თვალს ვაფლავებთ რა პირველი ხუთწლეულების მატთანეს, ნათელი ხდება ის გიგანტური შემოქმედებითი შრომა, რომელიც საქართველოს მშრომელებმა გასწიეს. უკვე მეორე ხუთწლეულის საქართველო გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად მრავალდარგოვანი კოლექტიური სოფლის მეურნეობით. მაგრამ გაშლილი მშვიდი აღმშენებლობის ტემპები დაარღვია ფაშისტური გერმანიის გერაგულმა თავდასხმამ. ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა ერებთან ერთად თავისი წვლილი შეიტანა ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების საქმეში.

სამამულო ომის ისტორიის დიდ მატთანეში ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველოს მშრომელთა გამრული თავდადება სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და მშვიდობისათვის.

ომის შემდგომ წლებში საქართველოს მშრომელები უფრო მეტი შემართებით დადგნენ შრომით ვახტზე და დიდი გამარჯვებულები მოიპოვეს სოციალისტურ მშენებლობაში.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა უშვებს თითქმის ყველა სახეობის პროდუქციას. წარმოიშვა ინდუსტრიის გიგანტები: ელმავალმშენებელი და დაზ-

გათმშენებელი ქარხნები თბილისში, მეტალურგიული ქარხანა და ქიმიური კომ-
ბინატი რუსთავეს ქუთაისის საავტომობილო და ბათუმის ნავთობგადამამუშავებ-
ბელი ქარხნები, გორის შამბულის კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა
ქარხანა და სხვ.

ამჟამად საქართველოს მრეწველობის პროდუქცია მსოფლიოში ათობით ქვე-
ყანაში იგზავნება; მათ შორის ისტორიულად მძლავრად განვითარებულ ქვეყნებ-
ში, ამაზე ალბათ 50 წლის წინათ ოცნებაც კი შეუძლებელი იყო.

სრულიად შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფლის მეურნეობა,
იგი აღიჭურვა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით. თუ ამ ნახევარ საუკუნის
წინათ ქართველი გლეხი კავსა და გუთანს ხმარობდა, ამჟამად საქართველოს
ზურმუხტოვან ბარაქიან მინდორველებს ათასობით ტრაქტორი, ავტომანქანა და
კომპანიი ემსახურება. მსოფლიოში პირველად საქართველოში შეიქმნა ჩაის საკ-
რეფი მანქანა.

ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების პარალელურად საბჭოთა ხელისუფ-
ლების უდიდესი ზრუნვის საგანი პირველი დღეებიდანვე გახდა ხალხის კულტურ-
რული დონის ამაღლება, რადგან მოწინავე საზოგადოების დასაყრდენს მხოლოდ
განათლებული ადამიანები შეადგენენ.

საქართველოში დიდი ხანია წერაკითხვის უცოდინარობა ლიკვიდირებულია.
ამჟამად საქართველოს ინტელიგენცია ეუფლება და ანვითარებს მეცნიერების
ყველა დარგს, რომელსაც სათავეში ძირითადად საქართველოს მეცნიერებათა აკა-
დემია უდგას თავისი აუარებელი ინსტიტუტებით და სამეცნიერო კადრებით.

აყვავდა და ვითარდება ხელოვნება და ლიტერატურა.

50 წლის განმავლობაში საქართველო იქცა მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად,
მაგრამ ეს ზღვარი როდია. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილო-
ბამ, რომელიც უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმ-
დინარეობდა, შეაჯამა უკანასკნელ ხუთწლეულში გაწეული მუშაობის შედეგები და
დასახა მომავლის გეგმები.

სოციალიზმის უშრეტ შესაძლებლობათა ღრმა რწმენის გრძნობით, აღფრთო-
ვანებით აღიქვა ქართველმა მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ სკკპ
XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების
1971 — 1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

დირექტივებში ნათლად არის განსახიერებული ლენინური ხაზი ჩვენი პარ-
ტიისა, რომელიც გამობატავს ხალხის ძირეულ ინტერესებს და მტკიცედ მიუძღვის
მას გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ.

სახყოველთაო ზრუნვით მოსიღნი

საბჭოთა პერიოდში ჩატარებული ძიებანი საქართველოს ნივთიერი და მხატვრული კულტურის დარგში საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ქართველი მოსახლეობის ძირითად ფუძეს და მის ტომებს უხსოვარი დროიდანვე სჭერიათ ამიერკავკასიის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელზეც გარკვეულ ისტორიულ პირობებში წარმოიქმნა ქართველი ერი გაერთიანებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციითა და თავისებური შინაარსის მქონე კულტურით.

მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია კულტურული ცხოვრებისა, მჭიდრო ურთიერთობა წინა აზიის ქვეყნებთან, ხანგრძლივი ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან შუა საუკუნეების პერიოდში და თავდადებული ბრძოლა დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის წარმოადგენენ იმ ძირითად ფაქტორებს, რომელთაც განსაზღვრეს ქართული კულტურის თვითმყოფადი ხასიათი და შინაარსი, მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ქართული კულტურის ახალ აღორძინებას საბჭოთა პერიოდში.

მიუხედავად მონღოლთა ბატონობისა, თურქეთისა და ირანის თავდასხმებისა, ქართული მხატვრული კულტურის ეროვნული სახე, თავისებური შინაარსი საუკუნეთა მანძილზე შეურყეველი დარჩა. ქართული სახვითი ხელოვნება, როგორც სათანადო მასალების შესწავლა ადასტურებს, განზე რთვი მდგარა მსოფლიო ცივილიზაციის და ხელოვნების განვითარების ძირითადი მაგისტრალური ბაზიდან. პირიქით, მუდამ მის საერთო დონეზე იდგა. ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატებმა, რომლებმაც აითვისეს ყოველივე მოწინავე და საუკეთესო, რაც სხვა ხალხებს გააჩნდა, განაზოგადეს რა მათი გამოცდილება, შექმნეს თავისი ეროვნული ხელოვნება და ამით თავისი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მხატვრული კულტურის საგანძურში.

ძველი ქართული მხატვრული კულტურის წვლილი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში დაუფასებელია. დღეს ჩვენში გაშლილი და გაღრმავებული მეცნიერული ძიების საფუძველზე მკაფიო სახით ჩანს ის თვალსაჩინო წვლილი, რომელიც მას მიუძღვის კაცობრიობის მხატვრული კულტურის ისტორიაში. ქართველი ხალხი საუკუნეთა მანძილზე თავდადებით იცავდა ეროვნული კულტურის ძეგლებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქართველი ხალხის მიერ შექმნილი კულტურისა და ხელოვნების ძეგლების მოვლას, დაცვას და მეცნიერულ შესწავლას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დაუბრუნა ქართველ ხალხს დიდი ისტორიული საგანძური, რომელიც წაღებული იყო საქართველოდან ცარიზმის დროს, აგრეთვე ხელოვნების ძვირფასი ნიმუშები, გატანილი მენშევიკური მთავრობის მიერ. საქართველოს კულტურის სამინისტრო დიდ მუშაობას ეწევა ქართული კულტურის ძეგლების დაცვის გამოვლინების, მეცნიერული შესწავლის და მათი პოპულარიზაციის საქმეში.



პირველად საბჭოთა კავშირში ჩვენს რესპუბლიკაში დაარსდა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. ათი წელია იგი მუშაობს ქართული კულტურის ძეგლების გამოვლინების, დაცვისა და მეცნიერული შესწავლის დარგში. ადრეულ საზოგადოებას აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო „ძეგლის მეგობარი“, რომელშიც ფართოდაა გაშუქებული ის მუშაობა, რომელსაც ეწვევიან გამოჩენილი ქართველი მეცნიერები ქართული კულტურის ძეგლების გამოვლინების, აღდგენისა და მეცნიერული შესწავლის საქმეში. სათანადო ყურადღება ექცევა მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის გამოქვეყნებას ქართული კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა შესახებ. გამოიცა მონოგრაფიული ხასიათის სამეცნიერო ლიტერატურა ქართული არქიტექტურის შესახებ: ვ. ცინცაძის „ბაგრატის ტაძარი“, ნ. ჯანბერიძის „ქართული ხუროთმოძღვრება“, ზუკლექტების სვეტიცხოველის, ბიჭვინთის, ვარძიის, ჯვრის და სხვათა შესახებ. აღნიშნული ლიტერატურა გამოიცა ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის, რაც გამოქვეყნებულია, თავისი მოცულობით ვერ აკმაყოფილებს ჩვენი საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებას.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ძეგლთა დაცვის საზოგადოება, ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები გაამახვილებენ თავიანთ ყურადღებას ძველი ქართული კულტურისა და ხელოვნების ძეგლებისადმი და ამით ხელს შეუწყობენ ჩვენი ერის კულტურის დაცვის და მეცნიერული შესწავლის დიად საქმეს.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მუშაობა იმდენად გაფართოვდა, რომ საეკუთბით მომწიფდა საკითხი გადაიდდეს მისი მუშაობის არე და მიექცეს ყურადღება ქართული კულტურის იმ ძეგლების გამოვლინებას და მეცნიერულ შესწავლას, რომლებიც ამჟამად არ არიან საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში. პირველ რიგში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ძველი ქართული კულტურის იმ ძეგლებს, რომლებიც აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, კონკრეტულად საინგილოს საზღვრებში. საზოგადოებამ აღნიშნულ რაიონში უნდა მოაწყოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სათანადო ორგანიზაციასთან შეთანხმებით სპეციალური ექსპედიცია, რომელიც შეისწავლის ძველი ქართული კულტურის ძეგლებს, მათ მდგომარეობას დაცვისა და რესტავრაციის თვალსაზრისით და დასახავს სათანადო ღონისძიებებს აღნიშნული ძეგლების დაცვის და მეცნიერული შესწავლის განხრით.

უფრო რთულ ამოცანას წარმოადგენს ქართული კულტურისა და ხელოვნების იმ ძეგლების მდგომარეობის შესწავლა, რომლებიც დიდი ხანია რაც საქართველოს ტერიტორიის გარეთ არიან, განსაკუთრებით კი, თურქეთის ტერიტორიაზე. უცხოური წყაროების მიხედვით აღნიშნული ძეგლები თურქეთის მთავრობის მიერ აყვანილია სათანადო აღრიცხვაზე, მათი უმრავლესობა შეტანილია ტურისტული დათვალიერების გეგმაში, ხოლო სარესტავრაციო მუშაობა არ წარმოებს. ბოლო წლების მანძილზე სირიაში სახელდობრ ანტიოქიის მახლობლად აღმოჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების დღემდე უცნობი ძეგლები, ძველი ქართული წარწერები და სხვა დოკუმენტური მასალა, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ქართული კულტურის მწერლობის და ხელოვნების ისტორიისათვის.



საქართველოს
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა



ოთხთვი. XIII ს. შარკოზ მახარებელი



ჯრუჭის II ოთხთავი, XII ს.
გარდამოხსნა, საფლავად დაღება, ჟოჯობეთის წარტყვევება, შენელსაცხებლუ დღეები
ქრისტეს საფლავზე



საფსევით მომწიფებუღია საკითხი ქართული კულტურის ახალი, დღემდე უცნობი ძეგლების გამოვლინებისა, განსაკუთრებით იმ ქვეყნების ტერიტორიაზე რომლებთანაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა ჰქონდა. მომწიფდა დრო შედგეს სათანადო გეგმა ქართული კულტურის იმ ძეგლების გამოვლინებისა და შესწავლისა, რომლებიც ამშვენებენ ჩვენი ერის სახელოვანი ისტორიის ფურცლებს...

გულწრფელად ვუსურვებ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას ნაყოფიერ მუშაობას, დიდ წარმატებას ჩვენი ერის კულტურის გამოვლინების, დაცვისა და მეცნიერული შესწავლის დარგში.




ანდრია ავაქიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
პროფესორი

არქეოლოგია საგოთა სამართავლოში

საქართველოს ნივთიერი კულტურის ძეგლებისადმი ინტერესი სულ ცოტა 2.000 წლის წინათ გამოუჩენიათ ახ. წ. II საუკუნის ძვ. ბერძენი მწერლის ფლავიუს არიანეს „პერიპლუსში“ შემონახულია ცნობა ქალაქ ფაზისში ლეგენდარული გემის — არგოს ღუზებისა და სხვა ძეგლთა გამოყენის შესახებ. ეს არის პირველი ცნობა უძველესი ქართული სიძველეთსაცავის — მუზეუმის არსებობის შესახებ ქალაქ ფაზისში.



ბავინეთი. სვეტებიანი დარბაზი ძვ. წ. IV—III სს.


მიუხედავად ამისა არქეოლოგიური ძეგლების გააზრების ცდა არ ჩანს ვახუშტისა და თეიმურაზის ხანებამდე. ერეკლე II-ის სასახლეში სიძველეთსაცავიც ყოფილა მოწყობილი; უფრო გვიან უფლისციხისა და ნოქალაქევის (ქუჯის ციხის) არქეოლოგიური გათხრაც უცდიათ, მაგრამ მხოლოდ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებიდან იწყება საქართველოში მეტნაკლებად სისტემატური არქეოლოგიური კვლევა-ძიება.

საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლთა შესწავლას შესამჩნევად შეუწყო ხელი რუსეთის V არქეოლოგიურმა ყრილობამ, რომელიც ჩატარდა ქ. თბილისში 1881 წელს, მაგრამ არც ამ ყრილობის მონაწილეთა სურ-

ვილები და არც იმ ხანად საქვეყნოდ ცნობილი შლიმანის გეგმები საქართველოს ზღვისპირეთის გათხრის თაობაზე არ განხორციელებულა. კოლონიური საქართველოში „კოლონიური არქეოლოგია“ ვითარდებოდა ოფიციალური ორგანიზაციების ხელის შეწყობით. ამის შედეგები კარგად იგრძნობოდა იმდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში.

თუ როგორი არქეოლოგიური მემკვიდრეობა მიიღო საბჭოურმა საქართველომ კარგად ჩანს ივანე ჯავახიშვილის სიტყვებიდან: „აქამდე არ არსებობს საქართველოში დაწესებულება, რომელსაც გინდა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მუდმივი, მეთოდური არქეოლოგიური შესწავლა ჰქონდეს დავალებული. ჯერჯერობით არც ცალკეული მეცნიერი მოიპოვება, რომელსაც მიზნად იმ მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ფაქტებისა და ძეგლების სპეციალური, მთელი სივრცისიღრმით, შესწავლა მიიწევდა დაესახოს, რომლებიც საქართველოს და მეზობელ რესპუბლიკების მუზეუმებში გათხრილობისა და შეგროვების წყალობით საკმაო რიცხვით და მრავალფეროვნებით არის თავმოყრილი“.

საბჭოურ საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიება თავიდანვე სახელმწიფო საქმედ იქნა მიჩნეული; ხალხისა და მისი სახელმწიფოს საკუთრების — ქართველ-მშრომელი კაცის მარჯვენით შექმნილი ნივთიერი კულტურის ძეგლების შესწავლა, დაცვა და გამოქვეყნება პირველად იქნა ხალხისა და მშრომელთა სახელმწიფოს ზრუნვის საგანგებო ყურადღების საგნად. მალე შეიქმნა სპეციალური სამეცნიერო უჯრედები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში; გაჩნდნენ მხარეთმცოდნეობითი და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმები; საფუძველი ჩაეყარა არქეოლოგ-სპეციალისტთა მომზადებას. ასე დაიწყო მეცნიერული არქეოლოგიის შექმნა ჩვენში.



თრიალეთი. ოქროს ყელსაბაში.
ძე. წ. XVII—XVIII ს. ს.

ქართული საბჭოური არქეოლოგიის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ახალ მშენებლობებს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე გაშლილ მშენებლობებს მოყვა დიდად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენები. საბჭოთა სახელმწიფომ ამ ძეგლების შესწავლა-დაცვას სა-

განგებო ყურადღება მიაქცია, მშენებელ ორგანიზაციებს სათანადო ვალდებულებანი დააკისრა და საფუძველი ჩაუყარა მშენებელთა და არქეოლოგთა თანამშრომლობას — ახალ მშენებლობათა არქეოლოგიას, პირველად საქართველოში შეიქმნა კი, როგორც ცნობილია, მთელს საბჭოთა კავშირში.

ქართულმა საბჭოურმა არქეოლოგიამ თუ სახელი საქვეყნოდ გაითქვა, უმთავრესად — ახალმშენებლობებზე განხორციელებული გათხრების წყალობით. კოლხეთის დაბლობის დაშრობა, ზაპსის მშენებლობა, ხრამპისის წყალსაცავი,



აბხაზის ბილინგვა. აბ. წ. II ს.

ალაზნის სარწყავი სისტემის, ენგურების თუ მეტალურგთა ქალაქის — რუსთავის მშენებლობა, რესპუბლიკის შარაგზათა ახალი ტრასები და ბევრი სხვა ახალმშენებლობა გახდა მიზეზი დიდი არქეოლოგიური გათხრების წამოწყებისა და მეტწილად უნიკალური ძეგლების აღმოჩენისა ქართული მიწის წიაღში.

სკკ XXIV ყრილობის დირექტივები, როგორც ცნობილია, ახალგრანდიოზულ პერსპექტივებს სახავენ ახალ მშენებლობათა ხაზითაც. შესაბამისად, დიდად გაფართოვდება არქეოლოგთა საველე — გათხრითი სამუშაოების ასპარეზი; ძალიან დიდი სამუშაოები მოვლით ქართველ არქეოლოგებს ეინვალისა და ვარციხის ჰიდროელექტრო სადგურების, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემისა და კოლხეთის დაბლობის სამელიორაციო ნაგებობათა მშენებლობების ტერიტორიაზე. ამ დიდ საქმეს ემსახურება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, მხარეთმცოდნეობითი თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმები. მეტად დიდი და თავისებური როლი აქვს არქეოლოგიურ ძეგლთა დაცვის, გამოვლინებისა, შესწავლის და პროპაგანდის საქმეში კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას.

ასე გვიზარდა სამეცნიერო დაწესებულებათა ის ჯგუფი, რომელსაც არქეოლოგიური კვლევა ძიება თავის უმთავრეს საქმედ გაუხდია. ასევე დიდი წარმა-



საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემია

ტებებია მოპოვებული სპეციალისტ-არქეოლოგთა კადრების მომზადების საქმეშიც. როგორც აღინიშნა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში საქართველოში არ იყო არც ერთი არქეოლოგი-სპეციალისტი, ახლა კი 150-მდე მეცნიერი ემსახურება ამ სამამულიშვილო საქმეს. მათ შორის ბევრი მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატია. დიდი ყურადღება ექცევა საველე სამუშაოთა უზრუნველყოფას ახალი აღჭურვილობით; არქეოლოგიაში წარმატებით იწერება საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მიღწევები და მეთოდები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია საგანგებო ლაბორატორია, რომელიც წარმატებით ათარიღებს ორგანული წარმოშობის არქეოლოგიურ ძეგლებს რადიოკარბონული (C^{14}) მეთოდით, ხოლო გეოფიზიკოსები თვალსაჩინოდ ეხმარებიან არქეოლოგებს მიწისქვეშა ძეგლების ძიებაში. ასე რომ სულაც არა ჰგავს ქართული საბჭოური არქეოლოგია რევოლუციამდელ მოყვარულთა სიძველეთმცოდნეობას და ამიტომაც, რომ გამბოთხთ ნამდვილი მეცნიერული არქეოლოგია ჩვენში საბჭოთა წყობის პირშოაო.



არმაზისხევი. ასპერტე ჰიტიახში



შეზეთის აკლამა. I საუკუნე



ქართული არქეოლოგიის წარმატებები დიდი ხანია გაცდა საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს და ახლა საქართველოში განხორციელებული მნიშვნელოვანი კვლევებები განიხილება ვითარცა თვალსაჩინო წვლილი საზოგადოდ კაცობრიობის კულტურის ისტორიის საქმეში, ხელოვნების საერთაშორისო სავაჭაროში. ასეთებია მაგალითად, მცხეთის, თრიალეთის, ვანის, ახალგორის, სტეფანწმინდის და სხვ. არქეოლოგიური ძეგლები; ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარების მასალები, რომელთა გულდასმით გათვალისწინების გარეშე უკვე აღარ შეიძლება საქართველო-კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის უძველესი საფეხურის წარმატებით



თრიალეთის ოქროს თასი.
ძვ. წ. XVIII—XVII სს.


საფეხურის წარმატებით კვლევა, ამ მხარეების ხალხთა ეთნოგენეზის პრობლემების გაშუქება.

საბჭოურ ხანაში ძალიან დაწინაურდა ანტიკური და ფეოდალური ხანის ქალაქების, ნასოფლარებისა და სახელოსნო კერების შესწავლა. არქეოლოგიამ უმნიშვნელოვანესი ნივთიერი წყაროებით შეავსო ეროვნული (ქართული) თუ უცხოური წერილობითი ცნობები ძველი ქალაქებისა და ქალაქური ცხოვრების შესახებ; გვიჩვენა უცხოურ ადრედაწინაურებულ ცენტრებთან მჭიდრო ურთიერთობა, თანაც ისე დაწვრილებით, რომ ბევრი, ადრემიღებული შეხედულება გადასასინჯი ხდება; წერილობით წყაროებში, როგორც ირკვევა, სათანადოდ ვერ აისახა

ანტიკური ხანის ქართული ქალაქებისა და ბერძნულ-რომაული სამყაროს მჭიდრო ურთიერთობა. იგი ძვ. წ. I ათასწლეულის შუა სანებიდან ძლიერინტენსიური ჩანს და მინცდამინც ყველაფერში არ მიყვება საგარეო ფაქტორების ცვლილებებს: უფრო მყარი, უფრო ტრადიციულია ვიდრე ეს იყო ცნობილი ან, შესაძლოა, გვეჩვენებოდეს.

ქართული საბჭოური არქეოლოგიის შესაბამისი ხანის მონაპოვრები საზოგადოდ ანტიკური კულტურისა და ხელოვნების დასახასიათებლადაც ძვირფას მასალებს ამჟღავნებენ. ასე გაცდა საკუთრივ ქართულ მასშტაბს მცხეთის, თრიალეთის, ვანის, ახალგორის, სტეფანწმინდის, ბრილის, ზღუდრისა თუ ფიჭვნარის არქეოლოგიური ძეგლები.

საბჭოურ ხანაში სავრძნობლად დაწინაურდა არქეოლოგიურ ძეგლთა გამოკვლევების საქმე. არქეოლოგიურ ლიტერატურას კარგა ხანია ამშვენებს თრიალეთის, მცხეთის, კოლხეთის, ქართლის, კახეთის ნაქალაქარების, ნასოფლარებისა თუ სამაროვნებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები; შექმნილია და გამოქვეყნებულა



საქართველოს არქეოლოგიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. საქართველოს არქეოლოგიისადმი მიძღვნილ ნაშრომებს მაღალი მეცნიერული შეფასება აქვთ. ჩვენი არქეოლოგიური ძეგლების კვლევის შედეგად შექმნილ ნაშრომებს მიენიჭათ სახელმწიფო პრემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობისა და აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემიები.

ქართული საბჭოური არქეოლოგიის 50 წლის მიღწევები შეჯამებულია და გამოფენილი ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ეს გამოფენა, შექმნილი ქართველ არქეოლოგთა ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, განსაკუთრებით ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მაღალკვალიფიციური კოლექტივის ბეჯითი შრომითა და მისაბაძი ხელოვნებით, სამართლიანად ითვლება ქართული საბჭოური არქეოლოგიის სიამაყედ.

საიუბილეო წელს ქართველი არქეოლოგები შეუდგნენ ახალ, დიდად მნიშვნელოვან საქმეს. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით დაიწყო მუშაობა „საქართველოს კულტურისა და ისტორიის ძეგლთა სრული კრებული“ შესადგენად. ამ მრავალტომეულში დიდი ნაწილი ეთმობა არქეოლოგიურ ძეგლებს და შესაბამისად დიდი იქნება ქართველ არქეოლოგთა ვალდებულებაც.

ქართული არქეოლოგიის განვითარების ეხლანდელი დონე, რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის პირველ მდიანის ანს. ვ. მჭავანაძის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კვ. XXIV ყრილობაზე. საფუძველს გვაძლევს იმედი გამოვთქვათ, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით აღჭურვილი ქართველი არქეოლოგები ღირსეულად გადაჭრინ მათ წინაშე მდგარ დიდად მნიშვნელოვან ამოცანებს და შესაფერის წვლილს შეიტანენ ქართველი ხალხის დიდი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.



ზაგინეთის სასკოლაში აღმოჩენილი ვერცხლის თასი. აბ. წ. II ს.



სპორტის სასახლე.

სიგონ კინოურაზვილი

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სპეციალური
სამეცნიერო რედაქციის ისტორიისა და კულტურის
ძეგლთა აღწერილობის რედაქციის გამგე

ქართული საბჭოთა არქიტექტურა

ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანილია მონუმენტური არქიტექტურის ხუთი ათასამდე ძეგლი. ისინი დიდი სამშენებლო ხელოვნების, მისი შემქმნელი ხალხის მდიდარი მხატვრული ტრადიციებისა და მაღალი კულტურული დონის უტყვე მოწმენი არიან. საქართველოს არქიტექტურის ისტორიული ძეგლები თანამედროვე ადამიანს ხიბლავს ხუროთმოძღვრული კომპოზიციების სისადავით და მრავალფეროვნებით, ორნამენტული მოტივების ლოკალური გამოყენებით, ბუნებასთან ორგანული კავშირით.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ამ მდიდარი მემკვიდრეობის და საუკუნოვანი გამოცდილების მომარჯვებით ვერ გადაწყდებოდა ის ახლებურად რთული, მრავალფეროვანი ამოცანები, რომლებიც ახალმა ეპოქამ მოიტანა — პირველ რიგში ეს იყო ფართო მშრომელი მასების სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის ხუროთმოძღვრებმა დასძლიეს ეს რთული და საპატიო ამოცანა და სათანადო წვლილი შეიტანეს საბჭოთა საქართველოს კულტურულ აღორძინებაში.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების გზა რამდენიმე ეტაპად იყოფა.

პირველ ათწლეულში (1921—1931-32 წ.წ.), როდესაც მთელი საბჭოთა კავშირი პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომების მიერ მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა, რესპუბლიკის ხუროთმოძღვრების მუშაობა, ბუნებრივია, მიმართული იყო ქალაქების კომუნალური მეურნეობის გადაუდებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, მშრომელების ყოფის კეთილმოსაწყობად.

მიუხედავად შეზღუდული მატერიალური სახსრებისა, უკვე ამ წლებში თბილისში გაფართოებულ და რეკონსტრუირებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი მაგისტრალი (ლესელიძის ქ., ვაგზლის ქ., ელბაქიძის დაღმართი და სხვა). დაიწყო ახალი საცხოვრებელი შენობებისა და კომბლექსების მშენებლობა. ისინი პირველ



რიგში განკუთვნილი იყვნენ მუშებისათვის: თბილისში — მუშა-ტრამვაელების სახლები, ზესტაფონში — ფერომარგანეცის, ხოლო ბათუმში — ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მუშათა დასახლებები და ა. შ. (საგულისხმოა, რომ საბჭოთა თბილისში ერთერთ პირველ ნაგებობას ნაძალადევის მუშათა რაიონში პლესანოვის სახ. მუშათა კლუბი წარმოადგენს, 1923 წ.). საფუძველი ჩაეყარა ახალ კურორტებს (შოვი, ლიბანი და სხვ.); დაიწყო სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობა წყალტუბოში, ბორჯომში, მწვანე კონცხზე და ვაგრაში.

ეს იყო შემოქმედებითი სიძნელეების დაძლევის წლები. არქიტექტორების ერთ ნაწილს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ცალკეული ფორმები და დეტალები მექანიკურად გადააქონდა ახალ ნაგებობებზე; ნაწილი გატაკებული იყო სოციალისტური არქიტექტურისათვის უცხო ფორმალისტური მიმდინარეობით: ბერს კი აკლდა პროფესიონალური გამოცდილება და ოსტატობა. საქმეს ართულებდა ისიც, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კვალიაფიციური არქიტექტორები ცოტანი იყვნენ. არქიტექტორთა ნაციონალური კადრების მომზადების პრობლემა გადაწყვეტილ იქნა უმოკლეს ვადაში. სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტების კურსდამთავრებულები უკვე ოცინი წლების ბოლოსათვის აქტიურად ჩაერთვნენ შემოქმედებით მუშაობაში.

პირველმა ათწლეულმა პირველი შემოქმედებითი გამარჯვებებიც მოიტანა. აშენდა ზემო ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის პიდროლექტროსადგურის (ზაპესი) ნაგებობათა კომპლექსი (1922—1927 წ.წ., არქიტექტორები: ა. კალგინი, კ. ლეონტიევი და მ. მაკაგარიანი), რეკონსტრუირებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობა (1930 წ. არქ. ნ. სვეროვი), აშენდა საქართველოს კაც-ის შენობა (1929 წ. არქ. ნ. სვეროვი), სახელმწიფო ბანკის თანამშრომელთა საცხოვრებელი სახლი (1929 წ. არქ. გ. ტერ-მიქელიოვი) და სხვა საინტერესო ნაგებობა.

30-იანი წლების დასაწყისიდან ქართული საბჭოთა არქიტექტურა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა, რომელიც დიდი სამამულო ომის დაწყებამდე გაგრძელდა. როგორც ქართული, ისევე მთელი საბჭოთა არქიტექტურისათვის, ეს იყო დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის, ფორმალისტური გავლენების გადალახვისა და პროფესიონალური ოსტატობის სრულყოფის პერიოდი. ეს იყო, აგრეთვე, ქართულ საბჭოთა არქიტექტურის ნაციონალური თავისებურებების ძიების ხანა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკის დედაქალაქის სოციალისტური რეკონსტრუქციის ფართოდ გაშლას და ქალაქის რეკონსტრუქციის პირველი გენერალური გეგმის შედგენას (1932—39 წ.წ.). გაშენდა გმირთა მოედანი, გაყვანილ იქნა ჩელუსკინელების სახ. ქუჩა, გაფართოებულ და რეკონსტრუირებულ იქნა ვ. ი. ლენინის სახ. მოედანი და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მდინარე მტკვრის სანაპიროს მშენებლობის დაწყება.

ამ პერიოდში ქართველმა არქიტექტორებმა შემოქმედებით წარმატებას მიღწეეს ძველი ქართული ხუროთმოძღვრული მეგვიდრეობის ათვისებასა და გამოყენებაში, რითაც სათანადო წვლილი შეიტანეს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური არქიტექტურის შექმნაში. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქართველოს სსრ პავლიონის შენობა სახალხო მეთრენეობის მიღწევათა გა-

მოფუნაზე მოსკოვში (1939 წ. არქ. ა. ქურდიანი, ვ. ლეჟავას მონაწილეობით); „დინამოს“ სტადიონი (1937 წ. არქ. ა. ქურდიანი, ამჟამად ფართოდებდა); ფუნ-კულიორის ზემო სადგური თბილისში (1938 წ. არქ. ზ. და ნ. ქურდიანები; ა. ვოლობუევის თანავეტრობით) და სხვ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისში რჩენილი დიდი ობიექტის: საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ზემო კორპუსის (1938 წ. არქ. ვ. კოკორინი; ვ. ლეჟავას მონაწილეობით) და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის (1938 წ. არქ. ა. შჩუსევი) მშენებლობას. ამ შენობების არქიტექტურა თავისი მხატვრული კონცეპციებით განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ დიდი კონკურსები, რომლებიც წინ უძღოდა მათ მშენებლობას, ამ ნაგებობების მას-



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

შტაბები, ახალი სამშენებლო კონსტრუქციების (მსუბუქი რკინა ბეტონი) და ადგილობრივი ბუნებრივი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების გამოყენება, ქვის მთლელების და ქედური ხელოვნების ხალხური ოსტატების მიწვევა, კარგი პროფესიული სკოლა იყო ქართველი ხუროთმოძღვრებისათვის.

ფართო მშენებლობა გაიშალა მთელს რესპუბლიკაშიც. დედაქალაქის გარდა, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის, ცხინვალის, წყალტუბოსა და სხვა ქალაქებისათვის შედგა გენერალური გეგმები, აგებულ იქნა მსხვილი ობიექტები სოხუმში, ქუთაისში, ბათუმში, გორში. გაიზარდა სამრეწველო ქალაქები — ჭიათურა, ტყვარჩელი, ტყიბული.

დიდმა სამამულო ომმა დროებით შეაფერხა ქართული საბჭოთა არქიტექტურის ნორმალური განვითარება.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ქართულ საბჭოთა ხუროთმოძღვრებაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა არქიტექტურაში განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო.




თბილისი. საერთო ხედი

1977 წ. 12
165 0110133





რესპუბლიკაში დიდი მშენებლობა გაიშალა. მწყობრში ჩადგა ინდუსტრიული და სამრეწველო გიგანტები. ამან გამოიწვია მუშათა ახალი დასახლებების დაპროექტება და მშენებლობა ძველ ქალაქებში; წარმოიშვა ახალი ქალაქები — მეტალურგიული რუსთავი, თბილისის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის სამუშაოებმა ახალ აღმავლობას მიაღწია. ამას მოწმობენ: მელიქიშვილის და ჩელუსკინელების ქუჩების გაფართოება და რეკონსტრუქცია, ვარაზის ხევის და ვაკე-საბურთალოს მაგისტრალის გაყვანა, მარჯანიშვილის მოედნის გაფართოება და გაშენება (1947—1949 წწ. ორი საცხოვრებელი სახლის და ადმინისტრაციული კორპუსის ავტორია არქ. მ. მელია), მტკვარზე ოთხი დიდი ხიდის მშენებლობა და სანაპიროს მშენებლობის დამთავრება ქალაქის ფარგლებში. საფუძველი ჩაეყარა ვაკის პარკის (არქ. კ. დგებუაძე, დენდროლოგი ე. ციციშვილი) და თბილისის ზღვის გარშემო ტყე-პარკის გაშენებას. აშენდა ბევრი საცხოვრებელი სახლები ჭავჭავაძის პროსპექტზე (1945 წ. არქ. ქ. ფორაქიშვილი-სოკოლოვა), ნ. ნიკოლაძის (1948 წ. არქ. ა. მიმინოშვილი), ჩელუსკინელების ქუჩებზე (არქიტექტორები ს. დემინელი, ი. კასრაძე, ა. თევზაძე, ლ. სუმბაძე) და სხვა.



სასტუმრო „ივერია“.

აშენდა საზოგადოებრივი შენობები, სკოლები, საბავშვო ბაღები, უმაღლესი სასწავლებლების კომპლექსები. გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ქართველმა არქიტექტორებმა ტიპურ პროექტირებაში. შეიქმნა საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაგა-ბაღების, სასოფლო კლუბების და სხვათა ტიპური პროექტები. სოხუში აშენდა რკინიგზის ვაგზლის შენობა (1951 წ. არქ. ლ. და ლ. მუშკუდიანი), თეატრი (1950 წ. არქ. მ. ჩხიკვაძე; კ. ჩხეიძის მონაწილეობით), დიდი ტყე-პარკი (1952 წ. არქ. გ. თელია, ო. ლითანიშვილი, თ. მაჭარაშვილი, ლ. მუშკუდიანი, ს. ცინცაბაძე). ბათუმში — საზაფხულო თეატრი (1949 წ. არქ. კ. ჯავახიშვილი, ბ. კირაკოსიანი), რევოლუციის მუზეუმი (1955 წ. არქ. კ. ჯავახიშვილი), გაფართოვდა პარკი ზღვის სანაპიროზე. წყალტუბოში აშენდა ახალი სანატორიუმები: „შახტორი“ (1953 წ. არქ. მ. მელეგი, გ. ხიმშიაშვილი), სსრკ თავდაცვის სამინისტროს (1956 წ. არქ. ა. ინწყირველი, ვ. ჩანტლა-





ქე; გ. ნასარიძის მონაწილეობით), „მეტალურგი“ (1957 წ. არტ. ვ. კედია, ნ. სულოვიოვას თანაავტორობით) და სხვა.

დიდი მუშაობა ჩატარდა საკოლმეურნეო მშენებლობაში (ახალგაზრდა მწერლებს დასახლებების გაშენება). აღსანიშნავია არქიტექტორ ლ. სუმბაძის სოფლის საცხოვრებელი სახლის ტიპური პროექტი (სერია № 209).

ამ პერიოდის მნიშვნელოვან არქიტექტურულ-მხატვრულ ნაგებობას წარმოადგენს საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ახალი მთავარი (ქვემოთა) კორპუსი (არტ. ვ. კოკორინი, გ. ლექავა; 1953 წ.).

უკანასკნელ თხუთმეტი წლის განმავლობაში ქართულმა საბჭოთა არქიტექტურამ განიცადა დიდი აღმავლობა, რაც შესამჩნევად დაეტყო ახალი ნაგებობის დაპროექტების ხარისხს. უფრო დიდი ყურადღება მიექცა ქალაქმშენებლობის პრობლემებს, ტიპობრივ პროექტირებას, სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის სინთეზს. შეიმჩნევა მდიდარი ნაციონალური მეგკვიდრობის, საბჭოთა და თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის პროგრესული მიღწევების შემოქმედებითი თვისების და გადამუშავების ტენდენცია.

თბილისის სპორტის სასახლის 72 მეტრიანი ვუმბათის გადახურვა ანაკრები რკინაბეტონის პირველი გაბეჭდილი გამოყენების მაგალითი იყო (1961 წ. არტ.-ბი. ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. კასრაძე, კონსტრუქტორი დ. ქაჯაია). მხატვრულად მიმზიდველია რესტორანი „იორი“ თბილისის ზღვის პირას (1961 წ., არტ. ვ. ალექსი-მესხიშვილი), საცხოვრებელი სახლი კამოს ქუჩაზე (1954—1963 წ.წ. არტ. ვ. მელქაძე, ლ. ხარაშილი, შ. ყავლაშვილი), საბაზანო № 8 (ი. ზაალიშვილი) და № 9 (ი. ზაალიშვილი, ვ. კედია) წყალტუბოში და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დიღომში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობის არქიტექტურა (არტ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გაბაშვილი, 1957 წ.), სასტუმრო „ივერია“ (1967 წ. არტ. თ. კალანდარიშვილი; ი. ცხომელიძის მონაწილეობით) და ბარათაშვილის სახელობის ორიაარუსიანი ხიდი (1966 წ. ი. ნ. გ. ქარცივაძე, არტ. შ. ყავლაშვილი, ვ. ქურთიშვილი). მათ ახასიათებს კომპოზიციური გადაწყვეტის სიახლე და ახალი კონსტრუქციული ხერხების თამამი გამოყენება.

ქალაქის ტრანსპორტის საკითხის გადაწყვეტაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მეტროპოლიტენის აშენებას თბილისში. საქართველოს არქიტექტორებმა ბრწყინვალედ გადაწყვეტეს ეს რთული ამოცანა და მეტროს სადგურებს თავისებური კოლორიტი და მასშტაბი მისცეს. ამ სადგურების დაპროექტებაში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტორებმა ვ. აბრამიშვილმა, ვ. ალექსი-მესხიშვილმა, რ. ბაირამაშვილმა, გ. ბათიაშვილმა, ქ. კომახიძემ, გ. მელქაძემ, თ. მიქაშაიძემ, გ. მოძმანიშვილმა, დ. მორბედაძემ, ნ. ლომაძემ, ს. რევიშვილმა, თ. თევზაძემ, ი. ყავლაშვილმა, ნ. ქვარცხავამ, ზ. ჩაჩანიძემ, ლ. ჯანელიძემ და სხვ.

დიდი საბინაო მშენებლობა გაიშალა მთელ რესპუბლიკაში. არქიტექტორებმა გამოიყენეს ახალი პროგრესული მეთოდები და მოწინავე ტექნიკა შენობების მსხვილი, ანაკრები ელემენტებისაგან აგებისათვის; საცხოვრებელი კვარტალების და მიკრორაიონების მშენებლობისათვის ახალი დიდი ტერიტორიები აითვისეს (თბილისში — საბურთალო, დიღომი, ვარკეთილი, აგჭალა, ქუთაისში — აგრომშენებლების დასახლება, რუსთავეში — ქალაქის მარჯვენა ნაპირი და სხვა).



უკანასკნელ წლებში დაიწყო უმაღლეს სასწავლებლების და სამეცნიერო დაწესებულებების მსხვილი კომპლექსების მშენებლობა: თბილისის უნივერსიტეტის ახალი კორპუსი (1968 წ. არქ. ს. ბეჟანოვი, მ. კაჭკაჭიშვილი, მ. შავიშვილი, მ. შუბლაძე; კონსტრუქტორი მ. ლომიძე), საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი სოხუმში (არქ. თ. პაიჭაძე, თ. ყიფშიძე, ქ. წულაია). საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის შენობა (არქ. თ. თუხარელი); გაიშალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ახალი კორპუსების მშენებლობა (გენერალური გეგმის და ცალკეულ ნაგებობათა მთავარი ავტორი გ. ლეჟავა).



შეტრო „300 არაგველს“ ქვედა ვესტიბიული

გარკვეული წარმატება მიღწეულია არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სინთეზის ხაზით. უნდა აღინიშნოს ქორწინების სახლის ინტერიერი (არქ. რ. კიკნაძე, შ. ყავლაშვილი; სკულპტორები გ. და ი. ოჩიაურები). აქ ბუნებრივი ოქროსფერი ტუფით მოპირკეთებულ კედლებს პარაზონიულად ერწყმიან სპილენძის ჭედურობა და კერამიკული ნაკეთობები. განსაკუთრებით დიდი გამოყენება მოიპოვა დეკორატიულმა მოტივებმა (სკულპტურა, ჭედურობა, კედლის ფერწერა, ძველი ქანდაკებების ასლები და სხვა) ბიჭვინთის კურორტის კომპლექსის გაფორმებაში. მიღწევები გვაქვს მემორიალურ ნაგებობათა მშენებლობაში. მაგალითად, 300 არაგველთა მონუმენტი (არქ. ა. ბაქრაძე), კავკასიონის დამცველ გმირთა ძეგლი (არქ. ვ. დავითაია, ა. ჩიქოვანი; სკულპტორი გ. კალაძე) და სხვა. ცალკე უნდა აღინიშნოს საქართველოში არქიტექტურთა მომზადების მაღალ-



ლი დონე. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის არქიტექტორული კულტურის კურსდამთავრებულნი, როგორც წესი, მაღალ შეფასებებს საკავშირო სტუდენტ-დიპლომანტების დათვალეიერებაზე და აგრეთვე რისო კონკურსებზე. მათ შობოვეს ათენისა (1967 წ.) და ვენის (1969 წ.) პრემიები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველ არქიტექტორთა მრავალწლიანი შრომის ბრწყინვალე დაგვირგვინება — თბილისის ახალი გენერალური გეგმის შედგენა (არქ. გ. შავდია, ი. ჩხენკელი, გ. ჯაფარიძე, ჯ. ჯიბლაძე, ეკონომისტი ლ. ლორთქიფანიძე).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის ჩვენს რესპუბლიკას და მის დედაქალაქს მრავალი ახალი შენობა შეემატა. დამთავრდა — მშენებლობა ისეთი დიდი ობიექტებისა, როგორცაა საკოცერტო დარბაზი (არქ. ი. ჩხენკელი), ცეკავშირის ადმინისტრაციული შენობა (გ. მელქაძე, ნ. ქვარცხავა), საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი (გ. ფოცხაშვილი) თბილისში. შენდება დიდი უნივერსალი და გრიბოედოვის სახ. სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი (რ. ბაირამაშვილი დ. მორბედაძე), მეტროპოლიტენის ახალი სადგურები, სასტუმრო „აპარა“ (გ. მელია) და სხვ. შენდება ახალი სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, ახალი მაგისტრალები, ხიდები, დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები, კულტურის სახლები, საცხოვრებელი მიკრორაიონები თბილისში და რესპუბლიკის ყველა სხვა კუთხეში.

და ყველა ამ მშენებლობაში თავისი წვლილი შეაქვთ ქართველ საბჭოთა არქიტექტორებს. ისინი ცდილობენ, რომ საბჭოთა ადამიანს, კომუნისმის მშენებელს, შეუქმნან ყველა პირობები შრომის, ყოფისა და დასვენებისათვის.

მასტანზ ბირიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი

თბილისის ხუროთმოძღვრული ქაღალბი

ჩვენი დედაქალაქის არსებობის მანძილზე თბილისში მრავალჯერაი დანიშნულეების ბევრი მნიშვნელოვანი ნაგებობა შეიქმნა. წერილობითი წყაროები იხსენიებს საშფოო სასახლეებს ისანში (მეტეხის ტაძართან), ნარიყალაზე, „მეფის მოღდანზე“ (ეს უკანასკნელი ფრანგ მოგზაურ შარდენსაც აქვს აღწერილი); თბილისში არსებობდა დიდებულთა სასახლეები, ქარვასლები, საზოგადოებრივი დანიშნულეების შენობები, სხვადასხვა სახის საცხოვრებელი სახლები. „ჭამთა სიაგვმ“ არ დაინდო არც ერთი მათგანი. ძველი თბილისის ძეგლთაგან ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ ციტადელის ნანგრევები, რამდენიმე ტაძარი, ორიოდე საერო შენობა და აბანო.

თბილისს, როგორც შუა საუკუნეების ყოველ ფეოდალურ ქალაქს, იმთავითვე ჰქონდა საკუთარი ციტადელი, რომელსაც თავდაპირველად ქალაქი ერქვა. უძველესი ქართული წყაროები თბილისის იხსენიებს სწორედ როგორც ქალაქ ციხეს. ციხის მნიშვნელობა, ბუნებრივია, გაიზარდა მას შემდეგ, რაც თბილისი დედაქალაქად იქცა. საუკუნეთა მანძილზე შეიქმნა ქალაქის სათავდაცვო ნაგებობათა მთელი სისტემა; საკუთრივ ციტადელის — მაღალი ციხის — გარდა, აშენდა კედლების მეორე სარტყელი, კედლები გარსშემოვრტყა ქალაქის ცალკეულ უბნებსა და მთელ ქალაქსაც. მათ საგანგებოდ იხსენიებენ X ს-ის არაბი ავტორები, მათ შესახებ არა ერთი ცნობა მოიპოვება ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებშიც.

ამ კედლებმა, რომელთაც აზრი და მნიშვნელობა მხოლოდ ფეოდალურ ქალაქში ჰქონდათ, მოაღწია XIX ს-ის დასაწყისამდე, შემდეგ კი ქალაქის ბუნებრივმა ზრდამ მათი დანგრევა მოითხოვა. დღეს არსებობს მხოლოდ საკუთრივ ციტადელის ნანგრევები (ამ ციტადელს ბოლო საუკუნეებში უკვე ნარიყალას უწოდებდნენ) და აქა-იქ ორიოდე ფრაგმენტი თვით ქალაქის სიმაგრეებისა (ერთი — ახლანდელ ბარათაშვილის ქუჩაზე, მეორე მტკვრის ქუჩაზე, იქ, სადაც წინათ ორბელიანების უბანი იყო). ნარიყალა, რა თქმა უნდა, მრავალი ქრონოლოგიური ფენისაგან შედგება. XVII—XVIII საუკუნეების ფენები ადვილად გაირჩევა, მაგრამ აქ ბევრად უფრო ძველი ნაწილებიც იქნება გადარჩენილი. არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, რომელიც ნარიყალაზე წარმოებდა, გამოაჩინა დიდი ეკლესიის ნანგრევი და სხვა შენობათა ნაშთებიც. გათხრების გაგრძელება, უძველესი კიდეგ ბევრ რასმე საუკუნისხმოს გამოაჩენს.

თბილისის სარწმუნოებრივი დანიშნულების ნაგებობათაგან ყველაზე ძველია ე. წ. ანჩისხატიც ეკლესია და სიონი. ორივე საფუძვლიანადაა გადაკეთებული, მაგრამ პირველში მაინც უფრო მკაფიოდ გამოირჩევა თავდაპირველი შენობის ნაწილები.

სახელწოდება „ანჩისხატი“ გვიანდელია, XVII ს-ისა: იმ ხანებში სამხრეთ საქართველოდან, ანჩის ცნობილი მონასტრიდან, თბილისს ჩამოიტანეს და ამ ეკლესიაში მოათავსეს მაცხოვრის სახელგანთქმული ხატი, მოქვილილი ოქრომქანდაკებ-

ლის ბექა ოპიზარის მიერ. როგორ უწოდებდნენ მანამდის ანჩისხატის ეკლესიას, დანამდვილებით ცნობილი არაა. შენობა VI ს-შია აგებული: იგი წარმოადგენს სამხაიან ბაზილიკას, ე. ი. მიეკუთვნება ისეთ საეკლესიო ნაგებობათა ტიპს, რომელიც უმეტესად გავრცელებული იყო ადრინდელ ფეოდალურ ხანაში (სხვა უმნიშვნელოვანები ქართული ბაზილიკებია — ბოლნისის სიონი V ს-ისა, ურბნისის ეკლესია VI ს-ისა და სხვ.).

XVII ს-ის მეორე ნახევარში ეკლესია, რომელიც დროთა განმავლობაში დიდად დაზიანებულიყო, საფუძვლიანად აღადგინეს: თავიდან აშენდა მთელი შიდა ნაწილი — ბოძები და მათზე დაყრდნობილი თაღები, კამაროვანი გადახურვა და, აგრეთვე, გარე კედლების ზემო ნაწილებიც. შუა ნაგი წინანდელთან შედარებით ამალეებულ იქნა. იმავე ხანებში (1675 წელს) ააშენეს ქუჩის პირს მდგომი აგურის სამრეკლო, გვიანი ფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი ძეგლი (თარიღი და აშენების — დოქტორი კათალიკოსის — სახელი სამრეკლოს მთავარი ფსაადის წარწერაშია მითითებული).

XIX ს-ში ბაზილიკა კვლავ შეაკეთეს და ამით დამახინჯეს კიდევ: ძველი სარკმლები ამოქოლეს და მათ ნაცვლად ახალი ფართო სარკმლები გამოანგრირეს, ისე რომ ანგარიში არ გაუწევიათ ძეგლის დამახასიათებელი ფორმებისათვის; დასავლეთის კედელს ზედვე მიადგეს ახალი ულაზათო სამრეკლო, ბაზილიკის სახურავზე შეასკუპეს ცრუ გუმბათი; ამას გარდა, XIX ს-ის დასაწყისში ეკლესია ხელმეორედ მოხატეს: ფრესკები გარკვეული ისტორიული ინტერესის მქონეა, მაგრამ თავისი მხატვრული ღირებულებით მდარეა და, რა თქმა უნდა, სრულიად ვერ შეედრება ძველი ქართული მხატვრობის, თვით XVI—XVII ს-თა, ნიმუშებსაც კი.

1958 წელს, თბილისის 1500 წლის საიუბილეოდ მზადებასთან დაკავშირებით, კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველო შეუდგა ანჩისხატის გაწმენდასა და რესტავრაციას. ძეგლის წინანდელი სახის აღსადგენად ბევრი რამ საკულისხმო გაკეთდა: დანგრეულ იქნა XIX ს-ის დანამატები (სამრეკლო, გუმბათი), ჩამოიწმინდა კედლების მოხატულობის ნაწილი: გამოჩნდა კედლის ძველი წყობა — თლილი ქვისა, და — განსაკუთრებით საინტერესო ხუროთმოძღვრული ელემენტი: ნალისებრი მოხაზულობის ღია (გამჭოლი) თაღები ჩრდილოეთისა და დასავლეთის შესასვლელების თავზე; ამგვარი თაღები (ლუნეტები) გვხვდება მხოლოდ V—VIII საუკუნეების ქართულ ძეგლებში. გამოირკვა, რომ იატაკის წინანდელი დონე 1,25 მ-ით უფრო დაბლა ყოფილა, რომ წინათ ბაზილიკის ნაგებობა ბოძების სამი წყვილი ჰყოფდა ერთმანეთისაგან (და არა ორი, როგორც ახლა). დასასრულ, საკურთხეველში, XIX ს-ის მხატვრობის ქვეშ, აღმოჩნდა XVII ს-ის ფრესკების ნაშთი „მოციქულთა ზიარების“ სცენით. ბაზილიკის ფსაადებზე სხვადასხვა ფენა ადგილი გასარჩევია: თავდაპირველია კედლების ქვემო ნაწილების წყობა მშვენივრად გათლილი ქვის სწორი რიგებით, რაც სწორედ დამახასიათებელია ადრინდელი ქართული ძეგლებისათვის. XVII ს-ში შეკეთებული და დამატებული ნაწილები აგურისაა; მაშინვე ხვდება თვალს XIX ს-ის სარკმლებიც. ახლა ანჩისხატის ბაზილიკა უკვე რესტავრირებული და მოწესრიგებულია (რესტავრაციას ხელმძღვანელობდა არქ. რ. გვერდწითელი).



თბილისის საეპისკოპოსო ტაძარი — ს ი ო ნ ი¹ — პირველად VI—VII საუკუნეთა მიჯნაზე აშენდა. მისი აგება, ქართულ მატრიანეთა თანახმად, VII ს-ის 20-იან წლებში დამთავრებულია. მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდა თვით ქაღალაძეების ტიპის მოსახლეობაც. სიონი ბევრჯერ გადაკეთდა; თავდაპირველი ეკლესიის ახლა ძნელი საცნობია. სიონის შესწავლა დღესდღეობით ძნელია, რაკი ეს მოქმედი ეკლესიაა და შიგ საგანგებო კვლევა-ძიება, მრავალრიცხოვან შეკეთება-აღდგენათა გასარკვევად არ ხერხდება. მაინც საფიქრებელია, რომ ახლანდელი ტაძარი, თავისი ძირითადი ნაწილებით, განვითარებული ფეოდალიზმის ხანას (შესაძლებელია, XII—XIII სს) უნდა ეკუთვნოდეს. 1657 წელს თბილისის მიტროპოლიტმა ელისე საგინაშვილმა სამხრეთის მხრივ ეკლესიას მცირე სამლოცველო მიამაშენა. XVIII ს-ის დასაწყისში ტაძარი კვლავ საფუძვლიანად აღადგინეს: 1710 წელს ვახტანგ VI, რომელიც მაშინ ქართლის გამგებლად იყო, ახალი პერანგით მოაპირკეთა ეკლესიის კედლები და ხელმოკრედ ააშენა გუმბათის ყელი. თბილისის სიონი ერთადერთი ძველი ქართული ძეგლია, მთლიანად მოპირკეთებული ე. წ. ბოლნისის ტუფით, რომელმაც განსაკუთრებული გავრცელება პოვა ჩვენს ღრეს, ახალი თბილისის მშენებლობაში. ეკლესიის შიგნით დარჩენილი ზოგი ხუროთმოძღვრული ფორმა (მაგალითად, მუზარადისებრი მოხაზულობის ცალკეული თაღები) XVII ს-ის გადაკეთებათა შედეგი უნდა იყოს.

XIX ს-ის შუა წლებში (1850—1860) ეკლესია შიგნით მთლიანად მოხატა რუსმა მხატვარმა გრიგოლ გაგარინმა, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში და იცნობდა ქართულ ხელოვნებას. მის მოხატულობას მაინც არაფერი აქვს საერთო ძველ ქართულ ფრესკებთან, რომლებიც განსაკუთრებული ფაქიზი ფერადოვნებით გამოირჩევა. ასევე XIX ს-ისაა კანკელიც. ყველა ამ გვიანდელი შეკეთებისა და დანაშაუტის წყალობით, სიონის ტაძარი უკვე დიდად დაშორებულია თავის ადრინდელ სახეს, მოკლებულია მხატვრულ მთლიანობას. მისი საერთო აგებულება, მაკარი, დახვეწილი სივრცობრივი ფორმები ისეთია, როგორც ქართულმა საეკლესიო არქიტექტურამ შეიმუშავა X—XI საუკუნეების შემდეგ. მაგრამ ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმები, რომლებიც ფასადებს ამკობს, მშრალი და სქემატურია: XVIII ს-ში უკვე დაკარგული იყო X—XIII საუკუნეთა ხუროთმოძღვრული მორთულობის უსასრულო სიმდიდრე და მრავალფეროვნება, შესრულების სიფაქიზე და მხატვრული თავისუფლება.

სიონში დაკრძალულია მრავალი ქართველი სასულიერო მოღვაწე და სხვადასხვა არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი. აქვეა დაკრძალული პოეტი ვახტანგ ორბელიანი.

სიონის გალავანში, ეკლესიის ჩრდილოეთით, ძველი სამრეკლოა. მისი ზემო ნაწილი — ფანჩატური — განახლებულია სულ ცოტა ხნის წინათ. სიონის მეზობლად, ქუჩის მეორე მხარეს, დგას მეორე სამრეკლოც. წარწერის თანახმად, იგი აშენებულია 1812 წელს. ეს ერთი პირველი ნიმუშთაგანია კლასიციზმის სტილისა, რომელიც თბილისის ოფიციალურ მშენებლობაში გავრცელდა XIX ს-ის დასაწყისიდანვე.

¹ სახელწოდება სიონი საქართველოში საქაოლ გავრცელებულია (იტენის სიონი, ჩხიკთის სიონი და სხვ.). იგი დაკავშირებულია იერუსალიმის სიონის სახელწოდებასთან. ისევე, როგორც იერუსალიმის ეს ტაძარი, საქართველოს სიონებიც ღვთისმშობლის მიძინებისადმი მიძღვნილი.

სიონის მახლობლად, მტკვრის მარცხენა კლდოვან ნაპირზე, აღმართული კიდევ ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელიც ძველი თბილისის მხატვრული სახის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ესაა მეტეხის ტაძარი. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, აღმართული კიდევ ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელიც ძველი თბილისის მხატვრული სახის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ესაა მეტეხის ტაძარი. მეტეხის მიდამოები ქალაქის ერთი უძველესი უბანია. აქ აღმოჩნდა ძველთაგანვე ისანი, ანუ ისნი, ერქვა და იგი ჯერ კიდევ ქალაქის არსებობის პირველსავე საუკუნეებში ხიდით უკავშირდებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირს, ე. ი. ქალაქის ძირითად ნაწილს (საუკუნეთა მანძილზე ეს ქალაქის ერთადერთი ხიდი იყო). XI ს-ში ისანს საკუთარი გალავანი ერტყა — იგი ქალაქის დამოუკიდებელ ნაწილს წარმოადგენდა. თვით მეტეხის ხსენება პირველად XII ს-ის მეორე ნახევარში ჩნდება გიორგი III და თამარის დროს. მაშინ იქ უკვე არსებობდა სამეფო სასახლე და ეკლესია. შემატანე გადმოგვცემს, რომ თამარმა თავისი მამის გარდაცვალების ამბავი გაიგო „ქალაქსა შინა ტფილისსა, საჯდომსა მათსა ციხესა ისანს“. თამარის მეორე ისტორიკოსი ბასილი კი მოგვითხრობს, რომ შამქორის ომის დროს, ჯარის გასტუმრების შემდეგ, თამარმა „წარინადა“ ფეხსამოსი, „შეშულითა ფერხითა მიიწია (ე. ი. მივიდა) ტაძარსა ღვთისმშობლისასა მეტეხთა და წინაშე ხატს ამას წმიდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად, ვიდრემდის სრულყო ღმერთმან სათხოელი მისიო“, ე. ი. სანამ ქართულთა ღამქარმა არ გაიმარჯვაო.

1235 წელს, როცა თბილისში მონგოლი დამპყრობნი შემოიჭრნენ, რუსუდან დედოფალმა დატოვა დედაქალაქი, ხოლო ციხისთავმა მუხასქემ, „რაქამს სცნა... მოახლოება თათართა (ე. ი. მონგოლთა), მოწუა სრულიად ქალაქი და თვით პალატი (სამეფო სასახლე) და ისანნი და ესრეთ მოხრდა ქალაქი ტფილისისა“. ამ დროს დაიღუპა, როგორც ჩანს, მეტეხის ძველი ტაძარიც, რომლის აშენების თარიღი ჩვენთვის უცნობია. ისნის სამეფო პალატები უკვე XIII ს-ის შუა წლებში აღადგინეს, ხოლო ეკლესია იმავე საუკუნის მიწურულში (1278—1289 წლებში) კვლავ ააგო დემეტრე II-მ („თავდადებულმა“). ჟამთააღმწერელს ამის შესახებ ასეთი ცნობა აქვს: [დემეტრემ] „აღაშენა პალატსა შინა მონასტერი ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობლისა და შეამკო განგებითა დაღითა და შესწირნა სოფელნი და ზეარნი და განუჩინა მონაზონთა საზრდელი და განაგო განგებითა კეთილითა“. სწორედ ამ ტაძარმა მოაღწია დღემდე.

ამგვარად, მეტეხის ტაძარი აშენებულია საქართველოსათვის მეტად მძიმე დროში — მონგოლთა მძლავრობის, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დაუძლეურების ხანს. ეს განსაკუთრებულ ინტერესს ანიჭებს ძეგლს: უძველესია, რომ ამ მძიმე ნივთიერი და სულიერი კრიზისის მიუხედავად, ქართული ხუროთმოძღვრება ჯერ კიდევ არ იყო დაცემული, მისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები განაგრძობდა არსებობასა და განვითარებას.

მომდევნო საუკუნეებში მეტეხს, მთელ თბილისთან ერთად, ბევრი რამ გადახდა. XVII ს-ში, როცა ქართლს გამაჰმადიანებული მეფეები განაგებდნენ, აქ ერთხანს თოფის წამლის საწყობიც კი იყო. XVIII ს-ში მეტეხის ციხეს თურქები დაეპატრონენ და მხოლოდ 1748 წელს შეძლო ერეკლე II-მ მათი იქედან განდევნა დიდი ბრძოლის შემდეგ. ამ ბრძოლის ამბავს ყველა იმდროინდელი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რადგანაც მეტეხის ძველი ციხისა და ტაძრის გათავისუფლება და უცხოელთა გარნიზონის განდევნა დიდი ეროვნული საქმე იყო. თვით ერეკლემ,





თავისი გამარჯვების აღსანიშნავად. ეკლესიის კედელზე საგანგებო წარწერას ამოაქრევინა ლექსად. ერეკლემ აღადგინა გაუქმებული ეკლესია, საფუძვლიანად შეაკეთა მისი კედლები: „ინებეს და განაშენეს მეტეხის ყოვლად-წმიდისკურთხეულ ტერიი, წმიდას ეკლესიად, დაადგინეს დასანი სამღვდელლონი... ხოლო განაბრწყინვა წმიდამან პატრიარქმან ანტონიმ სახლად ღვთისად და განანათლა ყოველი კერძო“, მოგვითხრობს ამის შესახებ ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი.

XIX ს-ის დასაწყისში მეტეხის ძველი ციხე, რომელიც უკვე ძალიან დაზიანებული იყო (უკანასკნელად იგი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დაზიანდა), დაანგრეს, ხოლო რუსი მთავარმმართველის ერმოლოვის დროს, ოციანი წლების დასაწყისში, მის ადგილზე საპყრობილე აღმართეს. ერმოლოვის მშენებლობამ საგრძნობლად უცვალა სახე მეტეხის ანსამბლს. ძველი ეკლესიის გარშემო, უწინდელი მრგვალო მოკვებისა და გადამამბლის ნაცვლად, ყაზარმული ტიპის ახალი შენობები ჩამწყვრიდა.

ორმოციანი წლებში მეტეხის ეკლესია კვლავ განაახლეს. ალბათ მაშინ მიიღო მან თავისი აწინდელი სახე. მაშინდელია სამხრეთის კედლის ზემო ნაწილი აგურის წყობითა და ფართო სარკმლებით, ჩრდილოეთის კარიბჭის ზემო ნაწილი, თუნუქის სახურავი და სხვ. განსაკუთრებით დამახინჯდა ეკლესია შიგნით: შეღესილობამ, ჩაშენებულმა და გადაკეთებულმა ნაწილებმა დიდად შეუცვალა მას სახე.

1933 წლიდან, როცა მეტეხის საპყრობილე გაუქმდა, მეტეხის ტაძარი, როგორც ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი მისაწვდომი გახდა საზოგადოებრივისათვის. ახლა მეტეხის მიდამოები კეთილმოწყობილია: საპყრობილის უსახური კორპუსები დაინგრა, ხოლო ტაძრის წინ, ზედ კლდის ქიშხე, აღმართა გმირი მეფის, ეროვნული განთავისუფლებისათვის დიდი მებრძოლის, ვახტანგ გორგასალის ძეგლი (მოქანდაკე ილგუჯა ამაშუკელისა). შეკეთდა თვით ეკლესიაც.

მეტეხის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია. XIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIV ს-ის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლსა და კახეთში) არც მოიძებნება ამ მასშტაბის სხვა საეკლესიო ნაგებობა. თავისი საერთო სახით მეტეხი ბუნებრივად აგრძელებს XII ს-ისა და XIII ს-ის პირველი ნახევრის ტრადიციებს, მაგრამ მასში უკვე ჩნდება ზოგი ახალი თავისებურებაც, რომელიც სწორედ XIII—XIV საუკუნეთა მიჯნას ახასიათებს. ეს ეხება როგორც შენობის პროპორციებს, ისე ფასადების მორთულობას, კერძოდ, ჩუქურთმის დამუშავების ხერხებს: ჩუქურთმის სახეები წინანდელთან შედარებით დაწვრილმანებულა. მათი შესრულება — რამდენადმე მშრალი. დამახასიათებელია ეკლესიის სამი შვერილი აფსიდი აღმოსავლეთის მხარეს: ქართულ ეკლესიებში ასეთი რამ შედარებით იშვიათად გვხვდება. ამ შვერილთა არსებობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ აქ განმეორებულია ამ ადგილას წინათ არსებული ეკლესიის გეგმა: ადრინდელ ძეგლებში შვერილი აფსიდები მაინც უფრო ხშირია.

მეტეხის საერთო მხატვრულ მთლიანობას, რა თქმა უნდა, არღვევს ის, რომ მას არ შერჩენია თავდაპირველი გუმბათი და ფასადების საგრძნობი ნაწილებიც აგურითაა აღდგენილი. განსაკუთრებით დასანანი მაინც ძველი გუმბათის დალუბვაა. ახლანდელი აგურის გუმბათი ძალიან უსახურია, თან, არც ის ვიციოთ, რამდენად უახლოვდება იგი წინანდელი გუმბათის პროპორციებს.

მიუხედავად ამისა, შვეულ კლდეზე გადმომდგარი და თითქოს ამ კლდესთან შეზრდილი მეტეხი, თავისი მკაცრი სილუეტით მაინც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. ნარიყალასთან ერთად, იგი ძველი თბილისის გრანდიოზულ ჩარჩონს ქმნის. ყველა ეს ძეგლი — ანჩისხატი, სიონი, მეტეხი, ნარიყალა — ქალაქის ძველ ნაწილშია თავმოყრილი. მაგრამ მნიშვნელოვანი ძეგლები თბილისის მიდამოებშიაც მდებარეობდა (ეს მიდამოები ახლა უკვე შუაგულ ქალაქშია). უმეცველია, თბილისის ერთი უძველესი ძეგლთაგანი იყო ქვაშვეთის ეკლესია, თავდაპირველად დაარსებული, ალბათ, VI ს-ში. იგი ე. წ. ტეტრაკონქის ტიპისა ყოფილა (ე. ი. უკარისებრი, ოთხი მკლავით, რომლებიც მომრგვალებული აფსიდებით მთავრდებოდა). XVIII ს-ში თავადმა გივი ამილახვარმა ამ ძველი ეკლესიის ნანგრევებზე იმავე გეგმით ახალი ეკლესია ააგო, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილას უკვე 1904—1910 წლებში აშენდა ქვაშვეთის ახლანდელი ეკლესია. მისი სახე XI—XIII საუკუნეთა ქართული ტაძრების სახის მიხედვითაა შექმნილი. ფასადების მდიდარი შორთულობა ცნობილი ქართველი ოსტატების ძმები ალდაძეების მიერაა შესრულებული.

კიროვის პარკის მახლობლად, ლეო ქიაჩელის ქუჩის ბოლოს, დარჩენილია შუა საუკუნეების საყურადღებო ნაშთი. ესაა ე. წ. ლ უ რ ჯ ი მ ო ნ ა ს ტ ე რ ი, რომელიც, სამხრეთ შესასვლელის თავზე მოთავსებული გრძელი წარწერის თანახმად, XII ს-ის მიწურულში, თამარის მეფობის დროსაა აშენებული. დროთა ვითარებაში ეკლესია ძლიერ დაზიანდა, ხოლო XIX ს-ის სამოცდაათიან წლებში იგი ისე აღადგინეს, რომ სრულიად არ გაუთვალისწინებიათ მისი დამახასიათებელი ფორმები. ამის გამო ძველი სახეებით დამახინჯდა. ძველი ძეგლისა გადარჩენილია მხოლოდ კედლების ქვემო ნაწილები თლილი ქვის წყობით, ხსენებული წარწერა და აღმოსავლეთის ფასადის ოთხი მოჩუქურთმებული სარკმელი. ეკლესია თავდაპირველადაც გუმბათიანი იყო და თავისი საერთო აღნაგობითა და შორთულობის ხასიათით მიეკუთვნებოდა XII—XIII საუკუნეების ცნობილ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა (ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი და სხვ.) ჯგუფს.

თბილისის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით „ლურჯი მონასტერი“ შეკეთდა და გაიწმინდა.

სხვა ძეგლთაგან მოსახსენებელია როსტომ მეფის სასახლის ერთადერთი ნაშთი — აბანოს გუნობა (მტკვრის მარჯვენა ნაპირზე), რომელიც ზ ა რ ა ფ ხ ა ნ ი ს სახელით იყო ცნობილი. ეს აგურის ნაგებობა — გუმბათიანი ოთახებით, ზემო განათებით, „სგრაფიტოთი“ შემკული კედლებით — XVII ს-ის მეორე ნახევრისაა; ერეკლე II მეუღლის დ ა რ ე ჯ ა ნ ი ს სასახლე ავლაპარში, მეტეხის მახლობლად. მისი მრგვალი ბურჯი ზედ შვეულ კლდეზეა მიბუენილი, ხოლო ხის აივანი, რომელიც ამ ბურჯის თავზეა, თავს დაჰყურებს რიყესა და მის მიდამოებს. ამ სასახლემ ძლიერ გადაკეთებული სახით მოაღწია ჩვენამდის. თბილისში დარჩენილია აგრეთვე რამდენიმე სომხური ეკლესიაც (სურფნიშანი, ნორაშენი, ქარაფის წმ. გიორგი და სხვ.). მათი უმეტესობა XVIII ს-ისაა.

ცალკე თემას შეადგენს XIX ს-ის პირველი ნახევრის თბილისური საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ჩვენი დედაქალაქის ძველი უბნების განუყოფრებელ სილამაზეს ქმნის.



თბილისის დედაცნის არქეოლოგია¹

შუასაუკუნეთა საქართველოსა და მისი დედაქალაქის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის სისტემური არქეოლოგიური თხრით კვლევა დაიწყო შედარებით გვიან. 1966 წელს. მანამდე, სხვადასხვა დროს, თბილისის რამდენიმე უბანში (დიდუბე, ღრმალეუ, ნავთლუდი, ორხევი, 300 არაგველის ბაღი, ერეკლე მეორის მოედანი და სხვ.) წარმოებდა ნამდვილად ნაყოფიერი თხრა, მაგრამ ყველაზე ძველად აღმოცენებული და დიდი, ძლიერი ციხე არქეოლოგიურად თითქმის ხელშეუხებელი რჩებოდა. თანაც, წერილობითი წყაროების ცნობით, იგი ჯერ კიდევ IV საუკუნეში გვევლინება, როგორც მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქის სიმაგრე და მას შემდეგ, მთელი ფეოდალური ხანის მანძილზე ემსახურება, როგორც ნამდვილ პატრონებს, ისე მოძალადე მომხდურებს...

ამ საქმეს ნამდვილი საძიკველი ჩაეყარა შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თაოსნობითა და თბილისის საბჭოს აღმასკომის სრული (ფინანსური, ტექნიკური და სხვ.) მხარდაჭერითა და ხელშეწყობით, რაც დღემდე განუზრელად გრძელდება. 1966 წელსვე შეიქმნა ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გაერთიანებული ექსპედიცია, რომელსაც ინსტიტუტმა უთავა შუასაუკუნეთა არქეოლოგიის განყოფილების გამგე გ. ლომთათიძე, ხოლო თბილისაბჭომ — მუზეუმის დირექტორი ო. ტყეშელაშვილი. მესამე თანახელმძღვანელი იყო ინსტიტუტის აღნიშნული განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, შუასაუკუნეთა და კერძოდ თბილისის არქეოლოგიის ღვაწლმოსილი მკვლევარი, უდროოდ (1968 წ.) გარდაცვლილი ი. გძელიშვილი. ამ უკანასკნელს 1969 წლიდან შეენაცვლა ინსტიტუტის იმავე განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვ. ართილაყვა. ექსპედიციაში სხვადასხვა დროს, რიგრიგობით მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ, მუზეუმის მხრივ — ა. ვუხვაძე, ც. მაგრაქველიძე, გ. ბაძგარაძე, განსაკუთრებით — ბ. გოძიაშვილი და ზ. მჭედლიშვილი; ინსტიტუტის მხრივ — ა. ბოხოჩაძე, ჯ. ჯღამაია, ჯ. ამირანაშვილი, გ. ნასიძე, ვ. ჯაფარიძე, გ. ლამბაშიძე და შეტადრე კი მ. მიწისმედი, ნ. მამაიაშვილი, მ. ჩხატარაშვილი და თ. არჩაბაძე. (ამ ოთხს ეკუთვნის კერამიკის და მინის შესწავლა).

ცალკე აღსანიშნავია ხუროთმოძღვრების ისტორიკოსთა ლ. რჩეულიშვილი და რ. გვერდულიანი (და მისი თანამშრომელი თ. ნემსაძის)

¹ გამთხრელები შეთანხმებული არიან, „თბილისის დედაციხე“ იმპრონ, როგორც ამ სიმაგრის ძირითადი სახელწოდება; იგი კართულია, ხალხური და ძველ წყაროებში ზოგად სახელად გამოყენებულ „დედაციხე“ — შთავარი ციხე). სხვა სინონიმებს, მათ შორის უცხოურთაუც (აკალა, „ხარისხა“, „მურისციხე“) ისტორიული მნიშვნელობა-და რჩება და ზოგი კი ეგვიპტეობის ნაყოფადაც უნდა მივიჩნიოთ.

მუდმივი და ნაყოფიერი მონაწილეობა განთხარი ძეგლების ფიქსაციისა და არქიტექტურულად გააზრების საქმეში, ხელოვნებათმცოდნე სტუდენტების მონაწილეობითაც.

საქართველოში
საქართველოს
საქართველოს

სადღეისოდ ექსპედიციას ჩატარებული აქვს 3 საქმაოდ ხანგრძლივი მუშაობა, რომელთა შედეგადაც დედაციხის ნანგრევი ღირსეულად ჩადა უკვე საქმაოდ გათხრილ-შემეცნებული ძეგლების მწყკრევი.

შუასაუკუნეთა საქართველოსა და მისი დედაქალაქის ხანგრძლივი, დაძაბული და ხშირად მძიმე ისტორიის შესაბამისად, დედაციხის — ომიანობისა ყოველთვის ხელთ ჩადებებისადმი ლტოლვის უპირველესი საგნის — ნაშენობა მრავალჯგის არის დანგრეული, დაზიანებული, აღდგენილი და ძლიერ გადაკეთებულიც. ამის გამო მის ზღუდე-გოდოლთა პერანგს უაღრესად შრელი აღნაგობა აქვს.² ამასთანავე, ზღუდეს შიგნით საგულეველები იყო რამდენიმე ვრცელი ისტორიული ეპოქის (საერთოდ კი IV—XVIII სს., უფრო ადრინდელისაც თუ არა) შესატყვისი და დამახასიათებელი ნაშთები. ყოველივე ამის გათხრა-გამოვლენა და ჯეროვანი შესწავლა, რა თქმა უნდა, დიდძალ ახალს და პირველხარისხოვან მასალას შემატებს თბილისის არქეოლოგიურ ისტორიას, რომელიც ჯერაც ნაკლებია, მიუხედავად უკვე არა-ერთი შინაარსიანი ნათხარობისა (ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა და განსაკუთრებით, დიღმის ექსპედიციის ნამუშევრისა და მრავალი ბრწყინვალე აღმოჩენისა).

სადღეისოდ დედაციხეზე გამომწეურებულია რამდენიმე ნაგებობის შინაარსიანი ნაშთი და მოპოვებულია დიდძალი „წერილი“ მასალა. ყოველივე ამან უკვე ფრიალ გაკვიმადრა თბილისის ნიუთიერი ისტორია და შეგვივსო — წერილობითი. მავრამ უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ნაშთების გამოვლენა (მეტადრე ძველი და უძველესი ფენებისა) მომავალშია მოსალოდნელი. ჯერჯერობით თხრა წარმოებს და კარგა ხანს იწარმოებს შიდაციხეს („ციტადელს“) შიგნით, ქვედა ტერასაზე; მალე დაიწყება ზედაზედაც.

ამ წერილში თხრის შედეგებს გადმოვეცემთ კამბანიათ თანმიმდევრობისამებრ. ისინი წინასწარ მოკლედ გამოქვეყნებული იყო ცალ-ცალკე,³ აქ კი ვაერთიანებთ.

1966 წელს მუშაობა დაიწყო მოსასინჯავი თხრილების გაჭრით. როგორც იმ დიდ სივიწროვეში იყო მოსალოდნელი, ყოველ მათგანში იჩინა თავი შენობათა ნაშთებმა. ერთი მათგანის კედელი ნაწილობრივ ადრეც ჩანდა, გაუთხრელად (და სწორედ იქ მოესინჯათ ადრე მუზეუმის მუშაკებს, მცირედ).

ყველაზე უფრო საინტერესო და რამდენამდე მიულოდნელიც გამოდგა გამოშეურება და გაწმენდა მორზდილი ტაძრის მანამდე მთლად მიწით დაფარული ნაშთებისა. მიუხედავად ნაკლებობა-დანგრეულობისა და დამახინჯებისა, ახალგამოვლენილმა ტაძარმა იმთავითვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა — მით უმეტეს, რომ მას ზოგან ადგილზედვე შემორჩენოდა კარგი ჩუქურთმა, ხოლო უმეტესობა ნატეხების სახით გამოიკრება მიწიდან. ის ჩუქურთმები იმდენად ტი-

² საერთოვე ციხის შესახებ უფრო ვრცელად იხილეთ გ. ლომთათიძის წერილში „საქართველოს ნაიხარია არქეოლოგიისათვის“ („ძეგლის მეგობარი“, კრებ. 14, 1968).

³ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, № 2; საველე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათაში მიძღვნილ უკვეწლიურ სესიათა მოკლე ანგარიშებით, 1966, 1968 და 1969 წლებსი; მოსკოვში გამოშვავი ყოველწლიური კრებული «Археологические открытия», 1967 და სხვ.



თბილისის დედაციხის შიდა სიმაგრე.

ფოტოს ნარკვევებით დაფარული ქანობი წარმოადგენს იმ ადგილს, სადაც 1966-69 წლებში წარმოებდა არქეოლოგიური თხრა



პიური და მკაფიო გამოდგა, რომ სრულიად უყოყმანოდ განეკუთვნა შუაფეოდალურ ხანას, „რუსთაველის ეპოქას“, უფრო კი XII—XIII სს. ისინი მაშინვე მივსებავსა, უპირველეს ყოვლისა, თბილისის მეტეხის ჩუქურთმებს. მერე და მერე მოიჩქვება, რომ ის ორი საყდარი სიდიდე-აღნაგობითაც ძალიან ჰგავდნენ მკაფიო შუაფეოდალურ მკაფიოებს.

დღესდღეობით, დედაციხეში განათხარი ტაძრის არქიტექტურისა და დეკორის (ნიშების, პილასტრების, ჩუქურთმის და სხვ.) დაწვრილებით შესწავლამ გამოარკვია, რომ ეს ტაძარი XIII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს აგებული, ყველაზე უფრო მახლოვლი ანალოგიების მიხედვით. მეტეხი კი (საკუთრივ გუმბათიანი ეკლესია), როგორც კარგად არის ცნობილი, აგებულია მეფე დემეტრე თავდადებულის (1278—1289 წწ.) დროს, ე. ი. უკვე დიდად დამძიმებული მონღოლობისას, რასაც ემსხვერპლა აღნიშნული მეფე. მაშასადამე, საქართველოსათვის კრიტიკულ ხანაში და სრულიადაც არა-ხელსაყრელ ვითარებაში, თბილისში, მტკვარს გაღმა-გამოღმა, ერთიმეორის მომზირალ მაღლობებზე შენდება ორი მონუმენტური ტაძარი, ჯერ კიდევ ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრების დონეზე მდგარი. მათი ყოველმხრივი მსგავსება კი ვვაფიქრებინებს, რომ, საქართველოს ზოგი სხვა მხარის მსგავსად, დედაქალაქშიც ფუთქავს ცოცხალი ხუროთმოძღვრული და მშენებლობითი შემოქმედება და თითქოს ერთისა და იმავე მხატვრული სკოლის კუთვნილი ოსტატები აგებენ იმ ორ საყდარს, მეტი რომ არა იქნას-რა.

ამრიგად, თბილისის ექსპედიციამ გამოამზიურა და, მიუხედავად ნაშთის დიდი ნაკლებობისა, მეცნიერულად მაინც ჩააყენა კვლავ მწყობრში რუსთაველის ხანის ქართული არქიტექტურის უთუოდ თვალსაჩინო ქმნილება. ასეთი, იმ დროისათვის დამახასიათებელი და მხატვრულადაც ღირებული ძეგლი არც თუ ბევრი გვაქვს შემორჩენილი, კერძოდ თბილისში.

ეს ტაძარი გვემით წარმოადგენდა შედარებით მცირედ წაგრძელებულ სწორკუთხედს, რომლის შიდა სიგრცე საკმაოდ აღემატება 200 კვ. მ. კედლები ამოყვანილია დაკუთხული ქვითა და მათზე გარშემოწყობილი აგურით (შუაფეოდალური ხანის საქართველოში ძალიან გავრცელებული ტიპია წყობისა), იატაკი და სვეტები — აგურით. გარედან კედლები და გუმბათი შემოსილი ყოფილა კარგი ღიაფერი ქვათლილებით, რომლებზედაც ამოჭრილია ჩუქურთმაც. ეკლესია შიგნიდან მოხატული ყოფილა (ერთ მრგვალ სვეტზე მცირე ნაშთი-ღა იყო).

ტაძარი დანგრეული, დამწვარი და თითქოს აფეთქებული კი არის; ძლიერ ნახანძრევი ჩანს, მეტადრე გარედან, სადაც ზოგი ნიში თითქოს საკამურიან ბუხრებადაც კი უქცევიათ. გუმბათი, სახურავი და კედელთა ზედა ნაწილები შიგ ჩაქცეულ-ჩაწოლილი იყო, ქვები — წითლად გარუჯული და გაფხვიერებული. ტაძრის გარეთა სამკაულისაგან შემოქარცული ჩანს ის რამდენიმე ჩუქურთმიანი ქვა, რომლებიც ციხის ზღუდის გარეთა პერანგშია ჩართული.

ყოველივე ამის გარდა, შენობა — ეტყობა, დანგრევის შემდგომ — გადაკეთებული და დამახინჯებულია: ორი კარი, სამხრეთისა და აღმოსავლეთისა, აგურით ამოუქოლავთ, საკურთხეველი შუაში გაუჭრიათ და ისე მოუწყვიათ ახალი კარი, გაუქმებულთა ნაცვლად. დასავლეთის (მთავარი კარის მქონე) კედლის ნანგრევზე, ნაყარი მიწა-ლორღის ფენაზე სულ გვიან მცირე აბანოც კი დაუდგამთ.

ძეგლის შემსწავლელებს იმთავითვე გაუჩნდათ აზრი, რომ ასეთი ხაზგასმით

უდიერი მოპყრობა ქართული ქრისტიანული ტაძრისადმი იმ მუსლიმ დამპყრობ-
ლებს უნდა მიეწეროს, რომლებიც დრო და დრო ხანგრძლივ იკიდებდნენ ხოლმე
ფეხს თბილისის დედაციხეზე. ვახუშტის ცნობით, ქართლის მეფეს, მამყვანს, რო-
ტომს (1632—1658) სულაც „დაუტყვევია“ და „მიუცია“ სპარსელთათვის იქ
მდგარი „სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შევნიერნი“. მას მიჰყვებო-
და, რა თქმა უნდა, „ეკლესია გუნმათიანი წმიდის ნიკოლოზისა“, რომელიც უკვე
გათხრილ ტაძარს უნდა გულისხმობდეს; თვით როტომმა კი „სიონსა და ანჩის-
იატს შუა, მტკვრის გარდაკიდებით აღაშენა სასახლე“. ხაზგასასმელია, რომ ვახუ-
შტი დედაციხის ტაძარზე მსჯელობს, როგორც ჯერ კიდევ მთავრზე. მასმასდამე,
დანგრევაც და დამახინჯებაც მას შემდეგ არის საგულისხმებელი. პლ. იოსელიან-
ის აზრით, ვახუშტის მიერ „შვენიერად“ წოდებული სასახლის დიდი შენობები
მდგარან XVIII საუკუნის შუა ხანებამდე. იგი გვამცნობს კიდევ შემდეგ ყურადსა-
ღებ ფაქტებს: გენერალ ა. ერმოლოვს ის წმიდათა წმიდა, ნიკოლოზ სასწაულთ-
მოქმედის სახელობის, სასახლის კარის ეკლესია თოფისწამლის საწყობად უქცე-
ვია, ხოლო სასახლის ნანგრევები დაურღვევიაო⁴. სხვა ცნობით, 1827 წელს იმ
საწყობს მეზი დასცემია და აუფეთქებია. ასეთი რთული, რამდენიმე საფეხურად
მიმდინარე თავდადასავლის შემდეგ სრულიად ბუნებრივია, რომ ოდესღაც „შვენი-
ერი“ კარის ეკლესია იმგვარად დასახინრებული დაუმარხავს მიწას.

ტაძრის ნანგრევების თხრისას მრავლად ამოდიოდა მოუქიქავი და ცისფრად
მოჭიქული კრამიტი, ისევე მოჭიქული შორენკეცები — სწორედ შუაფეოდალური
ხანისათვის დამახასიათებელი და სწორედ საკულტო ნაგებობათა დასაბურავად
თუ მოსაპირკეთებლად ხშირად ნახმარი.

საკუთრივ სასახლე ჯერ არსად არის მიკვლეული (და ეგებ უფრო ზედა
ტერასაზე იყოს საგულისხმებელი), მაგრამ ტაძარს ირგვლივ გამოვლინდა რამ-
დენიმე, ჩანს, დამხმარე ნაგებობის ნაშთები. ერთი მათგანი, ლეღთა ხევის (ბო-
ტანიკური ბაღის) გდამყურე ფლატის პირას, ყველაზე უფრო ღრმად დამარხუ-
ლი, მკვიდრად ნაშენი და ძალიან კარგად შელესილი იყო. მისი თხრისას მოპო-
ვებული კერამიკის უმეტესობა შუაფეოდალურ ხანას მიეკუთვნება⁵ და ამის მი-
ხედვით თვით შენობაც ისე დათარიღდა.

იმავე თხრილში აღმოჩნდა ნატები ჩუქურთმიანი ქვისა, რომელიც მკაფიოდ
გამოირჩევა დიდი ტაძრის ნანგრევებიდან ათეულობით მომდინარე ჩუქურთმიანი
ქვებისაგან და თითქოს ბევრად უფრო ადრინდელიც არის. სხვა თხრილში თავი
იჩინა ეკლესიის კარაკინის (ტიშპანის) მუქმა რუხმა ქვამ, რომელზედაც ამოლა-
რულია, უცხო ხელით, საფეხურები ვეარის გამოსახულება. ამასთანავე თვით
ტაძრის ლიბოს (ზეძირკველის) ქვემოთ გაშიშვლდა სულ სხვაგვარი, მუქი რუხი
ქანისაგან გამოთლილი ქვაკუთხედი. ეს სამი დაკვირვება თითქოს გვაძლევს უფ-
ლებას წამოვაცუნოთ სამუშაო ჰიპოთეზი, რომ დიდი გუმბათიანი და ლიაფერი
ქვით შემოსილი ტაძარი დაუფუძნებიათ ბევრად უფრო ძველი და ალბათ უცუ-
მათო საყდრის ნაშთზე — მსგავსად, მაგ., იმავე თბილისის მეტეხისა და სიონისა,

⁴ Пл. Иоселлиани, Описание древностей города Тифлиса, 1966, стр. 32—33.

⁵ იმდროინდელი, მეტადვე მოჭიქული თიხის ჭურჭელი სადღესოდ კარგად არის შესწავ-
ლილი — უპირველეს ყოვლისა, თბილისშივე, 300 არაველის ბაღში 1948-49 წწ. ვაიხრილი,
XIII საუკუნის მეორე ნახევარში დაღუპული სათუნე სახელოსნოს ნაშთების წყალობით.

მცხეთის სვეტიცხოვლისა და სხვ. შესაძლოა, ესოდენ ძველივე ნაშენობის ნაშთი იყოს ის დიდი ქვათლილები, რომლებიც შიდაციხის კარიბჭის გოდოლის წახრჩვენი ნაშთები გვხვდა შემორჩენილი.



ამ პიპოთუხთან დაკავშირებით დავიმოწმებდით პლ. იოსელიანის უყოყმანო განცხადებას, „მთაზე მდგარ ძველ ციხეში“ სასახლეცა და კარის ეკლესიაც აშენებულია V საუკუნეში, ისევე როგორც მეტეხისაო.

სხენებულ კარიბჭესა და ტაძარს შორის, ტაძარზე დაბლა მდებარე დიდი შენობაც ითხრებოდა თითქმის მას მოუნდა მეორე, 1967 წლის კამპანია, მით უმეტეს, რომ მონათხარი მიწის გატანის მექანიზაცია დაგვიანდა. მისი ფართობი 240-იოდე კვ. მ. უდრის. კედლები შემორჩენილი აქვს სხვადასხვა სიმაღლეზე, საშუალოდ 3 მეტრზე. სწორედ მისი ერთი კუთხე იყო ნაწილობრივ ჩათხრილი თბილისის მუზეუმის მიერ ჩატარებული ზვევრითი მუშაობისას, 1954 წელს. ეტყობა, იმ ვრცელსა და მკვიდრ შენობას სამეურნეო დანიშნულება ჰქონია და, თუ მეტი არა (ბოლომდე არ ჩათხრილა), ორხნოვანი და ორგვარად ნაშენი შიდაც ყოფილა: ქვედა ნაწილის წყობა ჰგავს ტაძრისას (დაკუთხული და აგურით „შემორჩარებული“ ქვები და აგური), ზედა კი მარტოოდენ აგურით არის ამოყვანილი. ამრიგად, შუაფეოდალურ და გვიანფეოდალურ ხანათა ნაშენობასთან უნდა გვეკონდეს საქმე. ამას კვერს უკრავს ის გარემოება, რომ მრავალრიცხოვან მონაპოვარშიც გამოირჩევა ორი სათანადო ჯგუფი. ძველში შედის მოუჭიქავი და მოჭიქული თიხის ჯამ-ჭურჭელი, და ასევე ორნაირი კრამიტი (მათ შორის „ყვავილიანიც“, კარგად ცნობილი შუაფეოდალური ხანის ნაგებობათა და თბილისის სათუნე საწარმოს განათხარებში). ძველ ფენას მიეკუთვნება 3,5 მეტრ სიღრმეზე გამოფლენილი მარანი (რომელიც, ცხადია, ციხის ქართველ მფლობელთა საკუთრება იქნებოდა), ახალს — ბევრად მაღლა მდებარე თონე და „ამბარი“. აგურის ერთი კუთხოვანი სვეტის ძირას, ორმოში მრავლად აღმოჩნდა გვიანდელი ჭურჭლეულის ნალექი. საერთოდაც, კერამიკისა და მინის დიდი უმეტესობა გვიან შუა საუკუნეებს ეკუთვნის.

პირველივე კამპანიის დროს გაითხარა ამ შენობაზე სამხრეთიდან, წვერით მიდგმული აგურის ნაგებობისა და მასთან დაკავშირებული წყალსადენის ნაშთი. მონეტა მას XV ს-ნით ათარიღებს.

მესამე, 1969 წლის კამპანია, ისევ სივიწროვისა და მონათხარი მიწის გაუზიარდობის გამო, არსებითად მიეძღვნა პირველი კამპანიის დროს გამოვლენილი ტაძრის ბოლომდე ჩაწმენდას და მისი გარემოს ჩათხრას. ორი იატაკი გამოჩნდა — ჩანს, ორი სამშენებლო პერიოდის მიმანიშნებელი, რაც სხვა დაკვირვებათა მიხედვითაც არის ნაგარაუდვეი. ამ მუშაობის შედეგებმა და დამატებითმა დაკვირვება-დეტალებმა მხოლოდ კვერი დაუკრა ტაძრის მსვავსებას მეტეხის ეკლესიასთან და აგრეთვე იმ აზრს, რომ იგი საბოლოოდ დანგრეულა და გაუქმებულია XVIII ს-ნის მე-2 ნახევარში და ამას კი მოჰყოლია მისი გადაკეთება. დასავლეთი ფასადის წინ აღუფარებიათ აგურის კიროვანი კედელი, ხოლო სივრცე იმ ფასადსა და კედლს შორის ამოუესიათ მიწითა და ნაგავ-ლორღით, ამრიგად წარმოქმნილ მოედანზე დაუფუძნებიათ უკვე ხსენებული აგურის აბანო, ერთ-ერთი უახლესი ნაგებობა შიდაციხეში. მისგან შემორჩენილია იატაკის ნაწილი, საცეც-

* Пл. Иоселиани, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

ხლური, მცირე აბაზანა და საკანალიზაციო სისტემა. აღნაგობით იგი მოგვაგონებს XVII—XVIII ს-თა აბანოებს (როსტომის სასახლისას თბილისში, გრემისას, ერეკლე I სასახლისას რუსთავის ნაცხეარზე), ოღონდ ყველაზე ახალია: ვერსტიკული XVIII ს-ნის მე-2 ნახევრის უწინდელი, ისეა დადგმული გაუქმებულ ეკლესიის ადგილზე. ასეთია შიდაციხეში ჩატარებული 3 არქეოლოგიური კამპანიის დროს გათხრილი და ზოგჯერ მხოლოდ ნაწილობრივ გამოვლენილი რამდენიმე ნაგებობის ვითარება.

* * *

ესოდენ გაცხოველებულ თხრას არ შეეძლო არ წარმოეჩინა და აკი კიდევაც ათასობით წარმოაჩინა ე. წ. წვრილმანი ნივთიერი მონაპოვარი, რომელიც არა ნაკლებ მეტყველ სურათს გვიქმნის დედაციხის ისტორიისას, მათში სხვადასხვა დროს დამკვიდრებულთა ვინაობა-ყოფისას.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ლითონის ფული, თამარ მეფათა და რუსუდან მეფით დაწყებული და ეკატერინე II-ით გათავებული.

მონაპოვრის უმეტესობას შეადგენს კერამიკა: მოუჭიქავი (ადგილობრივი, შუაფეოდალური და გვიანფეოდალური ხანისა; სამეურნეო-სამზარეულო ჭურჭელი და ჭრაქები და შემოტანილი ჩიბუხები); მოჭიქული წითელკეციანი (მეტწილად ადგილობრივი, IX—XIV და XVII—XVIII ს.ს.), რომელიც, ჩანს, ციხეზედგე იწვებოდა, ისევე როგორც მოუჭიქავის ნაწილი); ფაიანსი და ფაიფური (XVII—XVIII და XVI—XVIII ს.ს., მეტწილად ირანული და ცოტა თურქულიც, დამპყრობელ მეციხოვნეთა კუთვნილი); შინა (იმადროული და იმავე წარმოშობა-კუთვნილებისა). განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე ნატეხი ძველებური იერის მოლაპლაპე წითელ-ყავისფერი კერამიკისა, რომელიც მოგვაგონებს III—IV ს-ნეთა „ლაკიან“ ჭურჭელს, ანტიკურ სამყაროში და ჩვენშიც გავრცელებულს. თუ ეს დადასტურდა, ხელთ გვექნება პირველი არქეოლოგიური მოწმობა დედაციხის ესოდენი სიძველისა, რაც კარგად შეესატყვისება სულ უფრო გადაჭრით გამოთქმულ აზრს, რომ თბილისი ანტიკურ ხანაშივე წარმოადგენდა მნიშვნელოვან ქალაქს (ამას კერძო უკრავს დიღმის ექსპედიციის სულ ახლანდელი, მრავალი შესანიშნავი მონაპოვარიც!).

აღსანიშნავია აგრეთვე ქვისა და თუჯის სატყორცნი და საარტილერიო ბირთვები, ხელყუმბარები, ზეინკლის ხელსაწყოს ნაშთები და სხვ. ზოგი რამ აქედან ეგებ მართლაც ერთმოლოვის მიერ მოწყობილ არსენალს ეკუთვნოდეს.

* * *

დედაციხეზე შემდგომი, უფრო ფართოდ გასაშლელი მუშაობა გაცილებით მეტ ძეგლს გამოგვივლენს. კერძოდ მისაგნებია საკუთრივ სასახლის ნაშთები და გამოსამზებურებელია სულ ღრმად მდებარე ფენები.

თბილისის ახალი გენერალური გეგმა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისმა სრულიად იცვალა სახე. მისი ტერიტორია ათჯერ გაიზარდა და თუ 1921 წელს ქალაქს 2.770 ჰექტარი ფართობი ეჭირა, 1970 წლისათვის ქალაქის ტერიტორიამ 27 ათას ჰექტარს გადააჭარბა. ბუნებრივია, ქალაქის ტერიტორიის ზრდა გულისხმობს ახალ მოედნებსა და ქუჩებს, საცხოვრებელ მასივებსა და კვარტალებს, სხვადასხვა დანიშნულების შენობათა აგებას.

თბილისისათვის, ისევე როგორც ყველა სხვა დიდი ქალაქის განვითარებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმას, რომელსაც მტკიცედ ემორჩილება ქალაქმშენებლობის ყველა საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლების მანძილზე შექმნილმა ქალაქის განვითარების გენერალურმა გეგმამ, რომელიც თავის დროისათვის მეტად მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა, ძირითადად სწორად განსაზღვრა თბილისის შემდგომი ზრდა და მისი პერსპექტივები. ქალაქის, როგორც ინდუსტრიული ცენტრის განვითარებას, სწორედ ეს გეგმა ედო საფუძვლად, ვიდრე ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში არ მოხდა მისი კორექტირება. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ეს გეგმაც ვეღარ პასუხობდა თანამედროვე ქალაქის წინაშე დამდგომულ მთელ რიგ საკითხებს და უპრაციფიკოდ მოქმედებდა მისი დაგეგმარების სტრუქტურაზე. ამან განაპირობა თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ახალი გენერალური გეგმის შედგენის აუცილებლობა.

ჯერ კიდევ 1960 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით თბილისის ახალი საზღვრები შემოეფარგლა. რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად დადგინდა ე. წ. „დიდი თბილისის“ ტერიტორია.

დაგეგმარების ახალ გენერალურ პროექტზე მუშაობა 1962 წელს დაიწყო. შედგა ახალი ტექნიკურ-ეკონომიური საფუძვლები. მუშაობის პროცესში შეცვლილი იქნა ქალაქის განვითარების პერსპექტიული პერიოდი, რამაც, ბუნებრივია, შემდგომი კორექტივები გამოიწვია. საბოლოოდ, პროექტის საანგარიშო პერიოდი 1968—2000 წლებისათვის დადგინდა. ქალაქის განვითარება ისახება, როგორც რესპუბლიკის ადმინისტრაციული, სამრეწველო, კულტურული და სამეცნიერო ცენტრისა, რომლის მოსახლეობა 1970 წლის 1 იანვრის მონაცემებთან შედარებით (889 ათასი), საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის 1250 ათასი კაცით განისაზღვრება. მოსახლეობის შემდგომი ზრდა იფარგლება თბილისის აკლამერაციის დასახლებული პუნქტების სისტემის განვითარებით, რაც ვაჟაფლისწინებულა თბილისის სამრეწველო რაიონის რაიონული დაგეგმარების არსებული პროექტით.

თბილისის განვითარების გენერალური გეგმის პროექტი 1970 წელს დაამტკიცა საქართველოს მინისტრთა საბჭომ. პროექტის ავტორებია: არქიტექტორ-

რები ი. ჩხენკელი, ჯ. ჯიბლაძე, გ. ჯაფარიძე, გ. შავდია; ეკონომიკა ტექნიკური ინჟინერები, ი. ბოლქვაძე.

თბილისი, რომელიც მარცხენა ნაპირზე ზემო-აგუალებიდან ლოქის ნიჟარამდე 30—32 კმ სიგრძეზე გადაიჭიმა, ხოლო მარჯვენა ნაპირზე დიღმის ახალი-სახეობის რეზერვუარისა და კირიანის რაიონის სამხრეთ დაბოლოებამდე 20 კმ. ზოლს შეადგენს, ჯერ კიდევ წვრილმანი კვარტალებით, შერეული განაშენიანებითა და ტერიტორიის მკაფიო ფუნქციური დანაწილების უქონლობით ხასიათდება. ცალკეულ რაიონებს შორის არათანაბრად განაწილებული მწვანე ნარგავები. სანიტარულ-ჰიგიენური პირობები მოთხოვენ სანიტარულ გარღვევებს სამრეწველო, სატრანსპორტო თუ საცხოვრებელ ზონებს შორის. ქალაქის თანამედროვე მდგომარეობა მოითხოვს მის კომპაქტურ გადაწყვეტას მთლიანობაში; საქალაქო ტერიტორიის რელიეფის გათვალისწინებას განაშენიანების მაქსიმალური დაკავშირებისათვის ბუნებრივ გარემოცვასთან; საერთო საქალაქო და რაიონულ ცენტრებს შორის ორგანიზებული ურთიერთკავშირის დამყარებას; ასევე უნდა დაკავშირდეს ცენტრები და საწარმო ადგილები და სხვა.

ახალი გენერალური გეგმით თბილისი ითვისებს დიღმის, გლდანის, აგუალისა და ვარკეთილის ტერიტორიებს, დამთავრდება მთებითა და ხეობებით შემოსაზღვრულ ბუნებრივ ფარგლებში. ქალაქის განაშენიანებაში შეტანილია თბილისის ზღვის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, რითაც იგი იქნეს კარგი ტემპერატურული რეჟიმის, გამწვანებულ და წყლის სივრცის მქონე ნაკვეთებს. თბილისის ზღვის გარშემო მდებარე ტერიტორიაზე დასახლდება 400 ათასზე მეტი მაცხოვრებელი.

ამ ტერიტორიის ათვისებით ქალაქი იზრდება სივანეში და ხაზოვანი განვითარების ტენდენციის შენარჩუნების მიუხედავად, მისი გეგმის კომპოზიცია გარკვეულ ცვლილებას განიცდის. ამაში ახალი გენერალური გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება განვითარების არსებულ სტრუქტურისაგან.

გენერალური გეგმა სახავს ამჟამად არსებული დიდი სიმჭიდროვის ცენტრის თანდათანობით რეკონსტრუქციას. ცენტრი ძალზე გადატვირთულია მრავალი ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი, საგაჭრო და სხვ. დანიშნულების ნაგებობით. მისასვლელი გზების და ავტოსადგომთა შექმნისა და რეკულირებისათვის, საზოგადოებრივ-ადმინისტრაციულ დაწესებულებათა წინ მწვანე ზონების შესაქმნელად ტერიტორიის განვითარებაა საჭირო. მართკონსტრუქციო სამუშაოები კი ამისათვის საკმარისი არ არის. იგი დიდ მატერიალურ სახსრებსაც მოითხოვს, და ამასთანავე ტერიტორიის შეზღუდულობა არ იძლევა სრული რეკონსტრუქციის შესაძლებლობას. ამიტომ პროექტით ცენტრი ვითარდება მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თბილისის ზღვისსაგან, სადაც მოთავსდება სპორტული კომპლექსები, სამედიცინო ცენტრი, საზოგადოებრივ-საგაჭრო ნაგებობები და სხვ. ახალი საზოგადოებრივი ცენტრის შექმნა თბილისის ახალი გენერალური გეგმის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარეა. პროექტით თბილისი ემორჩილება მრავალცენტრიან სტრუქტურას, რომელშიც საზოგადოებრივ ცენტრსა და ქვეცენტრებს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახე აქვთ და ერთიან ორგანიზმს ქმნის.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო ვადისათვის მოსახლეობის მომსახურების დანიშნულების ნაგებობათა მოცულობა საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე გაიზრდება 6,9 კუბ. მეტრიდან 27 კუბ. მეტრამდე.



საქართველოს
საგარეო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო



თბილისის დაგეგმარების გენერალური პროექტის სქემა



ცენტრის განვითარება ახალი გენერალური გეგმით (ჭალაქის მარცხენა ნაპირი)



გენერალური გეგმა სარეკონსტრუქციოდ ითვალისწინებს ისეთ უბნებს, რომლებშიც განაშენიანების სიმჭიდროვე 60—70 %-ს აღწევს ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 20—25 %-ისა. აქ შეიცვლება ამორტიზებული სახლები, უბნები ახალ გამომეტყველებას მიიღებს.

საცხოვრებელი ფართობი ერთ სულ მოსახლეზე ნაგარაუდევია 1980 წლისათვის 9,7 კვ. მ, ხოლო 2000 წლისათვის 12 კვ მეტრამდე გაიზრდება. ამისათვის 1980 წელს უნდა აშენდეს 4,5 მლნ. კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობისა, რომელთაგან 25% სარეკონსტრუქციო ზონაში იქნება განლაგებული.

გენერალურ გეგმაში დიდი ყურადღება ექცევა სატრანსპორტო — საკითხებს. საწარმო ზონა და საცხოვრებელი უბნები მოხერხებული სატრანსპორტო საშუალებებით უნდა დაკავშირდეს. საწარმოები ძირითადად განლაგდება ნავთლუღისა და ლილოს რაიონებში, ნაწილობრივ კი აქალაქ-გლდანის ახალ საცხოვრებელ მასივში. დღევანდელი განაშენიანების ფარგლებში არსებული მთელი რიგი საწარმოო თუ დამხმარე-სამეურნეო ნაგებობანი გადატანილ იქნება საწარმოო ზონებში. საწარმოო ზონებისა და საცხოვრებელი ტერიტორიების უკეთ დაკავშირებისათვის მნიშვნელოვნად ფართოვდება ტრანსპორტი.

ქალაქის რაიონების ერთმანეთთან და ცენტრთან დაკავშირებისათვის გეგმა ითვალისწინებს გრძივი და განივი მიმართულებების სწრაფგამტარი მოძრაობის მაგისტრალებს. 415 კმ-ის საერთო მაგისტრალებიდან, 110 კმ-ის მანძილზე შეიქმნება უწყვეტი ჩქაროსნული მოძრაობის მაგისტრალები. მოეწყობა ასამდე ახალი სატრანსპორტო კვანძი, მათ შორის რკინიგზის 22 გადასასვლელი, 3 კმ. სიგრძის 7 ესტაკადა, გვირაბები, ახალი ხიდები მტკვარზე და სხვ.

ნაგარაუდევია მეტროპოლიტენის შემდგომი განვითარება. თბილისის ბუნებრივი განლაგებისა და მდებარეობის პირობებში მეტროპოლიტენს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გენერალური გეგმა სწორად საზღვრავს მისი განვითარების შემდგომ ეტაპებსაც. პირველ რიგში მეტროპოლიტენი გაიწეოს საბურთალოს საცხოვრებელ მასივამდე. შემდეგ დიდუბის შტო გაგრძელდება ჩრდილოეთით, ერთი სადგურის აშენებით დიღმის მასივთან, რომელთაგან განშტოება დააკავშირებს დიდ დიღომსა და გლდანს. სამხრეთის მიმართულებით მეტროპოლიტენი განვითარდება საწარმოო რაიონებისაკენ და თბილისის ზღვის განაშენიანებისაკენ ვარკეთილზე გავლით.

ქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ახალი გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია და ძეგლების შენარჩუნება-გამოვლინება ძველი ქალაქის ერთიან არქიტექტურულ-მხატვრულ კომპლექსში. პროექტის ავტორები დაეყრდნენ ქალაქის ისტორიული ნაწილის მეცნიერულად გამოკვლევას, მის საფუძველზე ქალაქში გამოყოფილია სამი ზონა, რომელიც განსაკუთრებულ დაცვას მოითხოვს და ქალაქის ტერიტორიის ისტორიულ დაყოფას ეფარდება. განსაზღვრულია ამ რაიონში შემდგომი მშენებლობის შესაძლებლობა, განაშენიანების სიმაღლე თუ სხვა საკითხები.

ცნობილია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქისათვის მწვანე ნარგავთა გაშენებას. თბილისისათვის საზოგადოებრივი დანიშნულების მწვანე ნარგავთა ფართობი ვადიდებულია 350 ჰექტარიდან 1650 ჰექტარამდე. ერთ მაცხოვრებელზე მწვანე ნარგავთა ფართობი 8 კვ. მეტრიდან 20—25 კვადრატულ მეტრამდე გაიზ-


რდება. შეიქმნება მრავალი ტყე-პარკი, გაშენდება ახალი ბაღები და სახლი.
რაც უანსალ კლიმატს შეძენს ქალაქის ყველა უბანს.

დაზუსტებული და დამუშავებულია ქალაქის საგარეუბნო ზონა, რომელშიც
შედის კურორტები: მანგლისი, წყნეთი, კიკეთი, ოქროყანა, კოჯორი, აგარტა და
შეთის სამხრეთი ნაწილი, თეთრიწყაროს რაიონის ნაწილი, თიანეთის სამხრეთ
ნაწილი და მცხეთის რაიონის აღმოსავლეთი ნაწილი. ეს ზონა ორგანულად უკავ-
შირდება ქალაქს და ერთიანობაშია მის სტრუქტურულ გადაწყვეტასთან. საგარე-
უბნო ზონა ერთდროულად მოემსახურება 500 ათასზე მეტ დასვენებელს.

ქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ახალი გენერალური გეგმა კი-
დედ მრავალ საკითხს მოიცავს. იგი სავსებით პასუხობს ქალაქთმშენებლობის დღე-
ვანდელ მოთხოვნილებას და მაღალი პროფესიული დონით გამოირჩევა.

ფუნქციური ზონირება ისე უნდა შესრულდეს, რომ ძირითადი სამოსახლო
ტერიტორიის განლაგება კეთილმოქმედი მიკროკლიმატით გამოირჩეულ ახალ რაი-
ონს მოიცავდეს. დასვენების ზონების მოწყობა ქალაქის ფარგლებში და მის ირ-
გვლივ 5—15 კმ-ის რადიუსით; საერთო საქალაქო ცენტრის სისტემის ფორმირე-
ბა უკვე ჩამოყალიბებული მიმართულებით — მტკვრის გასწვრივ რუსთაველისა
და პლემბანოვის პროსპექტის მიმართ და შემდგომ თბილისის ზღვის მიმართულე-
ბით; მოსახლეობის რაციონალური სატრანსპორტო მომსახურება განუწყვეტელი
მოძრაობის მაგისტრალების შექმნით; ძველი ქალაქის რეკონსტრუქციისა და
ძველთა დაცვის საკითხების გადაწყვეტა, როგორც ერთიანი კომპლექსისა და
კიდეც სხვა საკითხები — ახალ ნიშნებს ანიჭებს ქალაქ თბილისის მომავალ განვი-
თარებას. ქალაქის სპეციფიკის გათვალისწინებით, უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბებუ-
ლი ქალაქთმშენებლობითი ტენდენციის გათვალისწინებით, შექმნილია განვითარ-
ების ახალი გეგმა, რომლის განხორციელება ახლებურად გამოავლენს თბილისის
არქიტექტურულ-მხატვრულ შესაძლებლობებს.

თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ახალი გენერალური გეგმა
ქართველ ქალაქთმშენებლების მნიშვნელოვან წარმატებებზე მეტყველებს.



თბილისელ გმირთა მემორიალური ქედელი ძველი ბურჯების ფონზე.
(ზედი გორგასალის ქუჩიდან)

ნოდარ მგალობლიშვილი
არქიტექტურის კანდიდატი

ახალი მემორიალური ქედელი 300 არაგველის ბაღთან

1795 წლის 11 სექტემბრის კრწანისის კატასტროფა, ფაქტიურად, დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი ომი იყო. დიდებულთა შუღლითა და ღალატით გამოწვეული ეს სასტიკი დამარცხება, აქამდე დაუმარცხებელი ერგლე შეფის უკანასკნელი ბრძოლა იყო. ირანისა და თურქეთის უღმობელ დაწოლის სფეროში მოხვედრილ, სამთავროებად დაქუცმაცებულ პატარა ქვეყანას ფიზიკური განადგურების საშიშროება ელოდა. და 1801 წელს საქართველო რუსეთს შეუერთდა.


მიუხედავად საშინელი მარცხისა, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა და ახალი მიმართულება მისცა ერის ისტორიას, კრწანისის ომი ქართველთათვის სამუდამოდ სიწმინდის, სიმტკიცისა და თავდადებულობის სიმბოლოდ დარჩა. ამ მწუხარე და გმირულ დღეებში თბილისის დასაცავად ქართველებთან ერთად თავდაუზოგავად იბრძოდა იმდროინდელი ქართლ-კახეთისა და დედაქალაქის ყველა ეროვნების მოსახლეობა. უმრავლესობამ ამ ომში სიცოცხლე შესწირა თავის სამშობლოს.

ღეგენდარულ სამას არაგველს, თანამედროვე საქართველომ ბრწყინვალე ძეგლი დაუდგა და სამარადისო ცეცხლი აღუნთო.¹

¹ ძეგლის ავტორია ალექსანდრე ბაქრაძე.

არ დაივიწყა შთამომავლობამ ალა-შაჰმად-ხანის ჰარბ ქაღებთან უთანაბრო შეტაკებაში გმირულად დაღუპული თბილისელებიც. 300 არაგველის ბაღთან არ მართულია მემორიალური კედელი². სწორედ იმ ადგილას უკანასკნელ კონტრიერიში³ გდადსულა რაზმი, რომელშიაც თბილისელ მოქალაქეთა დიდნი წევრნი იყო.

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით: „კვლად მცხოვრებთაგან ტფილისისათა გამორჩეულ იქმნეს კაცნი მამაცნი და მარჯვენი, რომელთაცა აღირჩიეს წინაშე ძღვრად თავისად კაცი ვინმე მსახიობი... ესე იყო ერთი წარჩინებულთა მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიყი, კომენდანტი... რომელსაცა სახელს სდებ-



მემორიალური კედლისა და სეიდაბადის ზღუდე-ბურჯების ანსამბლი. (გვემა).

დენე მაჩაბელად. ესე მოქალაქე გუნდსა მას ტფილისელთასა მტერთა მიმართ. და ეპყრა ხელთა მისთა ბარბათი, ე. ი. დაირა და უკვირდა მას ზედა შადიანსა, ე. ი. ხმასა მას, რომელსაცა ლხინსა შინა დაუკვირენ, ქაშაა შინა უმეტეს სიხარულისასა, ვინაიდან ხმაი ესე განამხიარულებს მსმენელთა, ხოლო მეზრძოლნი ეს იყვენს მკვირცხლნი და მიმართეს ქვევითთა ამით და ბრძოდეს მტერთან ფიცხელად და შეერთდა გუნდიცა ესე გუნდსა მას ფშავ-ხევსურთა, არაგველთა, ხიზიყელთასა და ჰყვეს მათ ატაკა მტერთა მიმართ და მოიწივნეს ვიდრე დროშებამ-

დე ალა-შაჰმად-ხანისა და მისტაკეს დროშანი რამდენნიმე მხედრობათა ალა-შაჰმად-ხანისათა და მრავალნი სპარსთაგანი მოსწყვიტნეს წინაშე მისსა⁴.
ეს იყო უკანასკნელი გამარჯვება. თითქმის არცერთი თბილისელი არ გადაარჩენილა ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. გაარღვიეს რა უკანასკნელი ზღუდე. უკან მოიტოვეს სეიდაბადის კედელი და ბურჯები, სპარსელებმა მიწასთან გაასწორეს თბილისი.

• • •

მემორიალური კედელი აგებულია თაბორის კალთაზე, იგი სეიდაბადის კედლის გაგრძელებას წარმოადგენს. კედლის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილია მეომრის სახე (ფასადის ფრაგმენტი გამოსახულია კრებულის ყდაზე). დასავლეთ ფასადზე მემორებთან ერთად ამოჭრილია მაჩაბლის დასი და წარწერა: „1795 წელს

² კედლის ავტორია ნოდარ მგალობლიშვილი და თეიმურაზ ჰუნია.



საქართველოს
საზღვარსაღრი

სვიდაბაღის კედლის დარჩენილი ბურჯი



11 სექტემბერს კრწანისის ბრძოლაში დაღუპულ თბილისელ გმირთა უცვლელად დაიდგა ეს ძეგლი".

მემორიალური კედლის მთელი კომპლექსი აგებულია „300 არაგველთა“ ძეგლის პირდაპირ და, ჩვენის აზრით, მასთან ერთიან კომპოზიციას ჰქმნის. თბილისელთა მემორიალური ძეგლის აღმართვის დროს არსებული, თაბორის მთიდან მტკვრამდე ჩამავალი კედლისა და ბურჯის დიდი ნაწილი განთავისუფლებულ იქნა მიწა-ყრილისაგან. ჩატარებული იყო ნაწილობრივი რესტავრაცია. ახლა ბურჯის სიმაღლე 6 მეტრს აღწევს. მისი შესანიშნავი წყობა მნახველის დიდ ყურადღებას და ინტერესს იწვევს. შემდეგში გათვალისწინებულია ამ უძველესი ციხე-კედლის მთლიანად გამოვლინება და შეკეთება.

დაგეგმარების ხასიათი და წყობაში ჩატანებული დიდრონი ქვათლილები, საუკუნეების განმავლობაში მრავალი განახლებისა და შეკეთების მიუხედავად, გვაფიქრებს, რომ ეს ზღუდე-ბურჯები და თბილისის დედაციხის („კალა“, „ნარი-ყალა“) ვალაყის მნიშვნელოვანი ნაწილი, იქ გათხრილი ტაძარი და ერთიც სხვა შენობა, რომლებიც სრულიად ამგვარივე წყობით არიან ამოყვანილი, ერთი ხნისა უნდა იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, არც თუ დიდი განსხვავება იქნება მათ შორის, ხოლო თბილისის ძველი ციხის ზღუდის და ზოგი სხვა შენობის მიკუთვნება რუსთაველის ეპოქისადმი უკვე საკმაოდ დასაბუთებული ჩანს. (გიორგი ლომთათიძე, საქართველოს ნაციხვართა არქეოლოგიისათვის, „ძეგლის მეგობარი“ № 14).

როგორც ვახუშტისეულ რუქაზე ჩანს XVIII საუკუნისათვის არსებობდა ხუთა ბურჯი, ხოლო კედელი მტკვრამდის იყო აღმართული. სანაპიროს აგების შემდგომ დარჩენილია მხოლოდ ორი ბურჯი. ეს ობლად დარჩენილი ბურჯები, მიუხედავად არასახარბიელო მდგომარეობისა, საკმაოდ ღირსეული და შთამბეჭდავი ძეგლია. ჩვენი მოვალეობაა სათუთად შევინახოთ ეს საქართველოსა და თბილისის უძველესი კულტურის და ისტორიის კიდევ ერთი ქვის მატჩიანე.



ბიორბი ჩიტაია

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი

ლია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები

ლია ცის ქვეშ მუზეუმის ორგანიზაციას ჩვენში თუმცა ხანმოკლე, მაგრამ მაინც საყურადღებო ისტორია აქვს. 1946 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ (ვიცე-პრეზიდენტი აკად. ს. ჯანაშია) დასვა საკითხი მთავრობის წინაშე საქართველოში ორი ეთნოგრაფიული ობიექტის სოფელ ლახირისა (ზ. სვანეთში) და სოფელ შატილისა (პირიქით ხევსურეთში) სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადების შესახებ. ამ ღონისძიების გატარებას შემდეგში უნდა მოყოლოდა ლია ცის ქვეშ მუზეუმის დაარსება.



თიანეთის სიონის ბაზილიკა (VI—VII სს.)

მთავრობის სახელზე დაიწერა სათანადო მოხსენებითი ბარათი, რომელმაც ყველა ინსტანციაში დადებითი დასტური მიიღო, მხოლოდ იურისტების მხრით წააწყდა წინააღმდეგობას. მათ ვერ გამონახეს სათანადო იურიდიული მოდუსი ამ წინადადების ცხოვრებაში გასატარებლად, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი სახელმწიფოებრივი ნაკრძალი სოფლები ბევრ სოციალისტურსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არსებობდა.

მომდევნო წლებში იმავე აკადემიაში არა ერთგზის იყო დასმული საკითხი ლია ცის ქვეშ მუზეუმის დაარსების შესახებ (წინადადების ინიციატორი იყო სა-

ქართველოს სახელმწიფო მუზეუმი), მაგრამ ამასაც არავითარი შედეგი არ მო-
ყოლია.

სამაგიეროდ ამ საქმის დაწინაურებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველო-
ლოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარეებს მიხეილ კუჭა-
ვასა და ბეჟან ლორთქიფანიძეს. ამათი ინიციატივით შერჩეულ იქნა სამუზეუმო
ტერიტორია, რომელიც თბილისის აღმასკომმა გააფორმა ღია ცის ქვეშ მუზეუმი-
სათვის საზოგადოების სახელზე. დამზადდა სამუზეუმო ტერიტორიის მაკეტი.
დაიწყო გადმოსატანი და დასაცავი ძეგლების კარტოტეკის შედგენა. ჩვენ ჟურ-
ნალ-გაზეთებში დაიბეჭდა არა ერთი წერილი მწერლების, მეცნიერებისა და სხვა-
თა მიერ, რომლებიც ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობას აუცილებლად მიიჩნე-



ოღა-სახლი სოფელ მარანიდან (აბაშის რაიონი)

დნენ (გრ. აბაშიძე, ვ. ბერიძე, ლ. სუმბაძე და სხვ.) საქართველოში. ყოველივე
ამას მოყვა ჩვენი საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილება (თავმჯდომარე
თ. ბუაჩიძე) მუზეუმისათვის შერჩეულ ტერიტორიაზე, ვაკის პარკის ზემოთ
თბილისში მუშაობის დაწყების შესახებ: ტერიტორიის ერთი ნაწილის შემოღობვა,
პავლიონის დადგმა და გადმოსატანი ობიექტების (2—3-ის) შერჩევა. 1964 წ.
საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ მიეცა ნება აწარმოოთ
და გაიღოს თანხა ძეგლთსაცავის მოსაწყობად.

თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების
შესახებ ჩვენ მოგვიხდა გამოსვლა სამეცნიერო სესიებზე ლენინგრადსა, ტარტუსა
და თბილისში, რამაც გამოხმაურება პპოვა სამეცნიერო ლიტერატურაშიც (იხ.
И. В. Маковецкий, Принципы организации музеев под открытым небом

и их задачи, «Советская этнография», в. 2. Москва, 1963; Г. В. Пионтук, Культура народов Востока и музей на лоне природы, Страны и народы Востока, в. III. Москва, 1964. გ. პიონტუკის წერს: «На участке, отведенном для музея, имеются почти все типы пейзажей, характерных для разнообразный рельеф позволяет строить экспозицию не на «плоскости», а, если так можно выразиться, «по вертикали» (долинные селения в долине и т. д.). Это очень важно и ценно» (გვ. 180).

თავისთავად ცხადია, რომ ამ დიდსა და საბასუხისმგებლო საქმეს კარგად მოეჭრებოდა, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა უნდა ჰქონოდა.

საკითხი ეხებოდა ერთი რიგის ხალხური ხუროთმოძღვრების და მასთან დაკავშირებული საყოფაცხოვრებო ობიექტების დაცვას, მოვლასა და ექსპონირებას.

როგორც ცნობილია საქართველოში მრავალი ისტორიული მნიშვნელობის მქონე მონუმენტური ნაგებობაა. ამათგან ერთი ნაწილი აღრიცხულია და მათი მოვლა სახელმწიფოს ზრუნვის საგანია. ესენია საკუთრივ ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის ძეგლები. ყურადღების გარეშე იყო დარჩენილი ისეთი ძეგლები, რომლებიც უშუალოდ ხალხის ყოფასთანაა დაკავშირებული და ხალხური კულტურისა, მისი შემქმნელის — უშუალო მწარმოებლის თავისებურებების მამკლავებელია.

ამ სახის ეთნოგრაფიული ხასიათის მქონე ძეგლები ორი რიგისაა. ამათგან პირველი ხასიათის ნაგებობები თავისი სიდიდის გამო ადგილზევე საჭიროებენ დაცვასა და მოვლა-პატრონობას. მეორე კი — ერთ რომელიმე წინასწარ შერჩეულ ადგილზე გადმოტანას, ექსპონირებასა და დაცვას.

პირველის მაგალითია ისეთი კომპლექსური ძეგლები, როგორცაა ხეცურეთში სოფელი შატილი, სვანეთში სოფელი ლახირი, ხოლო მთა-თუშეთში სოფელი დართლო.

ეს კომპლექსური ძეგლები იშვიათსა და შესანიშნავ სოფლური დასახლების ტიპს წარმოადგენენ. სოფელი შატილი მიუვალ კლდეზე ნაგები თავისი ცაღ-ზიდული საცხოვრებელი სახლებით, ხოლო სოფელი ლახირი თავისი თვალწარმტაცი კოშკებისა და ქორედიანი სახლებით განუმეორებელ ხუროთმოძღვრულ ანსამბლს ჰქმნიან ბუნებასთან, რომელთა თანაბარი სხვაგან, საქართველოს გარეთაც არსად არ გვევლება. ასეთივეა სოფელი დართლო.

მეორე რიგის ძეგლების მაგალითია სოფლური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა ის კომპლექტები, რომლებიც ისევე, როგორც ზემოდასახელებული სოფლები, შექმნილია უშუალო მწარმოებლის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული გამოცდილების, დაკვირვებისა, ესთეტიკური შეგრძნების წყალობით. ასეთ ძეგლებში ჩაქსოვილია ხალხის სული და გული, მისი აზრი და გრძნობა, მისი ოსტატობა.

სათანადო ისტორიულ პირობებში და გარკვეულ ხანაში ხალხის მიერ შექმნილი ამგვარი ძეგლები ჩვენს დრომდე მეტნაკლებადაა მოღწეული.

ჩვენს სოციალისტურ ხანაში ისინი ძველი დროის გადმონაშთია, რომლებმაც მოქამეს თავისი დრო და სწრაფად ქრებიან ყოფაცხოვრებიდან. ჩვენი ვაღია ხალხური შემოქმედების სამაგალითო ნიმუშები შევუნახოთ შთამომავლობას. მათი

მიხედვით შემდგომი თაობები გაეცნობიან რეალური საგნებიდან ხალხის ძველ ყოფასა და კულტურას, ხოლო სწავლულები გამოიყენებენ კვლევის საგნად.

ჩვეულებრივი ტიპის მუზეუმებში, დახურული შენობების ქვეშ მონუმენტური ძეგლები ვერ მოთავსდება. შენობაში შენობის მოთავსება, მით უმეტეს, რომ მას ახლავს შენობების კომპლექსი და შესაფერისი ლანდშაფტი — მოუხერხებელია. ამიტომ მიზანშეწონილია ასეთი ძეგლების გადმოტანა, ერთ-ერთი ან რამდენიმე შერჩეულ ადგილზე თავმოყრა, ექსპონირება და დაცვა. ამისათვის ბევრ ქვეყანაში გამოყენებულია მუზეუმის ის სახეობა, რომელსაც მუზეუმში ღია ცის ქვეშ ეწოდება.

ასეთ მუზეუმებში გადმოტანილია ხალხური ყოფისა და კულტურის მონუმენტური ძეგლები და დადგმულია სათანადო ბუნებრივ გარემოცვაში, სადაც მათ უფლიან, ინახავენ და პატრონობენ. აქ დამთვალეიერებელი ეცნობა არა მარტო ძეგლების გარეგნულ სახეს, არამედ მათ ინტერიერს, შინაგან მოწყობილობას. ის შედის შენობაში, ათვალეიერებს მის სათაესობებს და მორთულობას. ზოგიერთ



ბელერი სოფელ ბაღდადიდან (შაბარაძის რაიონი)

ასეთ მუზეუმებში ღია ცის ქვეშ დროდადრო ძეგლებურ ხალხურ დღეობებს ატარებენ და ხელოსნები ხელსაქმობენ კიდეც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ სკანდინავიის ქვეყნების პრაქტიკას, სამუზეუმო მშენებლობის ამ სახეობაში, ბევრ სხვა ქვეყანაში ამგვარი მუზეუმები ბოლო დროს მიიწეო, ან კიდეც მოწყობის პროცესშია.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად ღია ცის ქვეშ მუზეუმის სტრუქტურისა და მისი ორგანიზაციის პრინციპები მსჯელობის საგანია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე სხვა ქვეყნებში. ამ საკითხს მიეძღვნა საკავშირო სამუზეუმო სამეცნიერო სესია, რომელიც შედგა ქ. რიგაში 1962 წლის ივნისში. ეს საკითხი განხილული იყო ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა VII საერთაშორისო კონგრესის მუზეოლოგიის სექციის სხდომაზე, სადაც რამდენიმე მოხსენება იყო წაკითხული სხვადასხვა ქვეყნის დელეგატების მიერ.

დღეისათვის ღია ცის ქვეშ მუზეუმი მრავალ ქვეყანაშია მოწყობილი, რი-

ცხოვრებად ყველაზე დიდი რაოდენობით სკანდინავიის ქვეყნებშია გავრცელებული. თავდაპირველად ამ სახის მუზეუმში შვეციაში ჩაისახა. ევროპის კონტინენტზე აღნიშნული მუზეუმები ძირითადად, თუ ბუქარესტის მუზეუმს არ მივხვდებით, მხოლოდ დეკლობაში, ჩრდილოეთის მხარეებშია მოწყობილი (შვეცია, ნორვეგია, დანია, ფინეთი, პოლანდია, ლატვია, ესტონეთი) და აგებულია სათანადო ბუნებრივ გარემოცვაში. მაგრამ ეს გარემოცვა სიბრტყეს ოდნავ თუ სცილდება. მისი ვერტიკალური ამპლიტუდა მცირე სიმაღლეებით განისაზღვრება. ასევე სიბრტყეზეა მოცემული ბუქარესტის მუზეუმში-სოფლის ექსპოზიცია. ზემოთქმულს იმასაც დავძენთ, რომ ეს მუზეუმები უმთავრესად, მცირე გამოხატვის გარდა, ხისგან აგებული შენობითაა დაკომპლექტებული. ამიტომ, სავესებით გასაგებია, რომ აღნიშნული მუზეუმები მაგალითად, ეტალონად საქართველოში ჩვენ არ გამოგვადგება.

იმდენად, რამდენადაც ღია ცის ქვეშ მუზეუმში უნდა აისახოს ჩვენი ქვეყნის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, მათი შინაგანი ინტერიერთურთ, მიზნად არის დასახული ყოველგვარი ნაგებობა იყოს წარმოდგენილი თავის ბუნებრივ გარემოცვაში და თითოეული მათგან-სათვის შესაფერის პირობებში. ეს გულისხმობს, რომ მუზეუმის დაგეგმარება უნდა ითვალისწინებდეს საქართველოსათვის დამახასიათებელ ბუნებრივ-სამეურნეო არეებს.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო არეებისათვის ძირითადი დამახასიათებელი მაჩვენებელია ვერტიკალური ზონალობა. ნიშანდობლივია, რომ ჩვენში დასახლებული პუნქტების სიმაღლეების ამპლიტუდა 10 მეტრიდან — 2250 მეტრამდეა ზღვის დონიდან. ეს უკიდურესი დასახლება უშგულის თემია სვანეთში.

როგორც ცნობილია, საქართველოში მთას უჭირავს საერთო ფართობის 53,6%, მთისძირა ზოლს 33,4%, ხოლო დაბლობს — 13%. ვერტიკალური ზონალობა რომ დამახასიათებელია საქართველოსათვის, ეს კარგად აქვს შემჩნეული ვახუშტი ბაგრატიონს (1696—1772). ვახუშტი წერს: ლიგანის ხეობა „ფრიად ნაყოფიერი ნარიჯით, თურიჯით, ღიმონით, ზეთისხილით... ვენახით შემკობილი. მარცვლეული ყოველნი ნაყოფიერებს. პავით არს ზაფხულ ცხელი, ზამთარს ფრიად თბილი. ახლო რებენ მთანი თოვლიანნი და აგარანი მშვენიერებით აღმკულნი ქამისა და ნახევარქამისა სავალოთა“.¹

ასევე ნიდაგების მხრივ ვერტიკალურ ზონალობას კარგად აღწერს ვ. დოკუჩაევი: «Почвенные полосы расположены здесь (на Кавказе) не с севера на юг, как в измененной Европейской России, а благодаря весьма значительным возвышенностям Кавказского перешейка (до 18 тысяч футов), имеющим, как известно, свои особые климатические, растительные и иные физико-географические особенности, — снизу вверх, от побережий Черного (латериты) и Каспийского (южные полупустынные белоземы) морей к полярным вершинам Эльбруса, Казбека, Алагеза, Арарата

¹ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1942, გვ. 46.



ი დრ., причём черноземный пояс занимает в вулканическом Закавказьи, высоты примерно от 5 до 7 тысяч футов».²

ეს დებულება კარგად აქვს დასაბუთებული საკუთრივ საქართველოს მიმართ მ. საბაშვილს თავის ნაშრომში «Почвы Грузии»,³ ასევე ნ. კეცხოველს, რომელიც მკვეთრად გამოყოფს ვერტიკალურ ზონებს მცენარეთა საფარის მიხედვით.⁴ ზ. გულისაშვილიც ავრთვევ კავკასიის ვერტიკალური ზონების ძირითად ინდიკატორად მცენარეულობას მიიჩნევს.⁵ ვერტიკალურ ზონალობას ემორჩილება კლიმატიც და სხვა.

თავისთავად ცხადია, რომ როდესაც ვამბობთ ბუნებრივ ზონებზე, მხედველობაშია მიღებული ის წვლილი, რომელიც ადამიანს მიუძღვის ბუნების გარდაქმნის (დესტრუქციის) საქმეში თავისი სამეურნეო ინტერესების შესაბამისად. მხედველობაშია მისაღები ავრთვევ ისიც, რომ ბუნებრივი ზოლის ზოგიერთი მაჩვენებელი არაა პირველადი, არამედ მეორადი წარმოშობისაა ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების წყალობით. თავისთავად ცხადია, რომ ბუნებრივ ზონებს მისი შესაბამისი ადამიანის საქმიანობა და მისი მეურნეობა შეეფარდება.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში მოღვაწეობდა, თავის გეოგრაფიაში საქართველოს შემდეგ ვერტიკალურ-ბოტანიკურ-აგრონომიულ არეებად ყოფდა: თურინჯ-ნარინჯის, ბრინჯ-ბამბის, ვენახ-ხილის, უვენახო-უხეხილოს, ბალახ-ყვავილოვანისა და საზამთრო საძოვრებისა.

ასეთი ისტორიულად გამომწევებული ბუნებრივ-სამეურნეო არეები კარგად შეიმჩნევა სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ დაყოფაშიც, რომელიც დამოწმებულა ქართულსა და სხვა წყაროებში.

ლ. მროველის (XI ს.) მიხედვით, რომელიც ემყარება ჩვენთვის უცნობ წყაროს, იბერიის სამეფო მეფე ფარნავაზის დროს (IV—III სს. ძვ. წ.) დაყოფილი იყო 9 ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად, ასევე ვახტანგ გორგასალის დროს (V ს.) იბერია-ქართლში იგივე დაყოფა დასტურდება ოდნავ უფრო მეტად დანაწევრებული. ხოლო დავით აღმაშენებლის დროს უფრო მეტად დასავლეთ საქართველოა დაყოფილი.

ამგვარივე მსხვილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფას იძლევა ვახუშტი ბაგრატიონი XVII—XVIII სს. საქართველოსათვის: ქართლი, პერთი, კახეთი კუხეთითურთ, თუშეთი, კავკასიის შინა ქვეყანა (პირიქითი პროვინციები), სამცხე-საათაბაგო და ეგრისი ანუ აფხაზეთი. ნიშანდობლივია, რომ ეს მსხვილი ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული ერთეულები თავის შიგნით ხეობების დაყოფას ემყარებოდნენ, როგორც ეს გარკვეული აქვს ივ. ჯავახიშვილს: «მიწაწყლის ერთეულის აღმნიშვნელ ჩვეულებრივ ტერმინად «ხევიც» იხმარებოდა. ქვეყნის

² В. Докучаев, Предварительный отчет об исследованиях на Кавказе летом 1899 г., Тифлис, 1899, гл. 19.


³ М. Сабашвили, почвы Грузии, Тбилиси, 1947.

⁴ ნ. კეცხოველი, ვერტიკალური მცენარეთა ზონები საქართველოში, თბილისი, 1957.

⁵ ზ. გულისაშვილი, Природные зоны и естественно-исторические области Кавказа, Москва, 1964.

ხევებად დაყოფა გეოგრაფიულ თავისებურებებზეა დაშვარებული და საქართველოს მომეტებული ნაწილისათვის ამიტომ ჩვეულებრივი იყო".⁶

ზემოთქმულის შესაბამისად საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო არეგულაციების დეგ ძირითად ზოლებად წარმოგვიდგება: მთა, მთისძირი ანუ ფერდა და მთაში



გურული კარმიდამო.

რის არსებული ბარი. რამდენადაც საქართველოს რელიეფს ახასიათებს მრავალი ხეობებით დასერილობა, რომელთაგან ზოგი სივრცის, ხოლო ზოგი ვერტიკალური

⁶ ივ. ჭავჭავაძე — ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ტფ. 1928, გვ. 143; შტრ. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана Великого, СПб, 1911; ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, ისტ. გეოგრ. კრებული, I, თბ. 1960, გვ. 15; დ. ბერძენიშვილი და გ. ცქიტიშვილის წერილები, იმავე კრებულში, II, თბ. 1964; ა. გაგოშიძე, ანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობაში, თბ. 1964.



მიმართებით არიან კავკასიონისა და მცირე კავკასიონის ქედებთან. თვითეულ ძირითად ზოლს თავის შიგნით თვისი ბარი, თვისი ფერდა და თვისი მთა გააჩნია, ისე, რომ მთავარი დაყოფის ძირითადი მაჩვენებლები მცირე რაიონის (მიკრორაიონის) ფარგლებშიც მოკლებდებოდა.

მაგალითად, ხევსურეთის ისეთ უკიდურეს მთას, როგორც არხოტის თემამდ. ასას ხეობაში აქვს თავისი ბარი, სადაც ქერი მოყავთ („საქერეები“ ეწოდება), მთის ძირი ანუ ფერდა, სადაც სთესენ სვილას („სასვილეები“ ეწოდება) და თავისი მთა, სადაც საძოვრებია მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლისათვის („სახაროვანე“) და მის ზემოთ ტიტყელ-შიშველი. ამასთან ერთად საქართველოში მრავლადაა დიდი თუ პატარა მიკრორაიონები, რომლებიც სპეციფიურობას ქმნიან. მაგალითისათვის დავასახელებთ ისეთ მიკრორაიონს, როგორიცაა ოკრიბა, რომელიც „არს მცირე მთავორიანი, ტყიან-ბალახიანი, ყვავილიან-წყაროიანი... და არს ამათ (მთებს) შორის — გ. ჩ.) შინა ქვეყანა, თვინაერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლითა მარცვლითა ნაყოფიერი ფრიად, ხილითა, ვენახითა. არამედ ვენახი მადლარი, ღვინო მსუბუქი, მხე-გემოიანი. პირუტყვი არ ძვირობს, ფრინველნი და ნადირნი მრავალნი“.⁷ აქვეა საბადოები რკინისა, გიშრისა და სხვ. ასევე გამოყოფილია მიკრორაიონად გრემის-ხევი. „არა არს გრემის-ქევეს ვენახნი და ხილნი, სხვითა ყოვლითა მოსავლიანი“.⁸ აქვე უნდა აღინიშნოს რომ თითოეულ მიკრორაიონში უძველესი დროიდან არსებობენ დაბ-ების და დაბ-ანის — სოფლური დასახლებების ერთეულები.

ჩვენ მიერ ზემოდასახელებული მთის ზოლი ორი განაყოფისაგან შედგება. ერთია კავკასიონის მთები, რომელიც იწყება დაღთან აფხაზეთში და თუშეთში მთავრდება, მეორე მცირე კავკასიონის მთებია, საქართველოს სამხრეთის ზოლს რომ განეკუთვნება. მასშია ჩართული ისტორიული საქართველოს სამხრეთის პროვინციები ტაო-კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, ლაზეთი.

ამ მთებს შორის მოთავსებულია ბარის საქართველო, რომელიც იწყება შავი ზღვის სანაპიროზე და შირაქის ველით მთავრდება. ხოლო რაც შეეხება გარდამავალ ზოლს, ის ორივე მთის ძირს ჩასდევს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მაგ. ლაგოდეხიდან, უკეთ გიშიდან დაწყებული გათავებული ღიხნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბარს ჩრდილოეთიდან სამხრეთით ჰყვეთს სურამის ქედი, რომელიც ამავე დროს ამ ორ მთას ერთმანეთს უკავშირებს. უნდა ითქვას, რომ სურამის ქედი განსაკუთრებით ელფერს აძლევს სხვა მონაცემებთან ერთად დასავლეთის და აღმოსავლეთის მთას და ასევე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბარს.

ეს დაყოფა სამეურნეო მაჩვენებლებთან ერთად კარგად ებუება ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის ძირითად პროცესს. ქართველი ხალხის შექმნაში წილი უდევს სამხრეთ კავკასიონის მთიანეთის ტომებს სვანებს და ფხოველებს, ბარის მოსახლეობას კოლხებსა და იბერებს და მცირე კავკასიის მობინადრეებს — მესხებს.

ჯერ კიდევ ადრე სტრაბონს ჰქონდა შენიშნული, რომ კოლხეთისა და იბერიის

⁷ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 165.

⁸ იქვე, გვ. 64.

ბარი მთებს შორის მდებარეობს ფაზისისა და მტკვრის აუზში, რომ ის წარმოადგენს ფართო ყელს (სტრაბონი ხმარობს ტერმინს „ისტმოს“-ს) და არა ვიწრო სრუტეს, როგორც ეს შეცდომით წარმოდგენიანო. სტრაბონი იბერიასა და კოლხეთში ხეთში მრავლად ასახელებს ხეობებს, ისევე როგორც ბტოლომეიოსი და სპერტოპოლიუსი შირაკაკი.

ჩვენს მიერ ზემოდასახელებულ სამ ძირითად ზოლს თუ სამეურნეო თვალსაზრისით გავსინჯავთ, დავინახავთ, რომ არსებობს მკაფიოდ გამოსახული ნიშნები. ასე, მაგალითად, ბარისათვის დამახასიათებელია: დიდი გუთანნი 7—8 უღელი ხარით, დიდი მოდგამი, დიდი ქვევრი, დიდი გელაზი, დიდი ბარული ურემი, კვერი, ხოლო მთისათვის აჩაჩა სახენელი ერთი უღელი ხარით, მოძრავი, საქონლის ფეხით ლეწვა; ფერდამი ორხელა სახენელი 2—4 უღელი ხარით, ჩოჩიალა ურემი და ბოლოთრია, მოდგამი და სხვა. ნაგებობების მხრივ მკვეთრად გამოირ-



სოფელ ცხემლისხიდიდან (მხარაძის რაიონი)

ჩვეა მთისათვის ვერტიკალური განზომილებით ერთპერქვეშ მოქცეული შენობა, რომელშიც მოცემულია, როგორც ადამიანის საცხოვრებელი, ისე საქონლის სადგომი, როგორც ადამიანის, ისე საქონლის მარაგის სათავსოები, ხოლო ბარში ნაგებობანი ჰორიზონტალურ განზომილებაშია მოცემული: ცალკე ნაგებობა ცალკე სახურავით თვითუღი დანიშნულების შენობისათვის. რაც შეეხება გარდამავალ ზოლს, აქ უპირატესად ნარევი ტიპის ნაგებობებთან გვაქვს საქმე.

ასევე კარგად ჩანს ამგვარი დანაწილება დასახლების ტიპების მხრივაც.

ჩვენს მიერ დასახელებულ ძირითად ზონებს თავის შიგნით აქვს ქვეზონები. მთას აქვს თავისი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეზონი, ხოლო თვითუღ მათგანს ტერიტორიულ-ეთნიკური ერთეულები: ზემო სვანეთი (დალითურთ),

მთიულეთ-გუდამაყარი, ფშავი, ხევი, ხევსურეთი, თუშეთი. სამხრეთის მთას მესხეთ-ჯავახეთი, არტანი, ტაო-კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, ზემო აჭარა, ქანეთი (ხალდეა). ასევე, ბარის ქვეშობლებშია კოლხეთის დაბლობი (სამეგრელო, გურია-სამეგრელო, ქვემო აჭარა), კახეთი და საინგილო შირაქით.

იმდენად რამდენადაც ღია ცის ქვეშ მუზეუმში უნდა აისახოს ჩვენი ქვეყნის საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაკვებობები მათი (შინაგანი) ინტერიერთურთ, უნდა აისახოს საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები, სახელოსნოები, მაღაროები, ხიდები, გზები და სხვა. მიზნადაა დასახული ყოველგვარი ნაკვებობა წარმოდგენილი იყოს თავისი ბუნებრივ გარემოცვაში და თვითეული მათგანისათვის შესაფერის ანსამბლში. ეს გულისხმობს, რომ მუზეუმის დაგეგმარება უნდა ითვალისწინებდეს საქართველოსათვის დამახასიათებელ ბუნებრივ-სამეურნეო არეებს, რომლისთვისაც ძირითადი დამახასიათებელი მარჩვენებლებია ვერტიკალური ზონალობა.

ზემოთქმულის შესაბამისად საქართველო დაყოფილია 10 ძირითად გეოგრაფიულ-ეკონომიურ ზონად: ცენტრალური ზონა (შიდა და ქვემო ქართლი), აღმოსავლეთის ზონა (შიდა კახეთი ქიზიყითურთ და გარე-კახეთი), სამხრეთის ზონა (სამცხე და ჯავახეთი), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აღმოსავლეთის მაღალმთიანეთი (ფშავი-ხევსურეთი, თუშეთი, მთიულეთი, ხევი), კოლხეთის დაბლობი (გურია-სამეგრელო), რიონის ზეგანი (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და დასავლეთის მაღალმთიანეთი. მეთერთმეტე ზონა განკუთვნილია ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებისათვის, ხოლო მეორემეტე აღმინისტრაციულ-ტექნიკურ ნაკვებობებისათვის. გარდა ამისა იქნება მწვანე ზონები, წყალგარდნილები და ტბა.

თუ რა არის დღეისათვის გაკეთებული და როგორია მუზეუმის გენერალური გეგმა, იხილეთ ქვემოთ პროფ. ლ. სუმბაძის წერილი.

ცენტრალური ღია ცის ქვეშ მუზეუმის არსებობა არ გამოირცხვას ეთნოგრაფიული ანსამბლების — ნაკრძალებისა და რაიონული ღია ცის ქვეშ მუზეუმების არსებობას. რაიონული ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის პირველი ცდა მოგვცა გეგმეჟორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა.

სამუზეუმო ობიექტების ორიგინალებისა თუ მათი პირების საკითხი ექსპონირებისათვის პირველის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. მაკეტის თუ პირის გამოყენება დასაშვებია უკიდურეს შემთხვევაში.

გადმოსატანი და მუზეუმში დასადგმელი ობიექტების შერჩევის პრინციპი უნდა ითვალისწინებდეს საგნის აღნაგობას, მის ტექნიკას, დანიშნულებას, ბუნებრივ არეს და ისტორიულ მონაცემებს. უნდა შეირჩეს მთავარი, წამყვანი და ტიპიური. ამ თვალსაზრისით არ კმარა შენობის დაშლა ნაწილებად და ჩამოტანა, არამედ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ აღდგენილი და ექსპონირებული ძეგლი ისეთივე ეფექტს იძლეოდეს, როგორც ეს იყო მისთვის (ძეგლისათვის) ადგილზე დამახასიათებელი.

როგორც ვთქვით საქართველოში საცხოვრებელი ადგილები სიმალღებების მიხედვით ერთმანეთისაგან დიდი ამპლიტუდით ხასიათდებიან. მაგრამ არა მცა-

რედია თვითიველი მოსახლის სამოსახლოს და სასახლის რადიუსი. დასავლეთ საქართველოში თერთმეტი სხვადასხვა სახის ეზო-კარმიდამოს კომპლექტი გვაქვს. მთაშიც, სადაც ერთი შეხედვით მეტად შემჭიდროებული დასახლებაა წარმოდგენილი, სიმჭიდროვე იმდენად დიდია, რომ ერთი სახლის ბანი მეორის კარიბანია. აქაც დასახლების ერთეულის არც ფართობი. მთიელს ერთი ბინა საცხოვრებელ სახლში აქვს, სადაც საქონელიც უდგას, მაგრამ ხანგრძლივი ზამთრის პირობებში საქონლის გამოსაყვებად საჭირო მარაგს ერთ ადგილზე ვერ აგროვებს სათიბების სიშორის და თივის მარაგის ერთ ადგილზე დაგროვებასთან დაკავშირებული სიმძნელების გამო. ამიტომ ზამთრის მეორე ნაწილში, ან გაზაფხულის პირზე მას საქონელი სხვა ბინაში გადაყავს, რომელიც სოფლის გარეთაა აგებული, სადაც



ჩაკელი შექაბლი სოფელ პირველი ტოლდან (ამბროლაურის რაიონი).

საქონლის საკვების მეორე ნაწილია დაგროვებული. ამგვარი, სოფლისგარეთ მოთავსებული ბინა მთიელს შეიძლება ორი-სამი ჰქონდეს, საქონლის რაოდენობის მიხედვით.

ასეთ პირობებში მთიელის ოჯახი დროის გარკვეულ მანძილზე ნაწილდება. ერთი ნაწილი ძირითადად სახლში რჩება, ხოლო მეორე საქონელთან ერთად სოფლის გარეთა ბინაში გადადის ისე, რომ ოჯახის წევრები ერთმანეთს ეთიშებიან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დასახლების ასეთ ვითარებაში სიზუსტის დაცვა სახლისა და ბინების ჩვენების დროს მანძილის მიხედვით გაძნელებულა, რაგინდ დიდი ფართობი არ უნდა ჰქონდეს მუზეუმს თავის განკარგულებაში. სულ სხვაა, როდესაც საჭიროა საზაფხულო ბინების ჩვენება. მაგ. ხულა-სახლი აჭარლებისა „თაში“, რომელიც რამდენიმე ათეული კილომეტრითაა დაცილებული ძირითად „ოხოტის“,



შოსახლეს. აქ ის ბუნებრივ არეში მოექცევა და მისი ექსპოზიცია სავსებით გამართული იქნება.

ღია ცისქვეშ მუზეუმში ექსპონირებული საცხოვრებელი თუ სამეურნეო რეწაო ნაგებობათა ინტერიერის ინვენტარი და იარაღ-ხელსაწყოები ორიგინალების მიხედვით უნდა იყოს წარმოდგენილი. მხოლოდ ამ პირობის დაცვით ისინი, თავიანთი შთამბეჭდავი ძალით, მათთვის დასახულ მიზანს მიაღწევენ და ამავე დროს სამეცნიერო კვლევის ობიექტებიც იქნებიან.

არ არის გამორიცხული, რომ ღია ცისქვეშ მუზეუმში ექსპონირებულ საცხოვრებელ სახლებსა და სამეურნეო-სარეწაო ნაგებობებში ცხოვრობდნენ დროდადრო შესაფერის კოსტუმში გამოწყობილი პირები და ხელოსნები, რომელთაგან უკანასკნელნი შეიძლება ამზადებდნენ ხალხური ხელსაქმის ნიმუშებს მნახველთა შორის გასავრცელებლად. მაგალითად, ხალხურ კერამიკულ ჭურჭელა, მჭედლობის ნიმუშებს, ხისკვეთილობას, ლითონის და გიშრის სამკაულებს და სხვ.

თბილისის ღია ცისქვეშ მუზეუმში უნდა იყოს არა მარტო საცავი საისტორიო-საეთნოგრაფიო მონუმენტური ძეგლებისა და მათი ინტერიერისა, არამედ, ის უნდა იყოს ამავე დროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც საექსპოზიციო პავილიონში ნაჩვენები იქნება ხალხური ხელოვნების ახალი ნიმუშები, სადაც უნდა იყოს ლექტორიუმი კინოეკრანით ლექციების ჩასატარებლად და კინოსურათების საჩვენებლად. აქვე უნდა იყოს სამეცნიერო კაბინეტები სამეცნიერო კვლევის საწარმოებლად. აქვე უნდა ეწყობოდეს ჩენი და საზღვარგარეთის სახალხო გუნდების გამოსვლები, ისევე როგორც სახალხო დღესასწაულები (მაგალითად, სვანური ლამარობა, ბერიკობა და სხვ.) და ფესტივალები.

ვიმედოვნებთ, რომ ეს დიდი ეროვნული საქმე წლების მანძილზე დაძაბული შრომის შედეგად ხორცს შეისხამს და ღირსეულად წარმოაჩენს ქართველი ხალხის ხუროთმოძღვრებისა და ყოფით ძეგლებს. ამის საწინდარია ის დიდი მშრუნელობა, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტია და მთავრობა იჩენს ამ ღირსშესანიშნავი ეროვნული საქმისადმი.





ლონგინოზ სუმბაძე
არქიტექტორი

**ძარბაზის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და
ყოფის პარკ-მუზეუმი**
(გენერალური პროექტი და მისი ხუროთმოძღვრულ-
გეგმარებითი გადაწყვეტა)

ჭავჭავაძის პროსპექტის დასასრულს, ვაკის პარკის ბოლო შესასვლელით, სტადიონს რომ დასავლეთიდან საზღვრავს, იწყება კუს ტბის გზატკეცილი. პირველი მოსახვევის შემდეგ, როდესაც გზა დასავლეთისაკენ იქცევის პირს, მის პერსპექტივაში გამოჩნდება ლეზაისკარიდან გადმოღებული ხევსურული საბრძოლო კოშკის წერწევა სილუეტი, დაგვირგვინებული სიპედიანი კიბურა სახურავით. პარკ-მუზეუმის მთავარი შესასვლელი ამ კოშკიდან სულ ასი მეტრითაა დაშორებული. მის წინ, გზა მოგრძო მოედნის ფორმას იღებს და იმატებს სივანეს მანქანების გასაჩერებლის მოსაწყობად.

პარკ-მუზეუმის შესასვლელი პავილიონიდან, რომელიც წარმოადგენს აქურული კედლით მოზღუდულ ფართო ლოჯიას, კიბის ათი საფეხური ჩაგვიყვანს მუზეუმის მთავარ მოედანზე.

აქედან, როგორც ხელის გულზე გადაიშლება ჩვენი ქვეყნის ცხოველხატული ხუროთმოძღვრული პეიზაჟი, დაგვირგვინებული მთიანეთის კოშკურა სახლებით. ერთი მთვანი, მესტიიდან გადმოღებული, უკვე დგას პარკ-მუზეუმის ზედა მარცხენა კიდეში და მედიდურად გადაჰყურებს დედა-ქალაქის წარმტაც პეიზაჟს.

მუზეუმში შეიძლება მხოლოდ გზითაც მოხვდეთ: ვაკის საბაგირო გზის ზედა სადგურიდან, რომელიც ჭავჭავაძის პროსპექტს კუს ტბასთან აერთებს, მისი მთავარი შესასვლელი სულ ერთი კილომეტრით თუა დაშორებული.

პარკ-მუზეუმის დაგეგმარების დეტალური პროექტი გასულ წელს დამთავრდა. მისი ავტორი და მთავარი არქიტექტორია ამ სტრიქონების დამწერი, კონსულტანტია — აკად. გიორგი ჩიტაია. პროექტის დამუშავებაში მონაწილეობას იღებდა მთელი რიგი სპეციალისტებისა: ინჟინრები: ა. გოფი და ლ. ბედენაშვილი (ვერტიკალური დაგეგმარება და გზები), არქიტექტორები ლ. ჩომახიძე, (მაკეტი), ინჟინრები — მ. ქეზულაძე და ვ. ლევაგა (საბაგირო კედული გზა),

ე. მელვინეთუხუცესი (წყალსადენი და კანალიზაცია), გ. ალექსანიანი და მ. შლი-
ვანი (ელექტროგანათება).

დღეისათვის გაჭირვლია ბირველი რიგის გზები და გასასვლელები, გადმო-
ნილია და აგებული ათზე მეტი ობიექტი, სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს მუ-
ზეუმის ტერიტორიის კეთილმოწყობა.

I.

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმის მშენებ-
ლობა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მოთავეობით დაიწყო. ადგი-
ლი პარკ-მუზეუმისათვის საამისოდ გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ შეარ-



ჩია ვაკის პარკის ზემოთ, კუს ტბის დასავლეთით. მიუხედავად მისი ზოგიერთი
ნაკლისა (გაკე ადგილის სიმცირე, ფერდობის დიდი დაქანება და ჩრდილო ორი-
ენტაცია, გამდინარე წყლის უქონლობა) — ეს ადგილი სხვა ვარიანტებთან შე-
დარებით ყველაზე შესაფერისად იქნა ცნობილი, რადგან იგი ახლოა ქალაქის
ცენტრთან, მოხერხებულადაა მასთან დაკავშირებული ტრანსპორტით, კარგადაა
გამწვანებული და შესანიშნავი მდებარეობა აქვს; აქედან ხელის გულივით მოს-
ჩანს თბილისის განაშენიანება და მისი გრანდიოზული ბუნებრივი გარემოცვა.

1960 წლის 27 ივლისს თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომმა პარკ-მუ-
ზეუმისათვის ამ ადგილას გამოყო 5 ჰექტარი ტერიტორია.

გენერალურ-გეგმაზე მუშაობამ (რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე
სრულდებოდა) დაგვარწმუნა, რომ ეს ტერიტორია არაა ამ მიზნისათვის საკმა-
რისი. 1962 წელს ქალაქის აღმასკომმა გამოიტანა დადგენილება დამატებით კი-

დევ 15 პეტტარი მიწის გამოყოფის შესახებ მისასვლელი გზის მეორე (ქვემო) მხარეს. იმის გამო, რომ ეს ორი მიწის ნაკვეთი ერთმანეთისაგან საქალაქო გზით იყო გაყოფილი, რაც ხელს შეუშლიდა მუზეუმის ტერიტორიის ნორმალურ განვითარებას, 1965 წელს შედგა გენერალური გეგმის ესკიზი, რომელიც წინაგადა მხრითადად გზის ზედა პლატოს ათვისებას 45 პეტტარის რაოდენობით. შემდგომში ქალაქის აღმასკომმა ეს ტერიტორიაც მუზეუმზე გადახორმა.

გენერალური გეგმის ესკიზი განხილულ იქნა ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ 1965 წლის სექტემბერში, რის შედეგადაც პროექტის შემდგომი დამუშავება ჩვენს მიერ ამიერიდან უკვე წარმოებდა საპროექტო ინსტიტუტ „ქალაქშენისაპროექტის“ მეშვეიდე სახელოსნოში.

პარკ-მუზეუმის დაბადების დღედ 1966 წლის 27 აპრილი უნდა ჩაითვალოს.

II.

თანახმად საგეგმო მოცემულობისა, პარკ-მუზეუმი განკუთვნილია ქართული ხალხური საბინაო ხუროთმოძღვრების ობიექტებისა და ყოფის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული მასალის ექსპოზიციისათვის.

მუზეუმის გენერალური გეგმის შედგენას წინ უსწრებდა დიდი თეორიულ-კვლევითი მუშაობა, რომელიც წლების განმავლობაში ტარდებოდა პარკ-მუზეუმის სტრუქტურისა და დაგეგმარების ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებისათვის აკად. გ. ჩიტაიასა და ამ სტრიქონების ავტორის მიერ. მათვე შეადგინეს „მოცემულობა დაპროექტებისათვის“, რომელიც დამტკიცებული იყო საქართველოს სსრ კულტურის მინისტრისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ოთარ თაქთაქიშვილის მიერ.

საქართველო, მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, გამოირჩევა კლიმატურ-გეოგრაფიული რაიონების დიდი მრავალფეროვნებით, რამაც თავის მხრივ გააპირობა საცხოვრებელი სახლის ტიპების მრავალნაირობა. ამიტომ პირველი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინ წამოიჭრა — იყო საქართველოს ტერიტორიის ეკონომიურ-გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დარაიონება.

საფუძვლად ამ დარაიონებისა აღებულ იქნა ეკონომიური გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში მიღებული დაყოფის პრინციპი, რაიონთაშორის საზღვრებში ზოგიერთი ცვლილებების შეტანით.

პროექტით ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფისათვის დამახასიათებელი ობიექტები მუზეუმის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ათი ძირითადი ზონის მიხედვით, რომელთა შორის 5 აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის (აღმოსავლეთ მაღალმთიანეთის ჩათვლით) და 5 — დასავლეთ საქართველოზე — დასავლეთ მაღალმთიანეთთან ერთად.

აღმოსავლეთ საქართველოში შედის:

1. ცენტრალური ზონა, რომელიც მოიცავს შიდა და ქვემო ქართლს. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ამ ზონაში შედის: გარდაბნის (თბილისითა და რუსთავით), ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორის,

კასპის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკისა და თეთრი წყაროს რაიონები.

2. ა ლ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ზ ო ნ ა (შიდა კახეთი და გარე კახეთი) რაიონებით: თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, და წითელწყაროსი.

3. ს ა მ ხ რ ე თ ი ს ზ ო ნ ა (სამცხე და ჯავახეთი) რაიონებით: ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის.

4. ს ა მ ხ რ ე თ - ო ს ე თ ი ს ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ი ო ლ ქ ი: ცხინვალის, ზნაურის, ჯავისა და ლენინგორის რაიონებით.



5. ა ლ მ ო ს ა ვ ლ ე თ შ ა ლ ა ლ მ თ ი ა ნ ე თ ი, რომელიც მოიცავს ხევს, მთიულეთ-გუდამაყარს, ფშავ-ხევსურეთსა და მთათუშეთს. ეს ქვეზონები ახლა შედიან დღეშეთის, თიანეთის, ყაზბეგის და ნაწილობრივ ახმეტის რაიონებში.

დასავლეთი საქართველო შედგება შემდეგი ზონებისაგან:

6. შ ა ვ ი ზ ღ ე ი ს პ ი რ ე თ ი, რომელიც მოიცავს გურჯაანს (მხარაძის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის რაიონებით) და სამეგრელოს — აბაშის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ხობის, ვეგეჰკორის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონებით.

7. დასავლეთის ზონა, რომელშიც შედის იმერეთი (ჭიათურის, წყალტუბოს, სამტრედიის, წულუკიძის, ვანის, მიაიკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის ორჯონიკიძის, საჩხერისა და ტყიბულის რაიონებით) და რაჭა-ლეჩხუმი, (ამბროლაურისა და ცაგერის რაიონებით).

8. აჭარის ასსრესპუბლიკა, ბათუმის, ქედის, ქობულეთის, ხულოს და შუაზევის რაიონებით.

9. აფხაზეთის ასსრესპუბლიკა, გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის და სოხუმის რაიონებით.

10. დასავლეთის მალაქითიანეთი, რომელიც მოიცავს ზემო და ქვემო სვანეთს, (მესტიისა და ლენტეხის რაიონები) და ზემო-რაჭას (ონის რაიონი).



III.

მუზეუმის ტერიტორიაზე ძირითადი საექსპოზიციო ზონების გახთავსება ბევრადაა გაპირობებული ადგილმდებარეობის თავისებურებით. ერთადერთ, შედარებით ვაკე ადგილს წარმოადგენს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე ტერიტორია. ცხადია, რომ იგი მიეკუთვნა მეექვსე ზონას — შავიზღვისპირეთს (გურიასა და სამეგრელოს). 60—80 მეტრის სივანის ნწვანე ზოლი, რომელიც



ორი, მერიდიანულად მიმართულ ხრამს შორისაა მოქცეული, მუზეუმის ტერიტორიას შუაზე ყოფს. ამ გამყოფი ზოლის აღმოსავლეთით (კუს ტბის მხარეს) განთავსებულია დასავლეთ საქართველოს ზონები, დასავლეთით კი (ზოტის ხევის მხარეს) აღმოსავლეთ საქართველოს ზონები. ბუნებრივია, რომ ორივე მხარის ზედა ტერიტორიები განკუთვნილია სათანადოდ დასავლეთ და აღმოსავლეთ მაღალმთიანეთისათვის: სვანური, ფშავეური, ხევსურული ციხე-სახლები და საბრძოლო კოშკები ცხოველხატულ სილუეტს შეუქმნიან განაშენიანებას და ღირსეულად დაავიჯივინებენ მუზეუმის ერთიან ანსამბლს.

თავიდანვე მტკიცედ დაფიქსირდა გენგეგმაზე პარკ-მუზეუმის მთავარი შესასვლელიც, სადაც ჯერ კიდევ 1964 წელს აშენდა ექსპონატების შესანახი საწყობი ორი პატარა ოთახით მუზეუმის ადმინისტრაციისათვის.

შესასვლელი პავილიონის ჩასწვრივ დაპროექტებულია ადმინისტრაციულ-



კულტურული ცენტრი მთავარი მოედნით, — რომელიც უშუალოდ უერთდება გამყოფ ზონას.

ძირითადი საექსპოზიციო ზონების გარდა აღმოსავლეთის სექტორის ქვეშ მხარეს, ხევის პირას, განთავსებულია ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები ისონა, სადაც ამ ხუთიოდე წლის წინ აიგო სიონიდან გადმოტანილი VI საუკუნის ბაზილიკა და აკლდამა. ამ ზონაში უნდა იყოს ექსპონირებული მდიდარი კოლექცია საფლავის ქვებისა, რომელთა რელიეფურ გამოსახულებებსა და წარწერებს არა მხოლოდ ისტორიულ-ეთნოგრაფიული, არამედ დიდი მხატვრული ღირებულება აქვთ.

ამ ზონაში განზრახულია აგრეთვე აშენდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი, ძვ. წ. მეორე ათასწლეულით დათარიღებული დოლმენების ერთი ნიმუში.

IV.

მუზეუმის ტერიტორიის დიდი დაქანება (საშუალოდ 30°) მეტად ართულებს მისი ფუნქციური ორგანიზაციის გონივრულ გადაწყვეტას. მუზეუმის მთავარ და ზედა მოედანს შორის ნიშნულთა სხვაობა 155 მეტრს შეადგენს. რელიეფის ასეთი დიდი დაქანების გამო სივრცე მთავარი სამანქანო გზებისა, რომელთა ქანობიც 10%-ს თითქმის არსად არ აღემატება, შვიდ კილომეტრს აღწევს. თუ ამას მიუმატებთ საფეხმავლო გზების სიგრძეს, რომელთა გასწვრივ აგრეთვე განლაგებულია ობიექტ-ექსპონატები (3 კმ.), გასაგები გახდება, თუ რამდენად ვაძნელდებოდა ამ მანძილის დიდ აღმართზე გაეღა ექსპონატების დასათვალიერებლად. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ შემდეგ, ამ მანძილის ნახევარი მაინც დამთვალაერებელს უკან დაბრუნებისას უნდა ჩამოეარა.

ამგვარად, წარმოიშვა შინაგანი ტრანსპორტის მოწყობის აუცილებლობა მომსვლელთა მომსახურებისათვის. ავტომანქანის, ავტოკარის, ფუნქციონირისა და კიდული საბაგირო გზის საექსპლუატაციო თვისებების შედარებითა ანალიზში მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ პარკ-მუზეუმისათვის ყველაზე უფრო შესაფერი — კიდული საბაგირო გზაა.

პარკ-მუზეუმის დათვალიერება ზემოდან ქვემოთ ხდება (ისევე როგორც ფ. დ. რაიტის დაპროექტებულ გუგენჰაიმის მუზეუმში). მთავარი შესასვლელიდან მოსულ დამთვალიერებელს ექსკურსიის მძღოლი, დეკორაციულ აუზიდან ამოზიდულ საქართველოს რელიეფურ რუქაზე, გააცნობს ჩვენი ქვეყნის მთაბარისა და მისი კლიმატის თვისებურებას, მის ეკონომიურ-გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დარაიონებას, ამ ზონების განლაგებას მის წინ აღმართულ მუზეუმის ტერიტორიაზე. ამის შემდეგ, მოედანს უკან მდებარე საბაგირო გზის ქვედა სადგურიდან, მომსვლელი საპაერო გზით ავა ზედა მოედანამდე და აქედან, თავქვე დაყოლით დაიწყებს ობიექტ-ექსპონატების გაცნობას. მუზეუმის გზებისა და კიბე-ბილიკების სისტემა საშუალებას იძლევა ექსპონატების დათვალიერება მოხდეს სხვადასხვაგვარი მარშრუტით სიმალლისა და მანძილის დაუკარგავად: სრული მარშრუტით (ყველა გზების გავლით) და შემოკლებული მარშრუტის რამდენიმე ვარიანტით.

საბაგირო გზას თავისი ძირითადი ფუნქციის გარდა (ააცდინოს დამთვალიერ-

რებელს მძიმე აღმართზე ასვლა), დაკისრებული აქვს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი როლიც: მისცეს საშუალება მომსვლელს ზემოდან, მოძრაობაში მოვიტყოს საქართველოს მრავალფეროვანი ხუროთმოძღვრული პეიზაჟი. ვფიქრობთ, რომ ასეთი მგზავრობა ყველას მანიჭებს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას.

V.

მოედანი მუზეუმის მთავარ შესასვლელთან წარმოადგენს მის აღმინისტრაციულ-კულტურულ ცენტრს. შესასვლელი პავილიონის მარჯვნივ და მარცხნივ განლაგდება: ორსართულიანი კორპუსი მუზეუმის დირექციისა და მეცნიერთანამშრომელთათვის, კინო-სალექციო დარბაზი 150 ადგილზე და საგამოფენო პავილიონი-მუზეუმი ხალხური ხელოვნების ნიმუშებისა და ყოფის ამსახველი ექსპონატების პერიოდული გამოფენების მოსაწყობად. მისი, ერთი მხრიდან მიწაში ჩაჭრილი პირველი სართული გამოყენებული იქნება ექსპონატების საწყობებად.

საკუთრივ მოედანი გაფორმებული იქნება მოჩუქურთმებული სტელებითა და ქვევარებით, რომელთა მაღალმხატვრული ნიმუშებიც საქართველოში მრავლად მოიპოვება.

დეკორაციულ აუზთან, რომლის შესახებაც ზემოდ უკვე ითქვა, კაკლებს ჩრდილში მოწყობილი იქნება სკამები დამთვალიერებელთა დასასვენებლად, თუნდშავ-ხევსურული საფიხვნოს მიხედვით.

მთავარი მოედნის მარჯვნივ არსებულ ხრამში პროექტი ითვალისწინებს გამდინარე წყალსაცავის მოწყობას კაშხალით დასავლეთის მხრიდან, რომლის სიმაღლაც შუაში 12 მეტრს მიაღწევს. წყლის მოწოდება ნავარაუდევია კუს ტბის მხრიდან, მუზეუმის გამყოფი მწვანე ზონის აღმოსავლეთით მდებარე ხევის საშუალებით. ამ ხევის ნაპირებზე პროექტი ითვალისწინებს წყლის წისქვილების საუკეთესო ნიმუშების აგებას. თვით წყალსაცავში ჩაშვებული იქნება წყლით ტრანსპორტის ხალხური საშუალებანი: ძველებური მეგრული ნაგები, ლაზური სანდლები, ნაგტიკები, ტივები; მის ნაპირებზე აშენდება მეთევზეობასა და ზღვაოსნობასთან დაკავშირებული ნაგებობანი.

პარკ-მუზეუმის ტერიტორიაზე დიდი ადგილი უჭირავს მწვანე მასივებს. მათ შორის ყველაზე დიდი — ორ ხრამს შორის მოთავსებული გამყოფი ზონაა, რომელიც გამოყენებული იქნება დასასვენებლად. აღმოსავლეთის სექტორში ვაკისა და მთის ზონებს შორის არსებული ნაძვნარი ხელშეუხებლად დარჩება. მწვანე ზოლი დატოვებულია აგრეთვე დასავლეთის მაღალ მთიანეთის ქვემოთ, და მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. მუზეუმის დასავლეთის სექტორი აღმოსავლეთ საზღვრის მთელ სიგრძეზე ემიჯნება კარგად გამწვანებულ სამკუთხედის ფორმის ქედს, რომლის აღმოსავლეთ კუთხეშიც აგებულია კუს ტბის საბაგირო გზის ზედა სადგური და კაფე-რესტორანი.

მუზეუმის სამეურნეო ზონა ახლა მოთავსებულია არსებული საწყობის უკან. მთავარი მოედნისა და წყალსაცავის აგების შემდეგ საჭირო გახდება მისი აქედან გატანა. პროექტით გათვალისწინებულია სამეურნეო-საწარმოო ზონის გადატანა მუზეუმის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. აქ უნდა აშენდეს ხის მასალის ქიმიური დამუშავებისა და სადურგლო სახელოსნოები, საწყობები და სხვ.



საბავარიო გზის გათვალისწინებამ დამთვალეიერებელთა სატრანსპორტო მოწყობის სახურებისათვის საშუალება მოგვცა შეგვემყიერებინა სივანე გზებისა, რომლებიც გამოყენებული იქნება ფეხმავალთათვის და სატვირთო მოძრაობისათვის ობიექტ-ექსპონატების მშენებლობასა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებით.

ეკონომიური მოსაზრებების გარდა დამრეცი რელიეფის შემთხვევაში გზის სივანის მინიმუმამდე დაყვანა აშვირებს მიწაყრილისა და ქრილის სივანეს: რაც უფრო დიდია ქრილისა და ყრილის ზოლების სივანე, მით უფრო მეტად მახინჯდება ბუნებრივი რელიეფის ზედაპირი, მით მეტი მოსცილდება მას მცენარეული ფენა.

მთავარი გზების სივანე, ამის გამო ნანაგარიშეგია ერთმხრივ მოძრაობაზე და მისი საეალი (ასფალტით დაფარული) ნაწილი უდრის 3 მეტრს. ზემო მხრი-



დან მას გასდევს 0,7—1,0 მეტრის სივანის სანიაღვრო არხი, ქვემო მხრიდან კი—1,3—1,0 მეტრი. მიწის ბეგი მწვანე ბორღურით.

ამ ძირითადი საეალი ტრასების გარდა მუზეუმის ტერიტორიაზე გვექნება მეორე ტიპის გზებიც. განკუთვნილი მხოლოდ ფეხმავალთათვის. მათი საერთო სივანე შეადგენს 5 მეტრს (სანიაღვრე არხის ჩათვლით), საიდანაც მოასფალტებულია მხოლოდ ორი მეტრი. საფეხმავლო გზების საჭიროება გამოწვეულია იმით, რომ ობიექტ-ექსპონატების აშენება მცირე გამოწკლისის გარდა (კოლხეთის ზონაში) მხოლოდ გზის ერთ (ზემო) მხარეს ხდება, ისე, როგორც ეს მიღებულია საქართველოს მაღალმთიანეთში. მკვეთრად დაქანებული რელიეფის პირობებში გზის ერთმხრივი განაშენიანება ნაკარნახეგია არქიტექტურულ-მხატვრული მოსაზრებებითაც: არა გონივრულია მთავარი ფასადების ზემოთკენ მოქ-



ცევა, რასაც ვერ ავცდებოდით გზის ორმხრივი განაშენიანების შემთხვევაში, ამ პირობებში მანძილი გზებს შორის გამოდის კარმიდამოს სიღრმის ტრასაზე, თანახმად მოცემულობისა, განსაზღვრულია დაახ. 60 მეტრით.

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ სექტორის საექსპოზიციო ზონებს, დაქანების მიმართულებით, ორივე მხარეს ჩასდევს კეცილი საცალფეხო გზა — კიბებში. ისინი ნაწილობრივ გამოყენებული იქნება დათვალიერების ძირითად მარშრუტებში, საერთოდ კი მომსვლელი მათ გამოიყენებს გზის შესამოკლებლად. ისინი საშუალებას იძლევა გამოტოვოს კაცმა ნებისმიერი ზონა და მოკლედ ჩასჭრას გზა შემდეგ ზონამდე.

გამყოფი მწვანე ზოლის აქეთ-იქით ჩამავალ ხეებზე, ნამეტნავად აღმოსავლეთის მხრიდან, აუცილებელია ხელოვნური გადასასვლელების აგება. მცირე სიღრმისა (და სიგანის) ადგილებში უფრო მიზანშეწონილი გამოდგა რკინა-ბეტონის დიდი დიამეტრის მქონე მილების ჩაყრა, ზემოდან მიწაყრილის მოწყობით. მაგრამ იქ, სადაც სიღრმე ხევისა 10 მ. აღემატება, აგებული იქნება ხიდები. მთავარი გზების ტრასაზე აიგება რკინის კოჭოვანი ხიდები, რომლებიც განსაზღვრულია შემდგომში შეიმოსოს აგურით ძველ-ქართული ხიდების მსგავსად.

რაც შეეხება საფეხმავლო ხიდებს (ვიწრო გზების ტრასაზე) ისინი უნდა აშენდეს ზუსტად ძველი ხიდების კონკრეტული ნიმუშების მიხედვით. ცხადია, რომ ეს ობიექტები გაიმორცბენ (რაც შეიძლება ზუსტად) ისტორიული ნიმუშის მხოლოდ გარეგან ფორმას. ძირითადი მზიდავი კონსტრუქცია მათი, ალბათ მიზანშეწონილი იქნება განხორციელდეს რკინა-ბეტონისაგან. ამგვარად, საფეხმავლო გზის ხიდებზე პარკ-მულხუმში წარმოდგენილი იქნება, როგორც საექსპოზიციო ობიექტები.

VII.

მუზეუმის დაგეგმარების პროექტი ითვალისწინებს ტერიტორიის შემოზღუდვას, წყალსადენისა და კანალიზაციის გაყვანას, ელექტროგანათებასა და რადიოფიკაციას.

ღობე მუზეუმის ტერიტორიის ირგვლივ (მცირე გამოწკაპისით) უკვე შემოვლებულია. იგი წარმოადგენს მათეთლის ბაღს, დაჭიმულს რკინა-ბეტონის ბოძებზე. მას ახლა არ აქვს დამაკმაყოფილებელი სიმტკიცე და ვაუჯალობა. ამ ზღუდის გასწვრივ, როგორც გარე ისე შიდა მხრიდან პროექტი ითვალისწინებს ცოცხალი ღობის მოწყობას ხშირი ეკოლოგანი მწვანე დანარგავების, გამოყენებით.

წყალსასმელები და საზოგადოებრივი საპირფარეშოები მუზეუმის ტერიტორიაზე უნდა აშენდეს 8 ადგილას, მათი უმეტესობა მთავარი გზების მოსახვევებში შენდება. ამას გარდა სასმელი წყალი შეიძლება მიყვანილი იყოს, რამოდენიმე წყარო — ექსპონატთან, რომელთა საუკეთესო ნიმუშების ჩამოტანასაც პროექტი ითვალისწინებს. სასმელ წყალს მუზეუმი მიიღებს კუს ტბის მხრიდან. იგი თვითონით მოვა მუზეუმის დასავლეთ საზღვრამდე, საიდანაც სატუმბო სადგურის საშუალებით გადაიტუმბება ზევით, 770 მ. ნიშნულზე აგებულ რეზერვუარში.

მუზეუმი მომარაგებული იქნება აგრეთვე სარწყავი წყლით. მთავარი მოედნისა და არქეოლოგიურ ზონას შორის მდებარე ღელეში არის პატარა ბუნებრივი წყაროც. პროექტი ითვალისწინებს მის დატოვებას და კე-

თი ლმობიანობას, რა თქმა უნდა, თუ იგი არ დაშრა ხევის გაწყლიანებისა და წყალ-საცავის მოწყობის შედეგად.

ელექტროგანათება ტერიტორიისა ხორციელდება ძირითადად უწყვეტად ცვის მიზნით, რადგან პარკ-მუზეუმი დამთვალეირებლებს მხოლოდ დღის საათებში მიიღებს. იმისათვის, რომ მუზეუმის შიდა გზებზე და მის საექსპოზიციო ზონებში არ იყოს არც ერთი ბოძიანი საპაერო ხაზი, ელექტროგაყვანილობა განხორციელებული იქნება მხოლოდ მიწისქვეშა კაბელით.

პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე საავარიო განათების ფარულ გაყვანილობას, თითო წერტს ყოველი კარმიდამოს მთავარ (საცხოვრებელ) ობიექტში...

მუზეუმის ელექტრომომარაგებისათვის სადამინისტრაციო-კულტურულ ზონაში სამხრეთ საზღვართან აიკვება სატრანსფორმატორო პუნქტი.

მუზეუმის რადიოფიკაცია საშუალებას მისცემს მომსვლელებს მოისმინონ დამთვალეირების პროცესში ხალხური მუსიკის პანგები, მიიღონ საჭირო ცნობები მუზეუმისა და მისი ექსპონატების შესახებ.

VIII.

ობიექტები ძირითად საექსპოზიციო ზონებში იმ ანგარიშით ირჩევა, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი ქართული საცხოვრებლის სამი ძირითადი, ღრმა ისტორიული ტრადიციების მქონე თემა:

1. აღმოსავლეთ-საქართველოს მიწურ-ბანიანი სახლი ერდოსარკმლით შუაში, რომლის ძირითად სახესაც გვირგვინიანი დარბაზი („ერთობის სახლი“) წარმოადგენს, 2. საქართველოს დასავლეთ რაიონებში გავრცელებული ორქანობიანი ისლის ბურვილიანი საჯალაბო ანუ შუა სახლი უარგვალური ან მოწნული კედლებით და 3. მაღალმთიანეთის რაიონებისათვის ძველად ესოდენ დამახასიათებელი ქვის 2—3 სართულიანი ციხე-სახლი.

ქართული საცხოვრებლის ამ სამი ძირითადი სახიდან, რომელთაც ძველს ვუწოდებთ, შემდგომ განვითარდა გარდამავალი ტიპები, ჩამოყალიბებული ისტორიული განვითარებისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების შესაფერისად: 1. ბანიან-ბუხრიან-სარკმლებიანი სახლი აღმოსავლეთ საქართველოში, 2. გაუმჯობესებული ფორმა საჯალაბო სახლისა ნაწილობრივი იატაკით და 3. ორი ძირითადი სახესხვაობა მაღალმთიანეთის საცხოვრებლისა: ა. აღმოსავლეთ საქართველოში 2—3 საფეხუროვანი (კალიონი) სახლი, ბ. დასავლეთში — ორსართულიანი სვანური მაჩუბიან-დარბაზიანი სახლი.

საცხოვრებლის ამ ტიპების განვითარების მესამე საფეხურზე, რომელსაც ჩვენ პირობით ახალს ვუწოდებთ, ხდება ფორმათა შედარებითი უნიფიკაცია: კერა ყველგან ადგილს უთმობს ბუხარს, საცხოვრებლის იატაკი სცილდება მიწას, ჩნდება ცოკოლი ან შენდება ორ სართულად: ერთსათავსიანის მაგიერ იგი კეთდება ორ-სამ (და მეტ) ოთახიანი, ნათდება შემინული მოზრდილი ფანჯრებით. ფართე აივანი და სხვენეი, რომელიც ფიცრული ქერის წყალობით გამოეყო საცხოვრებელ სივრცეს — იქცა სახლის აუცილებელ ელემენტად.

ამ ტიპის სახლების შესანიშნავი წარმომადგენლებია: დასავლური

ოდა-სახლი (პალატებიანი ოდა) დახვეწილი, თითქმის ტიპური გეგმით, მაგრამ მრავალსახა გარეგნობით — და აღმოსავლური, ქვეტექნიკური ორსართულიანი აივნებიანი სახლი.

მუზეუმის ექსპოზიცია ითვალისწინებს ქართული საცხოვრებლის განვითარების ამ სამივე ძირითადი ეტაპის, რაც შეიძლება სრულად და საუკეთესო ნიმუშებით წარმოდგენას. მხედველობაშია მისაღები, რომ ფორმათა განვითარების თითოეულ საფეხურზე მის შიგნით გვხვდება საგრძნობი არქიტექტურულ-მხატვრული ვარიაციები, როგორც დროისა, ისე სივრცის მიხედვით. მთავარ კრიტერიუმად მათ შერჩევისას გვევლინება გეგმის რაციონალური გადაწყვეტა და სახლის (როგორც შინაგანი სივრცის ისე გარე ფორმების) ხუროთმოძღვრულ-მხატვრული ღირსებები.



დარბაზული საცხოვრებლის კომპლექსში სამცხე-თრიალეთის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია კიდევ ერთი, დიდი ხუროთმოძღვრულ-მხატვრული მნიშვნელობის მქონე ინტერიერის სტრუქტურა. ეს გახლავთ ე. წ. თაკარებიანი ოდა გრიფ-გვირგვინული, ხის საფეხუროვანი გადახურვით, ორ რიგად (და ზოგჯერ ორ იარუსად) განლაგებული ტახტებით, ზედა განათებით, აყურულ-ჩუქურთმოვანი ბუხრისკედლით.

ქართველი გლეხის სამეურნეო-საწარმოო ნაგებობებიდან არქიტექტურული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ქართლ-კახური მარანი აღმოსავლური და დასავლური წყლის წისქვილები, ქვემო ქართლის ზეთსახდელები აპარული საზაფხულო ბინების ძეგური ნაგებობანი, სამცხური ყოჩბაშიანი (ვერძისთავიანი) ანუ კვანტებიანი მოდარბაზული ახორი (ბოსელი), დასავლური სასიმიინდეები ხატოვნად მოწყობილი ან აყურ-ფიცრული კედლებით, ბელლები და სხვ. მუზეუმში წარმოდგენილი იქნება მათი განსხვავებული და მაღალი ხუროთმოძღვრული ღირსებების მქონე ნიმუშები.

IX.

ობიექტ-ექსპონატების ადგილზე მიგნება, შეძენა დაშლა-გადმოტანა და მუზეუმის ტერიტორიაზე დამკვიდრება მეტად რთული საქმე აღმოჩნდა. მაგრამ

არანაკლებ რთული ჩანს ამ საცხოვრებელი სახლების შესაფერი შიდა მოწყობილობის მოპოვება და შექმნა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია საცხოვრებლის ინტერიერი: „ღია ცის ქვეშ მუზეუმში ექსპონირებული ცხოვრებელი თუ სამეურნეო-სარეწაო ნაგებობანი ინტერიერით, მისი ინტერიერი და იარაღ-ხელსაწყოები ორიგინალობის მიხედვით უნდა იყოს წარმოდგენილი. მხოლოდ ამ პირობების დაცვით ისინი თავიანთი შთამბეჭდავი ძალით მათთვის დასახულ მიზანს მიაღწევენ და ამავე დროს სამეცნიერო კვლევის ობიექტებიც იქნებიან“ (გ. ჩიტაია, „ძეგლის მეგობარი“, № 7, გვ. 7).

სახლის ავეჯი, მოწყობილობის საგნები, რკინის კერები, საკიდელი ჯაჭვები, სამარიელ ყუთები, ჭრაქები, თიხისა და ხის ნახევრი ჯამ-ჭურჭელი, საფენები, ლოგინი, ტანისამოსი, შინაური შრომის იარაღები (სართავ-საძახი ჯარა, საქსოვი დაზგა, სადღებლები და სხვ.), რომლებიც ძველებურ სახლებს შესაფერისად აგებდნენ და ამკობდნენ, უკვე დიდი ხანია გამოვიდა ხმარებიდან. მუზეუმს დიდი მუშაობა დასჭირდება იმისათვის, რომ აქა-იქ გადარჩენილი ხალხური კუსტარული ხელოვნების ეს ძვირფასი ნიმუშები მოიპოვოს ექსპოზიციისათვის.

არა ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება გარეთა, კარში და მთლიანად განკუთვნილ ექსპონატებს ხალხური ტრანსპორტის საშუალებებს, მარხილებს, ურმებს, უნიკალურ სახენელ იარაღებს (რომელთა შესახებ აკად. გ. ჩიტაიას გამოკვლევებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვეს), ქვის საცხეველებს, კვერებს, თონებს, ფურნებს, ქვევრებს და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეირჩეს კარმიდამოს ღობეები და ჭიშკრები, რომელთა მრავალნაირი და ლამაზი ნიმუშებითაც მდიდარი იყო ქართული სოფელი. საბა-სულხან ორბელიანს თავის ლექსიკონში მოცემული აქვს ზღუდის 13 სახე-სხვაობა: გაღაგანი, ეზო („წინათ კერძო ანუ გვერდით მოხრილი კედელი, რათა შუა ადგილი აქუნდეს“) ბაკი, გისსოი, დრუსო, ხიმი, ღობე, ყორე, ყერო, ხირხალი, მასარი, კაწანი და ძელყორე. ახლა რამდენი სახე-სხვაობა გვაქვს თვითუფლ მათგანში? ყორის წყობის შესანიშნავი სახეებია გავრცელებული ხევში, ღობის მრავალფეროვანი ნიმუშებია შემორჩენილი იმერეთში.

კარმიდამოთა ან მათი ნაწილების ზღუდეების სახით მუზეუმში წარმოდგენილი უნდა იყოს ღობეებისა და ჭიშკრების (შესასვლელების) ყველა საინტერესო ვარიანტი.

X.

ამრიგად, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმმა თავის ზონებში შესაძლო სრულყოფილებით უნდა წარმოადგინოს ჩვენი ხალხის რევოლუციამდელი პერიოდის ხუროთმოძღვრებისა და ყოფის (მათ შორის გამოყენებით — დეკორაციული ხელოვნების მრავალი დარგის) საუკეთესო ტრადიციული ნიმუშები.

სავალალოა ის გარემოება, რომ მრავალი შესანიშნავი ძეგლი ხალხური ხუროთმოძღვრებისა და გამოყენებითი ხელოვნებისა, რომელიც დაფიქსირებული იყო ამ 30—40 წლის წინათ — დღეს უკვე აღარ არსებობს. მათი უგულვებელყოფა და მათ მაგიერ დღემდე მოღწეული მდარე ობიექტების წარმო-

გენა მუზეუმში — გააღარიბებდა ჩვენი ხალხური ხელოვნების ისტორიას. როგორ შეიძლება მაგ. ქართლის ზონაში არ იყოს წარმოდგენილი ყარაღაჯის დარბაზის მაღალმხატვრული ნიმუში უნიკალური თორმეტკუთხოვანი გვირგვინით რომელიც ახლა აღარ არსებობს? გადაწყვეტილია მსგავსი მნიშვნელოვანი ობიექტები აშენდეს არსებული ანაზომებისა და ჩანახატების მიხედვით. საბედნიეროდ ეს დარბაზი დეტალურადაა აზომილი ნ. სევეროვის მიერ და გამოცემული აკად. გ. ჩუბინაშვილის პუბლიკაციაში.

იგივე შეიძლება ითქვას მცხეთურ უნიკალურ დარბაზზე, მუხის დანიკბულ ნიყურებთან გვირგვინით, რომელიც აფრისებურ (ზემოთ აზნექილ ოთხი თავისი) საფუძველზეა აღმართული. ხის ნაწილები ამ ობიექტისა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კუთვნილებაა, რომლის ერთ-ერთ დარბაზშიც აკებულია იგი არასრული სახით.

ამ სამი წლის წინ მცხეთური გვირგვინის სურათი (მესტიის კოშკებთან ერთად) დაბეჭდილი იყო პოლონეთის ჟურნალ „პროექტში“, ხალხური ხუროთმოძღვრების სხვა მსოფლიო უნიკალური ნიმუშების გვერდით. წერილის ავტორი არქიტ. თ. ბარუცი აცხადებს, რომ აქ მოყვანილი არქიტექტურული სტრუქტურების გამოყენება თანამედროვე ხელოვნებაში ხელს შეუწყობდა რეგიონალური, ეროვნული თვითმყოფადობით აღნიშნული ახალი ხუროთმოძღვრული ფორმების დამკვიდრებას უნიფიცირებულ, ერთფეროვან „საერთაშორისო სტილში“ ნაგებ შენობათა სამაგიეროდ.

მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა ეს დარბაზი სრული სახით ააშენოს პარკ-მუზეუმის ტერიტორიაზე. დედნის ზოგიერთი ელემენტის ჩართვით.

იქ, სადაც ძნელია (და ზოგჯერ შეუძლებელიც) შენობის დედნის წარმოდგენა, არ მიგვაჩნია დასაძრახისად მისი ზუსტი ასლის გადმოღება, განა აზრი ჰქონდა მაგ. მესტიის კოშკის დაშლა-დანგრევას, ამ მასალის გადმოტანას, და მისგან სამუზეუმო ექსპონატის აშენებას? გაიხსენეთ, რომ სვანური კოშკი გარედან მუდამ ილესებოდა! ქვიტკირის კედლის დაშლა-გადმოტანა მხოლოდ მაშინაა გამართლებული თუ იგი განსაკუთრებული, თლილი ქვისაგანაა ნაგები, როგორც მაგალითად, მუზეუმის ტერიტორიაზე აშენებული სიონის ეკლესია და აკლდამა.

XI.

დასასრულ ქვემოთ მოგვყავს პარკ-მუზეუმის გენერალური გეგმის რამდენიმე დამახასიათებელი მონაცემი.

ყველა მისი საექსპოზიციო (I—XI) ზონის ფართობი ნეტო შეადგენს 22,09 ჰექტარს.

გამყოფი მწვანე ზონა (XII) და მწვანე ზონები აღმოსავლეთისა და დასავლეთის სექტორებში (XVII—XVIII) — 9,89 ჰექტარს.

მუზეუმის მთელი ტერიტორია ბრუტო დამტკიცებულ საზღვრებში უდრის 45,00 ჰას, საიდანაც პირველი რივი შეადგენს 19,80 ჰას, მეორე რივი კი — 26,20 ჰას.

კარმიდამოთა რაოდენობა ძირითად საექსპოზიციო ზონებში პროექტის მი-



ხედვით 100-ს შიალწევს. თუ თვითველ კარმიდამოში საშუალოდ სამ ობიექტს ავაშენებთ, შენობათა საერთო რაოდენობა 300-მდე ავა.

ასეთი გრანდიოზული მასშტაბის მშენებლობა მოითხოვს ეთნოგრაფთა, არქიტექტორთა და მშენებელთა კოლექტივის 15—20 წლის დაძაბულ მუშაობას. მისი განხორციელება, განსაკუთრებით კი მოპოვება ხალხის შემოქმედების ნამდვილად შალალ-მხატვრული ნიმუშებისა, წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობის აქტიური დახმარების გარეშე.


დიდი ყურადღება, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტია და რესპუბლიკის მთავრობა იჩენს მუზეუმის მშენებლობისადმი — საწინდარია იმისა, რომ ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმი უახლოეს წლებში ჩადგება ჩვენი ქვეყნის კულტურულ დაწესებულებათა მწყობრში და იქცევა ჩვენი ხალხის მატერიალური კულტურის ძეგლებისა და ხუროთმოძღვრულ-მხატვრული შემოქმედების უნიკალური ნიმუშების საიმედო საცავად, მათი პროპაგანდის მნიშვნელოვან კერად.



დარბაზი სოფელ შაჰპარიდან

ქართული ხალხური არქიტექტურისა და ყოფის პარკ-მუზეუმის ექსპონატებს შორის, დარბაზი სოფელ ჭაჭკარიდან მეორეა, რომელიც გადმოტანილ იქნა მუზეუმში.

სოფ. ჭაჭკარი მდებარეობს ვიწრო ხეობაში. იგი აღმოსავლეთიდან ეკვრის ვარძიის კლდეს. დარბაზი ხუციშვილების ოჯახს ეკუთვნოდა და სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილში, ვიწრო გასასვლელის ბოლოში იდგა. ეს უძველესი ტიპის საცხოვრებელი სახლი შედგებოდა სამი სათავსოსაგან. მათ შორის ყველაზე დიდი იყო საკუთრივ დარბაზი, მის უკან იდგა მეორე, უფრო მცირე, მოკრძო ექვს-



კუთხა სათავსო, და პატარა საკუჭნაო. თავის დროზე დარბაზს ბოსელიც ექნებოდა, მაგრამ მას ჩვენ დრომდე არ მოუღწევია.

დარბაზი ნაწილობრივ მთის ფერდობში იყო შეჭრილი, რის გამოც მას მხოლოდ ერთი, წინა ფასადი ჰქონდა. მისი სახურავი მთლიან დაფარულ ტერასას წარმოადგენდა. კედლის მასალად უხეში, ნაგორავი ქვები იყო ნახმარი. წყობა მშრალი. ინტერიერის წყობაში ჩართული იყო დიდი ზომის ქვის ლოდები, იატაკშიც აქა-იქ კლდე მოჩანდა, უკანა სათავსოში კედელთან ქვის ტახტი იყო მოწყობილი. მიუხედავად შეკეთებისა, ეს თითქოს სულ უბრალო, მკაცრი და უხეში წყობა უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებდა.

დიდი სათავსოს ცენტრალური ნაწილი გადახურული იყო რვაკუთხა შერეული ტიპის გვირგვინით, იგი ეყრდნობოდა ექვს, ორ რიგად განლაგებულ ბოძს.

ბოძებს ჰქონდათ სხვადასხვა ზომისა და ფორმის უხეშად დამუშავებული ქვის ბაზები. ჩრდილოეთის რიგის შუა ბოძი აღარ არსებობდა. ადგილზე შერჩენილმა ბაზამ და თავხის მკაფიო ანაბეჭდმა კოჭის ქვედა სიბრტყეზე მოგვცა საშუალებები დაგვედგინა ბოძისა და თავხის ზუსტი ადგილმდებარეობა და ზომები.

სამხრეთის რიგის ბოძებზე იდო ორი შეწყვილებული, ნაძვისაგან გამოთლილი 7 მ სიგრძის კოჭი, იგი ეყრდნობოდა ბოძებს შემაკავშირებელი თავხეების საშუალებით და ბოლოები კედლებზე ჰქონდა ჩამოდებული. ჩრდილოეთის რიგის ბოძებზე კი მთლიანი, უხეშად გათლილი თუთის ხე იდო, რომელსაც ერთ ბოლო-



ჰაჭკარის დარბაზი მშენებლობის პროცესში. (ხელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან)

ახალი დედა-ბოძი სამხრეთის (ყოფილი ჩრდილოეთის) კედელთან


ში სიგრძის მოსამატებლად ორი ტოტის განშტოებული დასაწყისიც ჰქონდა დატოვებული. მისი მეორე ბოლო საკმაოდ განიერი იყო, არ მოითხოვდა შემაკავშირებელ თავხეს, ამიტომ მშენებელს, დარბაზის შემკულობის საერთო სისტემა რომ არ დაერღვია, თავზე ზედ კოჭზე ამოუკეთებია. შუა ბოძთან კოჭი შეზნექილია, მას ემჩნევა კიდევ თავხის კვალი. განშტოებული ბოლო თავხის მოწყობის საშუალებას არ იძლეოდა და არც საჭიროებდა, ამიტომ ოსტატმა მისი გაორებული ბოლო მოგრძო ფორმის კაპიტელს დააყრდნო.

გვირგვინის დასაყრდნობად ძირითად ორ კოჭზე მართობულად იდო აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეწყვილებული კოჭები. ორივეს შუაში დამატებით

ყელსაბამიანი ვერძის თავების გამოსახულებით შემკული საყრდენები ჰქონდა შედგმული. გვირგვინს თერთმეტიდან მხოლოდ შვიდი არასრული რიგი შეერთდა გაზრდილი ღიობის შესამცირებლად მას შემოწყობილი ჰქონდა რამდენიმე უცვლელი წვრილი ხე.

დარბაზის დანარჩენი ნაწილი გვირგვინის ირგვლივ გადახურული იყო კოჭებით, რომლებიც ერთი ბოლოთი — კედლებს, მეორეთი კი — უფრო მაღლა განლაგებულ მთავარ კოჭებს ეყრდნობოდნენ. ამ ნივნივების მაგვარ კოჭებზე გადახურული ფიცრები მთლიან ფენილს ქმნიდნენ.

დარბაზის ყველა ხის ნაწილი დამუშავებულია ერთი. ხეს ემჩნევა იარაღის კვალი. მარტივი და ლაკონური მოკლე ღარების მონაცვლეობით შედგენილი გეომეტრიული ორნამენტი ძუნწად არის გამოყენებული შუა ბოძის, თავებისა და გვირგვინის პირველი რიგის კოჭების შესამკობად. მეტყველია რეალისტური



დარბაზის გადახურვის გეგმა.

მანერით დამუშავებული კონსოლების ვერძის თავები, რაც ჭაბუკარის დარბაზს განუმორებელ სახეს ანიჭებს და სხვა ბევრად უფრო მდიდრულად შემკულ დარბაზებიდანაც კი გამოპყოფს. თავისებური ორნამენტით შემკული უხეშად დამუშავებული ხე და მასიური კოჭები შესანიშნავად ეხამება ბუნებრივი ქვით ნაგებ კედლებს. კვამლის ხანგრძლივი მოქმედების შედეგად ხის ზედაპირმა მიიღო საოცრად ლამაზი მუქი ფერი.

უკანა სათავსოს გადახურვას შერჩენილი ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე მთავარი კოჭი. დანარჩენი ბოლო დროს იყო აღდგენილი კანგაუცვლელი ხეებით. საკუწნაოს გადახურვა აღარ არსებობდა, შესასვლელი კი ქვის წყობით იყო ამოშენებული.



ლი. უკანასკნელ ხანს დარბაზში აღარაღივ ცხოვრობდა და მას ბოსლად იყენებდნენ. მოუვლელობით იგი ჩვენ თვალწინ იღუპებოდა, ამიტომ გადაწყვეტილება მისი მოზუეში გადატანის შესახებ სწორი და დროული იყო. თბილისში გაადატანილ იქნა მხოლოდ მისი ხის ნაწილები, კედლის მასალა კი ადგილზე დარჩა. მაც ძალიან გააძნელა და გაართულა მისი აღდგენა.

დაშლის წინ დარბაზი დეტალურად აიზომა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კედლების წყობის ნახატს და ხის ნაწილების ზუსტ მდებარეობას. მათ მაშინვე გაუკეთდა მარკირება. შესაბამისი აღნიშვნები გადატანილი იქნა ნახაზებზეც. ამის გარეშე ოთხსამდე ხის დეტალის თავის ადგილზე დაყენება შეუძლებელი იქნებოდა. ჩატარდა აგრეთვე ამ ძეგლის დეტალური ფოტო-გადაღება, ბელტიკა და მიწის ფენის მოხსნის შემდეგ დაიწყო დარბაზის ხის ნაწილების დაშლა. მათი ზედაპირი საკმაოდ დამპალი აღმოჩნდა, თვითონ ხე კი სხვადასხვა მდენე მწერებისა და ჭიების მიერ დაზიანებული.

თბილისში გადმოტანის შემდეგ, ხის ნაწილები დაახარისხეს და შეისწავლეს მერქნის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თანამშრომლებმა. დამპალი ნაწილების მოშორების შემდეგ ისინი ცხელი მეთოდით ანტისექტირებულ იქნა. ასევე დამუშავდა ლითონის საგანგებო აბაზანებში ხის ის მასალა, რომლისგანაც უნდა დაშლადებულყო აღსადგენი ნაწილები.

ყველაზე ძნელი იყო დარბაზის კედლების აღდგენა. მათი თავდაპირველი ხასიათის დასაცავად საჭირო იყო ისეთი ქვების გამოყენება, როგორცაა ადგილზე იყო აგებული. თბილისში და მის მიდამოებში ასეთი ქვები ძნელად მოიპოვებოდა. განსხვავებულად აგრეთვე კლდის ქანიც და რელიეფიც.

გეგმის დაკვალვის შემდეგ ანაზომებისა და ფოტოსურათების მიხედვით დაიწყო კედლების ამოყვანა. ყოველ დამახასიათებელ ფორმის ქვას მოექებნა შექლებისდაგვარად თავისი ორეული.

კედლების ამოყვანის პროცესში სათანადო სიმაღლიდან წყობაში ხის ნაწილების ჩართვა დაიწყო.

ამ სამუშაოების შემდეგ ეტაპი იყო ფარული დამცველი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის აგება (ავტორი ინჟ. იოანედი) თავისი საინჟოლაციო ფენით, ზევიდან ტერასების მოწყობა და მობელტვა.

ჭაჭკარის დარბაზი გადმოტანილია პარკ-მოზუეში, ყოველგვარი გადაკეთებისა და შელამაზების გარეშე. დარბაზის დაკარგული ნაწილები აღდგენილია თვით დარბაზში შენახული მონაცემების საფუძველზე. ჩვენი მთავარი მიზანი იყო გადმოგვეცა ამ ძეგლის საერთო ხასიათი და მისთვის ჩვეული განწყობილება.

ჭაჭკარის დარბაზის გადმოტანაში მონაწილეობას იღებდნენ: ანანურელი ქვისმწყობი მიხეილ პუშენი, რომელმაც შესძლო ქვაში განებორციელებინა პროექტის ავტორების ყველა მოთხოვნა, ხის ოსტატები: მამა-შვილი ვლადიმერ და იური ლომიძეები, მათ არა მარტო გაუკეთეს პროტეზირება ძველ დაზიანებულ დეტალებს, არამედ შესანიშნავად აღადგინეს დაკარგული ნაწილებიც. უფრ. სამუშ. მწარმოებელმა გ. ლაშაშიძემ და ბრიგადირმა გ. ძნელაძემ კარგად გაართვეს თავი დარბაზის გადმოტანის და ადგილზე აგების მთელ ორგანიზაციას.

ანა მახარაშვილი

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო
მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი

XVIII საუკუნის ენძერი

ქართველმა ქალებმა დაგვიტოვეს ნაქარგობის მრავალრიცხოვანი დიდი და საუკეთესო შემკვიდრეობა, რაც თავისი მხატვრული სახითა და ესთეტიკური ღირსებით ქართულ ხელსაქმის ძვირფას საგანძურს წარმოადგენს.

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ქართული ქსოვი-ლებისა და ნაქარგობის ფონდებში დაცულია ენძერი, რომელიც წარმოადგენს უნიკალურ ნამუშევარს (ზომა 33×36). ენძერი არის საეკლესიო ნივთი, იგი განკუთვნილი იყო ჯილდოდ სამღვდელო პირთათვის. როგორც წესი, ენძერი ჩამოკიდებული ჰქონდათ მხარბილივ გვერდზე¹.

ენძერის ცენტრალურ ნაწილზე მოთავსებულია იესო ქრისტეს გამოსახუ-ლება ვერცხლმკედის სითვით მოქარგული. მის გარშემო ენძერის მთელი არე შემოფარგლულია ვაზის ტოტებით, თავისი ყლორტებით, ფოთლებითა და ყურ-ძნის მტევნებით. იესო ქრისტეს ხელში უკავია ყურძნის მტევანი. ეს თემა უკავ-შირდება სახარების შემდეგ სიტყვებს „მე ვარ ვენაქი ქეშმარიტი, და მამაა ჩემი მოქმედი არს“.

„ყოველმან რტომან რომელი ჩემ თანა არს და არა მოიღოს ნაყოფი აღიღოს იგი; და ყოველმან რომელმან მოიღოს ნაყოფი, განწმინდოს იგი, რაათა უფ-როასი ნაყოფი გამოიღოს“.

„მე ვარ ვენაქი და თქვენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი, მრავალი, რამე თუ თვინიერ ჩემსა არარაა ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“.

ვაზი, რომელიც შემოფარგლულია იესო ქრისტეს გარშემო და მოდებულია ენძერის მთელ არეზე, მქარგველს მაღალი ხელოვნებითა და დიდი გემოვნებით აქვს განხორციელებული. ქარგვის მაღალი ოსტატობით არის გადმოცემული ვა-ზის ლამაზი ბუნება, განსაკუთრებით, ყურძნის მტევნები. ეს უკანასკნელი სილა-მაზით გამოირჩევა და მაღალი რელიეფით არის შესრულებული. უაღრესად შთამბეჭდავია მისი შესანიშნავი კომპოზიციური აღნაგობა.

ენძერის ოთხივე კუთხეზე მოცემულია თითო ექვფრთიანი ანგელოზი (ქე-რუბინი), იესო ქრისტეს ფეხებთან მოთავსებულია დედამიწის განსახიერება. ზე-მოაღნიშნული კომპოზიცია მოქარგულია ოქრომკედის სითვით, ხოლო იესო ქრის-ტეს და ანგელოზების სახეები და ხელები ბაცი პირისფერი ზეზით, თმები ყავის-ფერი აბრეშუმის ძაფით. ენძერის თავისუფალ არეზე, მხატვრული აღქმის უფრო მეტად ამაღლებისათვის ჩარეულია ოქროსფერი კილიტები, რომლებიც ასრუ-ლებენ ვარსკვლავების როლს.

ენძერს გარშემო შემოსდგეს ასომთავრული წარწერა, შესრულებული ოქრო-

¹ აღნიშნული ცნობა მოკვავილა ივანე საყვარელიძემ.

² „აბალი აღთქმა“ თავი 15, თბ. 1963 წ. გვ. 235.



ՀԱՐՈՅՑԱԿ
ՃԱՆՈՒՄՆԵՐ



«ՅԵՅԳԻՆ», XVIII Ե.



შეედის სიფით, რაც შემიღებს გვაუწყებს. (მოგვყავს მხედრული ტრანსლიტირაციით და ქარაგმების გახსნით): „ვენ[ა]ხო პ[ი]შ[ი]მარიტო ქ[რ]ისტიე რ[ი]შელმან გ[ა]ნიწყაღლე ღვინო სიხ[ა]რ[ქ]ულისა მისა ძ[ა]ლით კვალად გვაგენ შ[ი]რ ველი[ი]სა ს[ა]მკვიდრ[ე]ბ[ე]სელსა ხილოლი მე უღირსმან ორბელის შვილის ას[უ]ლმან და მეფის იესეს თან[ა] მეცხედრემან მ[ა]რ[ი]ამ შვეტერენ მოსახსენებლად ხელმწიფისა ჩვენისა სულთათს“.

მარიამ დედოფალზე, როგორც ხელსაქმის დიდ ოსტატზე მეტყველებს ეს უნიკალური ნამუშევარი — ენქერი. იგი ყოფილა რძალი ვახტანგ V შვილის ლევანისა, რასაც გვიმტკიცებს შემდეგი საბუთები:

ვახტანგ V „მარიამისა-თანა არა ესვა მეფესა შვილნი, არამედ როდამის-თანა ესხნეს ძენი. არჩილ, გიორგი, ლევან, ალექსანდრე, ლუარსაბ, სოლომონ და ასულნი ანუკა და თამარ“³.

„იძულებითი არჩილისათა დაიხსნა მეფე-მან ასული დათუნასი ქეთევან ახალციხის ფაშისაგან, მოიყვანა ტფილისს და უქმნა ქორწილი დიდებული ხოლო გიორგისა ძისა თვისისათვის მეფესა პირველივე მოყვანა ცოლი ელიზბარის შვილის ასული თამარი და აწ მოგვარა ლუარსაბის რევაზ არაგვის ერისთავის ასულ მარიამ ცოლად და უქმნა ქორწილი ლილოსა ზედა დიდებით წარჩინებული.

კვალად ლევანს მოგვარა გურიელის ქაიხოსროს ასული თუთა და უქმნა ქორწილი გორს აღმატებული“.

მეფე ვახტანგ V „შაჰ-სულეიმან მოწერა მისვლად მის წინაშე და ნახავდა მეფე დიდითა და ხელმწიფურითა, რამეთუ იყო მდიდარ ფრიად და არარაი დაუტევა ძეთა თვისთა ურჩებისა-თვის მათისა, ვინაიდგან რისხვიდა ფრიად. არამედ განმგებლად ქართლისად დაუტევა ძე თვისი გიორგი.

მეფე შანაოზ შთავიდა ხოშკარს, მუნ საღმობიერ-იქნა და მოკვდა ქს. ჩქოე. (1675). ამისმან მსმენელ-მან ყეენ-მან წამოავლინა კაცი და აღწერნეს ყოველნი ქონებანი მეფისანი და მისცეს ალექსანდრეს და ანუკას შვილთვე მეფისათა, რამეთუ ესე ალექსანდრე პირველვე წარველინა ყეენისა-თვის მეფესა და იყოფოდა მუნ ფარულად ისპაანისად: შემდგომად მამისა თვისისა წილ მოუწოდა ყეენ-მან გიორგის ძესა მეფისა წინაშე თვისისა, რათა მისცეს ქართლი და მეფობა: მსმენელი გიორგი მეფისა წარვიდა წინაშე ყეენისა და დაუტევა ტფილისს განმგედ ქართლისა ძმა თვისი ლევან: ხოლო მისრულისათვის გიორგისა ძისა მეფისა-თვის არღრა ენება ყეენსა მიცემად ქართლი შაჰ-სულეიმანს დაპყრობა ქართლისა არჩილისაგან განიზრახა განდგომა ქართლისა, მსწრაფლ მოუწოდა გიორგის და მისცა ქართლი და ნიქი დიდნი და წარმოავლინა გამამამდიანებული დიდებითა ბუნებურითა“⁴.

„ყეენ-მან მოითხოვა მეფისა-გან ლევან ძმა მეფისა, რამეთუ ეუწყა ყეენსა არს იგი საქმისა მისისა წარმართებული: გარნა ლევანს მოჰკლომოდა ცოლი, ასული გურიელისა თუთა ქს, ჩქოე (1678) ქრ. ტ 3 (1678) და დაშინენ ძენი მის თანა ქაიხოსროს, ვახტანგ და დომენტი და ასული ხვარამზე; შემდგომად შერთო

³ ვახუშტი ბატონიშვილი „საქართველოს ცხოვრება“, ტფილისი, 1913 წ. გვ. 78.
⁴ იქვე, გვ. 83.
⁵ იქვე, გვ. 85.

ასული გიორგი ავალის-შვილისა თინათინ, ქს. ჩტბ (1680) ქრ. ტ ც (1680) და ეს⁶
ხნენ ძენი მის თანა იესე, სვიმონ და თეიმურაზ⁶.

ლევანის ძე „ქს ჩლიდ (1714)⁷. მოვიდა ქართლში მეფე იესე⁸ ოქტომბერი
კ(20) მიეგება ძმა სვიმონ და ქართველნი გატეხილის-ხიდის ვალმა შეიქმნა მი-
სალმება, როგორც წინათ ყოფილიყო, გარდაეხვიენენ ძმები ერთმანეთსა, შექნეს
ლხინი და უკუყრა, გაცემა საბოძვრისა, დამოსა ქართველთ დარბაისელნი, შექნა
ლხინი და განსვენება, გამობდა ხანი რაოდენომე შეერთო ასული ყაფლანის-შვი-
ლის ერასტისა მარიამ, ესვაძე ამასთან გიორგი.

„ყაფლანიშვილები არიან იგივე ორბელიშვილები და იგივე ორბელიანები,
XIX ს-ში კი ჯამბაყურ-ორბელიანებად ცნობილნი“⁸.

აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ ციტირებულ ტექსტში მოხსენებული პირი,
ენჭერის მომქარგველი მარიამ ერასტის ასული ყაფლანიშვილი იგივე „ორბელი-
შვილი ერასტის ასულია, თანამემცხედრე იესესი“, როგორც წარწერაშია აღნიშ-
ნული.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი საბუთებიდან ირკვევა, რომ ენჭერი შესრულე-
ბულია XVIII ს. პირველ ნახევარში, რადგან მარიამი იხსენიება, როგორც თანამემ-
ცხედრე იესესი, ლევანის ძისა, რომელიც ქართლში მოვიდა 1714 წელს.

⁶ ვახუშტი ბატონიშვილი, დასაბ. ნაშრომი, გვ. 89.

⁷ იქვე.

⁸ ვ. ჯამბურია „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან“, საქ. სსრ მეცნ. აკა-
დემია, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტი. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამოცე. თბ.,
1955, გვ. 76.



დიდად პაგივხეველო, ძვირფასო გიორგი!


საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება და „ძეგლის მემორიის“-რედაქცია, მოგასალმობათ თქვენ, ცნობილ ქართველ მეცნიერს და გულითადად გილოცავთ დაბადების 97 წლისა და მეცნიერულ-დაგმობითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავს.

თქვენ სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში ბუნებრივი, კონკრეტული სამეცნიერო დაგმობა, ჩამოყალიბება და განვითარება. საბჭოთა საქართველოს ბატონობაზე თქვენ მუდამ ფაქტობრივად ქართული ბუნებრივი, კონკრეტული მეცნიერების თქვენ ბრძანებით, დაგმობა-ხუმრებულად საკვებულს საუკეთესო აღიარებით.

თქვენ, მშობლიური ხალხის უსაზღვრო სიყვარულით შთაბრძნავთ მეცნიერი, ხშირ ათეულ წილები მითხრის, რაც თავდადებულად იწვივთ მეცნიერულ კვლევაში, განვითარებით ჩვენი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის უმდიდრესი საგანგებო, ამაღლებული მდგომარეობის და წინა-გეგმვებით, წარმოადგინეთ და დამცავთ ბატონური კულტურის სიყვარული და თვითმყოფადობა. თქვენი უკეთესი მეცნიერი წარწერის საგანია ქართველი ხალხის მატერიალური განვითარება, კულტურის მრავალმხრივად განვითარება, რომელთა შესწავლისა და დაცვის ორგანიზაციის სამსახურში თქვენ დიდ მნიშვნელობას ატარებთ.

შასტავთავებელი თქვენნი მრავალმხრივი მოღვაწეობა საფუძვლივ ფონდების შესწავლისა და სამეცნიერო მუშაობის მეცნიერული დონის ამაღლებინათ.

ჩვენ პატივისცემის ბრძანებით გვთხოვთ თქვენს დიდ ღვაწლსა და ამაღლებულ მეცნიერების, ბატონური საზოგადოებრივი წინაშე და გილოცვით ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შვირთხეობით წარმატებებს.



გიორგი ჩიქვაშვილი

აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ გ. ჩიტაიას სახელი განუყოფლად არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ჩასახვასთან, მის განვითარებასთან, წარმატებებთან. თავისი მრავალმხრივი შემოქმედებითა და ნათელი, მისაბაძი ცხოვრებით გ. ჩიტაიამ სრულიად დამსახურებულად დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი ქართველი ერის მოწინავე მოღვაწეთა შორის.



მთათუშეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია. 1966 წ.

გ. ჩიტაია დაიბადა 1890 წელს, ქ. ფოთში. 1911 წელს თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გ. ჩიტაია სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგს მიემგზავრება. შედის იმ ხანად ქართველოლოგიის სამეცნიერო ცენტრად აღიარებული უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტზე ქართულ-სომხური სიტყვიერების განხრით. სწავლობს ცნობილი მეცნიერების — ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ი. კრაჩკოვსკის, ვ. ყუკოვსკის, ბ. ტურაევის, ი. სმირნოვისა და სხვათა ხელმძღვა-



ნელობით. ნიჭიერი და მონდომებული სტუდენტი თავდავიწყებით მუშაობს თავის თავზე, არა ერთ ღამეს ათენებს თეთრად. მას სწამს, რომ ღრმა, ყოველმხრივ ცოდნის გარეშე შეუძლებელია ქვეყნისთვის საჭირო საქმეს თავი გაართვას. მოდგინე მეცადინეობის წყალობით გ. ჩიტაია მალე პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღებას იპყრობს. აქვე ღებულობს პირველ მეცნიერულ ნათლობას. მონაწილეობს ივ. ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში, რომელსაც, როგორც ცნობილია, ფართო სამოქმედო პროგრამა ჰქონდა და ქართველოლოგიური კვლევა-ძიების ერთ-ერთ მძლავრ საყრდენს წარმოადგენდა. აქ მუშაობამ გაუღვივა გ. ჩიტაიას ქართველოლოგიისა და კავკასიისმცოდნეობისადმი ინტერესი. იგი იყო წრის გამგეობის წევრი, შემდეგში გამგეობის თავმჯდომარე.

სტუდენტობის პერიოდშივე გ. ჩიტაია მუშაობს აკად. ნ. მარის მიერ მოწყობილ ანისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, შემდგომ კი დასავლეთ შირაქის ეპიგრაფიკულ ექსპედიციაში, რომელსაც პრიატ-დოცენტი ი. ორბელი ხელმძღვანელობდა.

1912 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე გ. ჩიტაია გერმანიაშია. კენისბერგის უნივერსიტეტში ისმენს ცნობილი არაბისტის კ. ბროკელმანის ლექციებს, იღრმავებს გერმანული ენის ცოდნას, ეცნობა გერმანელი ხალხის კულტურულ მონაპოვარს.

1916 წელს იგი ამთავრებს პეტერბურგის უნივერსიტეტს და ღრმა მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი სამშობლოში ბრუნდება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ქართული მეცნიერული ეთნოგრაფიის თავკაცად გვევლინება და ეთნოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბების საქმეში მრავალ სამეცნიერო ორგანიზაციულ ღონისძიებას ახორციელებს. საჭირო ხდება ეთნოგრაფიული მუშაობის სრული გარდაქმნა, ახალი მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე მისი წარმართვა. სარწმუნო, ყოველმხრივ შემოწმებული ეთნოგრაფიული ფაქტების მოპოვება მტკიცე გეგმისა და პროგრამის შესაბამისად...

საბჭოთა ეთნოგრაფიის განვითარების ამ საწყის ეტაპზე გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით გეგმაზომიერი მუშაობა დაიწყო სავსე ეთნოგრაფიული მუშაობის ხაზით, სისტემატური ხასიათი მიეცა ექსპედიციების მოწყობას, რომელთა წარმატებათა ფუნდამენტს გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებული მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე დამყარებული სავსე ეთნოგრაფიული მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი წარმოადგენდა. წლების მანძილზე მოწყობილი მრავალი ექსპედიციის შედეგად მოპოვებულ იქნა მდიდარი, ბევრ შემთხვევაში მანამდე უცნობი ეთნოგრაფიული მასალა, რომელთა ერთ ნაწილს ისტორიული პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

ძნელია მოიძებნოს საქართველოს ეთნოგრაფიის რომელიმე საკვანძო პრობლემა, რომლის შესახებაც პატივცემულ მეცნიერს თავისი სიტყვა არ ეთქვას, კვლევის საგნად არ გაეხადოს იგი. საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის, მისი მომიჯნავე დარგების შესანიშნავი ცოდნა ის საფუძველია, რომელმაც შესაძლებლობა მისცა მეცნიერული ალლოთი და ხედვით დაჯილდოებულ ადამიანს

150-ზე მეტი ნაშრომი შექმნა, განეხილა და გადაეკრა საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის არა ერთი საკითხი კულტურულ-ისტორიულ ასპექტში.

ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე დაბეჭდილ გამოკვლევებში ქართული კულტურის ცალკეულ ელემენტთა წარმოქმნის ფესვები, მათი თვითმყოფადობა, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციულობა, ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიული და გენეტიკური კავშირი კავკასიის სხვა ხალხებთან და წინა აზიის უძველესი ცივილიზაციის სამყაროსთან... მის მიერ შესწავლილი საკითხები —საველე ეთნოგრაფიის მუშაობის მეთოდი, მიწათმოქმედების სისტემები, სამიწათმოქმედო იარაღები, დასახლების ფორმები, ტანსაცმელი, ხალხური ხელოსნობა, ორნამენტი, და სხვ. დამსახურებულად შევიდა მეცნიერების საგანძურში.

საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის ავტორიტეტული მკვლევრის გ. ჩიტაიას მრავალრიცხოვანმა ნაშრომებმა დიდი ხანია ფართო გამოქაბილი ჰპოვეს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთის სამეცნიერო წრეებში. 1955 წელს გ. ჩიტაია მიწვეული იყო ბერლინის, 1956 წელს ფილადელფიის, 1960 წელს პარიზის, 1964 წელს მოსკოვის, 1968 წელს ტოკიოს საერთაშორისო კონგრესებზე.

კარგად არის ცნობილი მეცნიერის დამსახურება სამუზეუმო-საექსპოზიციო მუშაობის დარგში.

სამუზეუმო კოლექციები რევოლუციამდელ საქართველოში თბილისის ცალკეულ მუზეუმთა კუთვნილებას შეადგენდა, რაც ხელს უშლიდა მათი მეცნიერული ღირებულების დადგენასა და თემატური კომპლექსების შედგენას. ასეთ ვითარებაში, ცხადია, შეუძლებელი იყო კოლექციების გამოყენება კვლევით მუშაობასა და სამუზეუმო ექსპოზიციასში. გ. ჩიტაიას ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ჯერ კიდევ 1926 წელს მოხდა ამ ფონდთა თავმოყრა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში. მანვე, პროფ. ვ. ბარდაველიძესთან ერთად, დაიწყო ახლებურად შემუშავებული რევიონალური და თემატური გეგმების მიხედვით მათი პუბლიკაცია ექსპოზიციის მოწყობის გზით. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ვრცელ დარბაზებში გამართული ეს პირველი მეცნიერულად სრულყოფილი გამოფენები ხევისურეთისა და სვანეთის ხალხური ტანსაცმლისა, ხალიჩებისა... პოპულარობით სარგებლობდნენ მნახველთა ფართო მასებში. დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე გ. ჩიტაიას მიერ შედგენილი საექსპოზიციო-თემატური გეგმის მიხედვით გამართულ ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფისა და კულტურის ამსახველ სტაციონარულ გამოფენას. გ. ჩიტაია დღესაც, როგორც მეცნიერ-კონსულტანტი, თავის ცოდნა-გამოცდილებას არ იშურებს და მზრუნველობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა თუ რესპუბლიკის სხვა მუზეუმებში მომუშავე ეთნოგრაფებს, მუზეუმის მუშაკებს, ეხმარება მათ საქმიანი რჩევა-დარიგებებით.

აღსანიშნავია, აგრეთვე, გ. ჩიტაიას ღვაწლი ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ღია ცის ქვეშ მუზეუმის დაარსებასა და მოწყობაში.

დიდი გ. ჩიტაიას როლი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ახალგაზრდობასთან მუშაობა მისი ცხოვრების ნაწილია. გ. ჩიტაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოთხ ათეულ წელზე მეტია კითხულობს საქართველოს,



კავკასიის, საბჭოთა კავშირის ხალხების, ახლო აღმოსავლეთისა და შორეული ეთნოგრაფიის კურსს. ხელმძღვანელობს სტუდენტთა და ასპირანტთა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა მეცნიერულ საქმიანობას. ენერგიის დაუზოგავად შრომობს იმისათვის, რომ საქართველოს მოწინავე ეთნოგრაფები ჰყავდეს. დღეს მის მიერ აღზრდილი მოწაფეთა თაობები გულმოდგინედ სწავლობენ მშობლიური ქვეყნის ეთნოგრაფიას, კავკასიის ხალხთა ყოფას, ახლო აღმოსავლეთის მკვიდრთა ცხოვრებას.

გ. ჩიტაია ინტენსიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. იგი პრეზიდენტი საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოებისა; წევრია სასოფლო-სამეურნეო იარაღების ისტორიის საერთაშორისო კომიტეტისა, ხალხური მევენახეობა-მეღვინეობის შემსწავლელი საერთაშორისო კომისიისა, ეთნოგრაფიული ატლასის საერთაშორისო საორგანიზაციო კომისიისა. გ. ჩიტაია არის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ღია ცის ქვეშ მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და სხვა მრავალ სამეცნიერო საბჭოსა და სარედაქციო კოლეგიის წევრი (მათ შორის ჩეხოსლოვაკიის სამეცნიერო ორგანოს — „ეთნოგრაფიე“-ს რედაქციისა), პიონერთა სასახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა კლუბის საპატიო თავმჯდომარე.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ერთხელ კიდევ ღირსეულად დააფასეს გ. ჩიტაიას მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით აკად. გ. ჩიტაია დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

გ. ჩიტაია კვლავ ჩვეული ენერგიით მუშაობს. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორს, რომელიც აერთიანებს საქართველოს ეთნოგრაფიის, კავკასიის ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის განყოფილებებს, სათავეში უდგას ეთნოგრაფიულ კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დიდხანს სიცოცხლე ვუსურვოთ ეროვნული კულტურის დიდ მოამაგეს, სამშობლოს დაუღალავ მსახურს, ძვირფას მასწავლებელს, აკადემიკოს გ. ჩ ი ტ ა ი ა ს.



გიორგი ლომთათიძე

ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის,
არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის
ვანყოფილების გამგე

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას 70 წლის თაზი

1970 წლის 18 ნოემბერი ითვლება სიმონ ჯანაშიას დაბადების დღედ (ნამდვილად კი 13 ივლისი ყოფილა). ის შესანიშნავი მამულიშვილი, ახალი ქართული კულტურის ერთ-ერთი აქტიური და უბრწყინვალესი შემოქმედი, საუკუნეთა მიჯნაზე მოეგვინა თავის საშრობლოს; ჯერ კიდევ ყმაწვილი შეეგება აღფრთოვანებით დიად რევოლუციას და საბჭოთა საქართველოს წიაღში და-



სიმონ ჯანაშია.

ვაჟკაცდა, როგორც პიროვნება და მეცნიერი, კომუნისტი და მოღვაწე.

იგი ეკუთვნოდა ქართული უნივერსიტეტის პირველ გამომშვებას, რომელმაც ჩვენს მეცნიერებას მისცა რამდენიმე სხვა გამოჩენილი ქართველთმცოდნე აკადემიკოსიც, სახელოვანი ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოსაქმეთა მიერ გამოზრდილი.

უნივერსიტეტშივე ორმხრივ განსწავლული სიმონი შესანიშნავი ენათმეცნიერიც იყო და ისტორიკოსიც, ხოლო სიცოცხლის ბოლო ათწლეულში — არა ნაკლები არქეოლოგიც. მეტადრე როგორც მესვეური. ყოველივე ამის გარდა, იგი ფაქიზი ფილოლოგიც განლდათ, წყაროთა კრიტიკოსიც, ისტორიული გეოგრაფიის საუკეთესო სპეციალისტიც. მას ნაყოფიერად უმუშავებია საქართველო-კავკა-

სიის ეთნოგრაფიის საკითხებზედაც, ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც, ენობრივი ნორმების დადგენაზედაც და ა. შ. მის ნაშრომთა სია 200-ს უახლოვდება, ხოლო ზოგი რამ ჯერაც გამოქვეყნებას ელოდება (გამოსულია 4 ტომი).

გამომზრდელ უნივერსიტეტში ლექციების კითხვის გარდა, სიმონი იმთავითვე დაძაბულ კვლევა-ძიებასაც მისდევდა — უმთავრესად მაინც საქართველოს ისტორიის უძველეს და ძველ ხანათა, შედარებით უფრო ბუნდოვანთა და ნაკლებ შესწავლილთა მიმართ. ეს შრომა დიდი წარმატებით დაგვირგვინდა: სრულიად ახლებურად გაშუქდა (1932-37 წწ. ნაკვლევიში) ქართველ ტომებში გვაროვ-

ნული წყობილების, საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობისა და სხვ. საკითხები. ორი საგანგებო მონოგრაფია მიეძღვნა საქართველოში ადრეულ ფეოდალიზაციას და ფეოდალურ რევოლუციას, ერთი — არაბობას საქართველოში; სხვა ნაშრომები — ეგრისისა და აფხაზეთის სამეფოთა წარმოშობის ისტორიას, მესხთა ტომის ისტორიას და ა. შ.

ს. ჯანაშიამ ცხადყო, რომ ძველი წელთაღრიცხვის მიწურულისათვის ქართველ ტომებში უკვე კლასები უნდა ვიგულისხმოთ, წინააღმდეგ ადრინდელი თვალსაზრისისა, და კოლხეთი (ეგრისი) და ქართლი (იბერია) უკვე ნამდვილ სახელმწიფოებად ყოფილან ჩამოყალიბებული ძველადვე. ახლადვე დაგჭენდა, რომ ეს გაბედული სიახლე სულ რამდენიმე წლის შემდეგ იქნა „კევრდაქრული“ არქეოლოგიის მიერ, რომელმაც ღრმად ჩაგვახედა ე. წ. ანტიკური საქართველოს (ასე დაასათურა ს. ჯანაშიამ თავისი დიდი მონოგრაფია, რომლისაც მხოლოდ დაწყება მოასწრო) მოწიფული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის სამყაროში. მერე და მერე ეს სურათი უფრო მკაფიოდ გამოგვინაგეთეს სხვა, არა ნაკლებ სახელგანთქმულმა განათხარებმა.

ეს იყო გამჭრიახი, ნოვატორი ისტორიკოსის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერული გამარჯვება.

ს. ჯანაშია შეუწელებელი ყურადღებით ეყიდეზოდა ქართველ ტომთა წარმომავლობის, პირველსაცხოვრებისა და განსახლების პრობლემას — წინა აზიის უძველესი ბრწყინვალე ცივილიზაციათა შემქმნელების, შუმერულ-ხეთურ-სუბარულ-ურარტული, ჩვენი მეტ-ნაკლებ მონათესავე ტომების და ხალხების ისტორიასთან დაკავშირებით. ამ საკითხებს მიეძღვნა მისი ორი დიდი ნაკვლევიც. მრავალ სხვათა შორის.

სიმონი ჯერ კიდევ 36 წლის კაცი იყო (სადოქტორო დისერტაცია 38 წლისამ დაიცვა), როდესაც დაეკისრა სათავეში ჩადგომოდა ახალ სამეცნიერო დაწესებულებას — ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს, კავშირითმცოდნეობის ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილს და ძირფესვიანად გააძაბილ-სეპულს. სულ ცოტა ხანში ინსტიტუტი ჩამოყალიბდა რესპუბლიკის გამძღოლ და ავტორიტეტულ დაწესებულებად, საბჭოთა ქართველთმცოდნეობისა და კავკასიათმცოდნეობის მძღავერ კერად, რომელიც წარმოადგენდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ერთ უმნიშვნელოვანეს შტოს, ხოლო საქართველოს აკადემიის დაარსების შემდეგ (1941 წ.) — ამ უკანასკნელის ერთ-ერთ ბურჯს. ს. ჯანაშია გარდაცვალებამდე დიდი სიყვარულით ხელმძღვანელობდა და სულ უფრო აწინაურებდა მას. ამასთანავე იგი, როგორც ჩვენში მეცნიერული მუშაობის ერთი საუკეთესო ორგანიზატორი, 1939 წლიდან საქ. ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე იყო, ხოლო 1941 წლიდან — უცვლელი ვიცე-პრეზიდენტი. სწორედ იქ გაიშალა სრული გაქანებით მისი, როგორც გამძღოლი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გამორჩეული უნარი.

პარალელურად იგი განაგებდა საქართველოს ისტორიის კათედრას თბილისის უნივერსიტეტში.

„ენიმიკი“ წამყვან დაწესებულებად იქცა საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის საქმეშიც. თითქმის მისი დაარსებისთანავე, 1937-38 წწ. დაჰკრა სიმონის თაოსნობით შექმნილმა ექსპედიციამ პირველი წერაქვი მცხეთის ძველ მი-



წას და ამას მოჰყვა ანტიკური ხანის შენობათა (აბანოსა და სხვ.) ნაშთებინა და მომდევნო დროის ქვისსამარხთა მრავლად გამოვლენა მცირე მდინარის არმაზის ხევის მტკვართან შერთვის ადგილას. შემდგომ ექსპედიციას ორ წელიწადს მთელი და მუშაობა სამთავროს ცნობილ ვრცელსა და შინაარსიან სამაროვანზე, ხოლო 1940 წელს — ისევ არმაზისხევეთანაც (იმ წლის ნოემბრიდან 1947 წლამდე ს. ჯანაშიას მეთაურობით). იქ გაითხარა გვიანანტიკური დროის (I—IV სს.) ქართლის ერისთავების ანუ პიტიახშების სასახლის ნაშთები და საგვარეულო, ყოველად მდიდრული სამარხავი, ორი უმნიშვნელოვანესი ვრცელი წარწერიითურთ. ამ განათხარებმა საქვეყნოდ, არნახული რეზონანსით გაუთქვა სახელი ადრევეც ცნობილს არქეოლოგიურ კომპლექსს მცხეთისას. მათ დიდძალი ნაირნაირი პირველხარისხოვანი მეტყველი ძეგლი შესძინეს ანტიკური საქართველოს კულტურულსა და პოლიტიკურ ისტორიას, დიდად და არსებითად შეავსეს წერილობითი წყაროებიდან მომდინარე ცნობები, თვალწინ დაგვიყენეს განვითარებული სახელმწიფო, მისი მართვა-გამგებლობის სისტემა და იერარქია, რამდენიმე ნაცნობი თუ ახალგაცნობილი ისტორიული ბიროვნება (მეფეები, ერისთავები, ეზოსმომღვრები) და მათი ოჯახის წევრები და ა. შ. ეს იყო ეპოქალური არქეოლოგიური აღმოჩენა, არა მარტო საქართველოსათვის.

1943-47 წლებში ექსპედიციამ კვლავ ნაყოფიერად იმუშავა და მცხეთის ბრწყინვალე კომპლექსს შემატა ძველი არმაზციხის დიდებული ძეგლები: სვეტიზიანი და დიდრონი ქვათლილებით, უკიროდ ნაშენი სასახლისა (ძვ. წ. IV—III სს) და მონუმენტური ზღუდის ნაშთები, მღვიმე-აკლდამა, მეფის ასულის საკოფავი (ა. წ. II ს.) და სხვ. და სხვ.

ს. ჯანაშიამ ამ შესანიშნავ არქეოლოგიურ აღმოჩენათა მხოლოდ პირველადი ისტორიული ვაზარება მოასწრო, ისევე როგორც ივ. ჯავახიშვილმა, 1938—1940 წლებში რომ უძლოდა მცხეთის დიდ ექსპედიციას. მაგრამ ეს წინასწარი დებულეზანიც მკვიდრად შევიდა ჩვენი არქეოლოგიის ფონდში, როგორც გეზის მიმცემი.

მის შემდეგ „დიდმა არქეოლოგიამ“ მცხეთიდან მრავალ სხვა კუთხეშიც გადაინაცვლა და ისევე ლაღად გაშალა ფრთები, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა ყოველთვის მიენიჭება ს. ჯანაშიას, ისევე როგორც ივ. ჯავახიშვილის ფასდაუდებელსა და ფუძემდებელ დეაწლს ჩვენში ისტორიული მეცნიერების ამ დარგის დაწინაურებასა და სრულყოფაში.

1943 წელს სიმონ ჯანაშიას მიენიჭა სახელმწიფო პრემია მეცნიერებაში ხანგრძლივი თვალსაჩინო შრომისათვის. მეორედ მან იგივე პრემია მოიპოვა (უკვე განხვეწებულ ივ. ჯავახიშვილთან, და ნ. ბერძენიშვილთან ერთად) 1946 წელს, „საქართველოს ისტორიის“ რუსულად გამოცემის შემდგომ. ის, სახელგანთქმული და მთელი ჩვენი ერის მიერ გულთბილად მიღებული წიგნი ფორმალურად სასკოლო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა, მაგრამ ნამდვილად წარმოადგენდა მოკლე შეჯამებას ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის მრავალი ახალი უმნიშვნელოვანესი მინაღწევისა და ახლებურად (ს. ჯანაშიას რედაქციით) გამართულ კურსს საქართველოს ისტორიისა უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე.

მთავრობის სხვა ჯილდოებიდან მეტადრე აღსანიშნავია: ლენინის ორი ორდენი (1941 და 1944 წწ.) და შრომის წითელი დროშის ორდენი (1945 წ.).



სამამულო ომის უმძიმეს წლებში ს. ჯანაშია განუწყვეტელ, დაძაბულ საბ-
 გიტაციო საპროპაგანდო მუშაობას ეწეოდა და ხელმძღვანელობდა, როგორც ნამ-
 დვილ მებრძოლ ისტორიკოსს შეეფერებოდა. იგივე უნდა ითქვას მისი რამდენიმე
 პოლემიკური ნაშრომისა თუ პოლიტიკური სტატიის შესახებ, რომელთა აუცილ-
 ლობას იწვევდა ლტოლვა ან ისტორიული უსამართლობის გამოსწორებისადმი ან
 მოძველებულ დებულებათა გადასინჯვისადმი, ან — სინამდვილის დამახინჯე-
 ბასთან ბრძოლისადმი.

დიდ დროსა და ძალ-ღონეს ახმარდა სიმონი მეცნიერულ-პოპულარულ ლი-
 ტერატურასაც.

1943 წელს სიმონ ჯანაშია, როგორც ფართოდ სახელმწიფოებრივი მეცნიერი,
 საქართველო-კავკასიისა და წინა აზიის კულტურა-ისტორიის ავტორიტეტული
 მკვლევარი, აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ამრიგად
 იგი იქაც ყოველმხრივ შეენაცვლა თავის შესანიშნავსა და ღრმად პატივცემულ
 მასწავლებელს ივანე ჯავახიშვილს, რომელიც 1939 წელს იყო არჩეული.

1946 წელს სიმონი სსრკ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი გახდა.

ასე შეაფასა მადლიერმა სამშობლომ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო შვილის
 დიდი და მრავალმხრივი დამსახურება, დაუღალავი შრომა, ყოველნაირი მოწინა-
 გეობა, საზოგადოებრივი ღვაწლი.

სიმონი, როგორც პიროვნება, მისდამი საყოველთაო პატივისცემასა და მოწი-
 წებასაც კი აღძრავდა. ერთი მხრივ იგი პრინციპული, შემმართებელი, თანმიმდევ-
 რულად მებრძოლი და უკეთურობის მიმართ დაუნდობელი გახლდათ, მეორე
 მხრივ კი — გულთბილი, გულისხმიერი, მზრუნველი და ღმობიერი რაინდი ყვე-
 ლასადმი, ვისაც კი ამის ღირსად მიიჩნევდა. ის იყო შესანიშნავი მასწავლებელი
 და აღმზრდელი, დამრიგებელი, ზნეობრივი და შემოქმედებითი ნიმუში; მესვეურ-
 ადა, წინამძღოლად, საქმის პატრონად და განმსჯელად დაბადებული.

დასასრულ, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ დავაკაცების მიჯნაზე, სულ
 23—24 წლისას მას ძალიან მძიმე სენი მოერია და ერთ ხანს მუშაობაზედაც კი
 ააღებინა ხელი. მას შემდეგ იგი ბოლომდე ჯანგატეხილი კაცი იყო და ხშირად
 მხოლოდ უტეხი ნებისყოფის მოშველიებით განაგრძობდა ყოველდღიურს, რამ-
 დენიმე კაცის ოდენს შრომასა და ბრძოლას. სწორედ ამ უკიდევანო ჯაფამ და
 დაღლილობამ (მეტადრე ომის წლებში) ითამაშა ავებდითი როლი და სიმონი
 სრულიად ახალგაზრდა, 47 წლისა გამოსტაცა სიკვდილმა ახალი საქართველოს
 შესანიშნავ მშენებელთა რიგებს, მრავალრიცხოვან პატივისცემულებს, მადლიერ
 კოლეგებსა და მოწაფეებს, უნივერსიტეტს, აკადემიას და საერთოდ მთელ სამ-
 შობლოს.

უამრავი რამ ჰქონდა განზრახული სიმონ ჯანაშიას და განუხორციელებელი
 დარჩა. მაგრამ რაც მოასწრო, ისიც საოცრად დიდი, ღირებული და მნიშვნელო-
 ვანია.

იგი მიეკუთვნება გზის გამწვლდავ, ფუძემდებელ და ნამდვილ სკოლათა შემ-
 ქმნელ მეცნიერთა და ძლიერ საზოგადო მოღვაწეთა რიგებს. თუ გავიხსენებთ მის-
 სავე სიტყვებს (თავისი მასწავლებლის, ივ. ჯავახიშვილის შესახებ მართებულად
 და მოხდენილად თქმულს), სიმონისათვისაც „მეცნიერული მუშაობა მხოლოდ
 ერთ-ერთი ფორმა იყო საზოგადოებრივი აქტივობისა“. ამიტომაც იქნება მის მიერ
 გავლებული, ძალიან ღრმა კვალი მუდამ წარუშლელი.

ირინე უზნაძე

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

საიუზილომ სენიძე

ა. წ. 16 და 17 აპრილს შედგა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მეორე სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა მუზეუმის დირექტორმა აკად. შ. ამირანაშვილმა, მანვე გააცნო მოხსენება თემაზე: „ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების მეცნიერული ამოცანები“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა საქართველოს ხელოვნება წარმოიშვა და განვითარდა, როგორც ძველი ტრადიციების მქონე ქართული კულტურის ისტორიული განვითარებით განპირობებული კანონზომიერი მოვლენა. ქართული საბჭოთა ხელოვნება დაფუძნებული რეალისტური ხელოვნების ერთეულ ტრადიციებზე, საბჭოთა კავშირის მომავლ რესპუბლიკების ერთიან ოჯახში ვითარდება ნამდვილი ხალხთრობის გზით. ქართული ხელოვნების დამახასიათებელია, უწინარეს ყოვლისა ცოცხალი ინტერესი რეალური სამყაროსადმი, ღრმა სიყვარული მშობლიური ხალხისადმი, ადამიანისა და ბუნებისადმი, თბილისში და სხვათაგან. ხელოვნების საბჭოთა ოსტატების ძირითადი ამოცანაა ღირსეულად ასახონ თავიანთ შემოქმედებაში გრანდიოზულ მოვლენათა სიდიადე და ღრმა იდეური შინაარსი.

სესიაზე მოსმენილ იქნა ახალი ქართული და საბჭოთა ხელოვნების განვითარების გამგის ქ. ბაკრატიშვილის მოხსენება თემაზე: „ქართული საბჭოთა ხელოვნება საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათწლეულში“. მან აღნიშნა ის დიდი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებიც საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ გაატარა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებდანვე, საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის მოსამზრებლად და სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა რიგებში ჩასაყენებლად. პარტიის და მთავრობის მოწოდებითა საბასტულო საქართველოს ძველი შემოქმედებითი ინტელიგენცია მაშინვე ჩადგა ახალ საქართველოს მშენებელთა რიგებში, რათა თავისი წვლილი შეეტანა მშობლიური ხალხის სულიერ საგანძურში. მოხსენებაში ხაზი გაესვა იმ უდიდეს მუშაობას, რომელიც გასწია პარტიამ და ხელისუფლებამ, სამხატვრო ორგანიზაციებმა და კულტურის რიგმა დაწესებულებებმა ისეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად, როგორც ახორციელდა ხელოვნების განვითარების შევსება, მონუმენტური პროპაგანდის შესახებ დიდი ღონისძიებების მოწოდების ცხოვრებაში გატარება, მხატვრული ხელოვნების კრიტიკოსთა ახალგაზრდა კადრების აღზრდა, მშრომელთა ფართო მასებში ქართული და მსოფლიო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების პოპულარიზაცია — გამოფენების მოწყობის გზით. ქართული საბჭოთა ხელოვნების ფორმირებისა და განვითარებისათვის 1921-31 წლებში იყო პერიოდი ძველის გადაფასებისა და ახლის ძიებისა და ქართულმა ხელოვნებამ ბრწყინვალე გაერთვის თავი ამ პასუხსავე ამოცანებს, ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოსტატები კვლავდავალ გაყვენი ზეენი ქვეყნის ახალი სამყაროს მშენებლობას და პირნათლად მოიხიდეს ვალი სამშობლოს წინაშე.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. დ. ჯაფარიძემ გააცნო მოხსენება თემაზე: „თანამედროვე ლითონმქანდაკეობა“. მომხსენებელმა წარმოადგინა მონოგრაფიული სახის ნაშრომი, რომელშიც მან ლითონზე პლასტიკის ძველ ტრადიციათა ფონზე დაწვრილებით განიხილა ლითონმქანდაკეობის განვითარების გზა და როგორც ამ დარგის თაოსნის — ირაკლი ონიანის, ისე დანარჩენ წამყვან ლითონმქანდაკეებელთა შემოქმედება. მოხსენებაში აღინიშნა, რომ ლითონმქანდაკეობელთა ნამუშევრებმა ახლებურად აახშიანეს და ერთეულად იყრა შემატნს გამოფენებს, საცხოვრებელ ბინებს, საზოგადოებრივ შენობებს და საფუძველი მისცეს მკვლ-



ფართ ელპარაკათ ქართული საბჭოთა პლასტიკის ერთიანი ეროვნული მხატვრული სკოლას ჩამოყალიბების შესახებ.

საბჭოთა ლითონმშენაქებლობაში თავისი არსებობის ორ ათეულ წელიწადში თითქმის ყველა ქროზობრივი ევოლუცია განიცადა და ზან, როგორც სახვითი ხელოვნების ერთ-ერთმა წამყვანმა დარგმა არა მარტო შორის გაითქვა სახელი, მოამე რესპუბლიკაში მიმდევრებით ვი გაიანა. ჩვენი ცხოვრების პათოსი ხელოვნებისგან მოითხოვს მაღალ მხატვრულ ფორმებს, ახალ დანიშნულებებს და ლითონმშენაქებლობას იგი კიდევაც აწვდის ფართო საზოგადოებრივ სამომხმარებლო ასპარეზს.

